

ი. მაჭარაშვილი ნ. გუჯარაიძე

ცყის უკანონო ჭრასთან გრძელისა და მონიტორინგის შედეგები

სახელმძვანელო საქართველოს მოქალაქეებისათვის



2006

ციტირებისას: ი. მაჭარაშვილი, ნ. გუჯარაიძე, 2006, ტყის უკანონო ჭრასთან ბრძოლისა და მონიტორინგის მეთოდები - სახელმძღვანელო საქართველოს მოქალაქეებისათვის, თბილისი, მწვანე ალტერნატივა, 72 გ.

რედაქტორი: ა. ურუშაძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ვ. გულისაშვილის სახ. სატყეო ინსტიტუტის დირექტორი

ISBN: 99940-65-49-1

© მწვანე ალტერნატივა

ფოტო გარეკანზე: ი. მაჭარაშვილი

პუბლიკაცია მომზადდა პროექტის” - ადგილობრივი შესაღებლობების განვითარება საქართველოში ხე-ტყის არაღებულური ჭრის აღკვეთისათვის”, ფარგლებში.

პროექტის განმახორციელებელია ასოციაცია მწვანე ალტერნატივა.

პროექტი დაფინანსებული ევროკავშირის მიერ - "ევროპული ინიციატივა დემოკრატიისათვის და ადამიანის უფლებებისათვის (EIDHR)" პროგრამის ფარგლებში.

ამ პუბლიკაციაში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის თვალსაზრისს.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

საფოსტო მისამართი: თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზ. #62

ოფისის მისამართი: თბილისი, ყიფშიძის ქ. N5^ა, IV სადარბაზო, VII სართული

ტელეფონი: 22 38 74 / 22 16 04

ფაქსი: 22 38 74

ელ. ფოსტა: greenalt@wanex.net

ვებ-გვერდი: www.greenalt.org

ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში

მისამართი: თბილისი, ნინო ჩხეიძის ქ. 38, 0102

ტელეფონი: (+995 32) 94 37 63

ფაქსი: (+995 32) 94 37 68

ელ. ფოსტა: Delegation-Georgia@cec.eu.int

ვებ-გვერდი: <http://www.delgeo.cec.eu.int>

პრეტელეგა უფასოდ



ევროკავშირი

ევროკავშირი აერთიანებს თხუთმეტ სახელმწიფოს: თხუთმეტმა სხვადასხვა ერმა გადაწყვიტა ერთმარეთს მჭიდროდ დაუკავშიროს საკუთარი მომავალი. მათ მართებთ ერთად ააშენონ მშვიდობის, სტაბილურობის, პროგრესისა და სოლიდარობის ერთიანი ზონა. ევროკავშირი არის მოდელი იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს კონფლიქტების დაძლევა და შერიგების ხელშეწყობა, მჭიდრო თანამშრომლობით საერთო მიზნების მიღწევა და, ამავდროულად, ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების დაცვა. მაგრამ ევროკავშირი არ არის მხოლოდ წევრ ქვეყნებზე ორიენტირებული, ის მიზნად ისახავს საკუთარი მიღწევებისა და ღირებულებების სხვა ქვეყნებისა და ერებისათვის გაზიარებას.

ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში

ევროკომისიის წარმომადგენლობა არის დიპლომატიური მისია, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის აღმასრულებელ ორგანოს – ევროკომისიას. მისი ფუნქციაა წარმოაჩინოს, ახსნას და განახორციელოს ევროკავშირის პოლიტიკა საქართველოსა და სომხეთში, ასევე გაანალიზოს და აღწეროს საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკა და მოვლენათა განვითარება. წარმომადგენლობა ხელმძღვანელობს მოლაპარაკებებს საქართველოსა და სომხეთის მთავრობებთან, რათა განხორციელდეს ევროკავშირისა და კავკასიის ორ სახელმწიფოს შორის დადებული შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის ივლისში.

ევროპული ინიციატივა დემოკრატიისათვის და ადამიანის უფლებებისთვის (EIDHR)

“ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის” 1994 წელს ევროპარლამენტის ინიციატივით დაარსდა. მისი მიზანია ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის პოპულარიზაცია და მხარდაჭერა განვითარებად ქვეყნებში.

“ევროპულ ინიციატივას დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის” უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის “ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის” ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევისათვის ადამიანის უფლებათა, დემოკრატიზაციის და კონფლიქტის პრევენციის სფეროში. ზოგიერთ რეგიონში ის ერთადერთი საკანონმდებლო საფუძველია ისეთი საქმიანობისათვის, როგორცაა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების პოპულარიზაცია, არჩევნებზე დაკვირვება და კონფლიქტის გადაჭრაზე მიმართული ინიციატივები.

საქართველო ერთ-ერთი იმ 29 ქვეყანათაგანია, სადაც “ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის” ხორციელდება.



ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა არის არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 2000 წელს. მწვანე ალტერნატივას მისიაა საქართველოს გარემოს, უნიკალური ბიოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ეკონომიკურად ხელსაყრელი და სოციალურად მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობის გზით, სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის საშუალებით.

ასოციაციის მიზნებია:

- მდგრადი განვითარების, გარემოს კონსერვაციისა და აღდგენის ხელშეწყობი ფართო სოციალური ალიანსების შექმნა, რომლებიც მიზნად ისახავენ დაარწმუნონ საქართველოს მთავრობა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მიმართონ ინვესტიციები და პოლიტიკა გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით მისაღებ პროგრამებსა და პროექტებზე;
- მდგრადი განვითარებისათვის ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების შექმნის ხელშეწყობა; გარემოსდაცვით საქმიანობაში შესაბამისი სამთავრობო უწყებების, ბიზნესის წარმომადგენლების, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების ჩართვის ხელშეწყობა;
- ადგილობრივ ან ეროვნულ დონეზე ღობირების გზით გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით დესტრუქციული პოლიტიკისა და პროექტების შეცვლა, ან შეჩერება და მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობა.

ი. მაჭარაშვილი ნ. გუჯარაძე

**ტყის უკანონო ზრასთან ბრძოლისა და
მონიტორინგის მეთოდები**

სახელმძღვანელო საქართველოს მოქალაქეებისათვის

თბილისი 2006

სარჩევი

შესავალი	3
I ნაწილი	6
საქართველოს ტყეები	6
საქართველოს სატყეო სექტორის მართვის ძირითადი საფუძვლები	9
საკანონმდებლო საფუძვლები	9
საქართველოს ტყეების მართვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურები	12
ტყის უკანონო ზრასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები - კითხვები და პასუხები	16
II ნაწილი	31
მონიტორინგის დანიშნულება	31
მონიტორინგის უპირატესობანი	31
მონიტორინგის ზოგადი მიმოხილვა	33
მონიტორინგის პროექტები და პროგრამები	35
მონიტორინგის პროექტის ეტაპები	38
მონიტორინგის პროექტის I ეტაპი: დაგეგმარება	40
მონიტორინგის პროექტის II ეტაპი: განხორციელება	47
მონიტორინგის პროექტის III ეტაპი: კომუნიკაცია და გავლენა	57
რეაქციისა და გამომავლების პრობნოზირება და მართვის მზაობა	67
შემოწმების პროცესი	67
როდის უნდა შეწყვიტოთ მონიტორინგი?	68
შემდეგი ნაბიჯი	68
გამოყენებული ლიტერატურა	69

შესავალი

ტყე რთული ეკოსისტემაა, რომელიც აერთიანებს ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების მრავალ კომპონენტს. გასული საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს უნიკალური ხელუხლებელი ტყეების დიდი ნაწილი ადამიანის ხელმა გაანადგურა. თითოეული სახეობა, თითოეული ეკოსისტემა განუქორებელია, მას მილიონობით წლის ისტორია გააჩნია. ტყის განადგურებას თან სდევს უამრავი ცხოველისა და მცენარის განადგურებაც, რომლებიც დამოკიდებული არიან ტყის ეკოსისტემაზე. უკონტროლო ტყის ჭრა იწვევს ტყის ხანძრებს, მეწყერებსა და წყალდიდობებს, ცვლის წყლის რეჟიმსა, და ადგილობრივ და გლობალურ კლიმატს. უკანონო ჭრების ერთ-ერთი მტკივნეული შედეგია ტყეზე დამოკიდებული მოსახლეობის გაღარიბება. განვითარებად ქვეყნებში სკოლებისა და საავადმყოფოების ასაშენებლად თუ სანიტარული პირობების გასაუმჯობესებლად საჭირო ფული ხე-ტყის ბარონებისა და კორუმპირებული სახელმწიფო მოხელეების ჯიბეში ხვდება. უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის უმეტესობა ექსპორტირდება. დარიბი ქვეყნების უმნიშვნელოფანესი რესურსი ჩალის ფასად იყიდება ჩრდილოეთ ამერიკის, ევროპისა და აღმოსავლეთ აზიის მდიდარ ქვეყნებში. აქ მას მდიდრული სახლების მოსაწყობად, ძვირფასი ავეჯისა და სურათის ჩარჩოების დასამზადებლად იყენებენ.

ტყეების ეკონომიკური მნიშვნელობა

ტყის პროდუქტებისგან ყოველწლიურად დაახლოებით 300 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია მზადდება: სამშენებლო და ავეჯის მასალა, ქაღალდი, მედიკამენტები, საკვები და უამრავი სხვა პროდუქტი. მსოფლიოში დამზადებული მერქნის ნახევარს მოიხმარენ აშშ, დასავლეთ ევროპის ქვეყნები და იაპონია, სადაც პლანეტის მოსახლეობის მხოლოდ 20% ცხოვრობს.

მსოფლიოში დამზადებული მერქნის 55% გამოიყენება გასათბობად და საკვების მოსამზადებლად. ამ მერქნის ნაწილი პირდაპირ შეშად გამოიყენება, ნაწილისგან კი ხის ნახშირს ამზადებენ. 1950 წლის შემდეგ მოთხოვნილება მერქანზე ორჯერ გაიზარდა, ამასთან ქაღალდის დასამზადებლად გამოიყენებამ გაასწრო მერქნის საწვავი მიზნებით გამოყენებას. 1995-2010 წლების მონაკვეთში ქაღალდზე მსოფლიო მოთხოვნილება ორჯერ გაიზარდა. ყველაზე მეტი რაოდენობით ქაღალდს ერთ სულ მოსახლეზე მოიხმარს აშშ, შემდეგ იაპონია და გერმანია. (Miller, 2000).

ტყეების ეკოლოგიური მნიშვნელობა

ტყიანი წყალგამყოფი ქედები გიგანტური ღრუბლების მსგავსად, ამცირებენ ჩამონადენის სიჩქარეს და კვებავენ ნაკადულებს, წყაროებს, მდინარეებსა და მიწისქვეშა წყლებს. ამით, ისინი არეგულირებენ მთებიდან სასოფლო სამეურნეო სავარგულებისა და დასახლებული ადგილებისაკენ ჩამონადენი წყლის რეჟიმს; ამცირებენ დანალექის რაოდენობას, რომელიც ირეცხება მდინარეებსა და ტბებში და ნიადაგის ეროზიას.

ტყეები გავლენას ახდენენ კლიმატზე. მაგალითად, ტროპიკული ტყეების თავზე ტენიანობის 50-80% ხეების მიერ წყლის ათქვლების შედეგია. თუ ამ ტყეების დიდი ფართობი გაიხეხება, წლიური ტენიანობის მაჩვენებელი დაბლა დაეცემა და მაღალი ტემპერატურის გამო ჰავა მშრალი და ცხელი გახდება, რასაც მოყვება ნიადაგის გამოფიტვა. შედეგად ტროპიკული ტყის ადგილს უდაბნო დაიკავებს.

ტყეებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ ნახშირბადის გლობალურ ბრუნვაში. ისინი შთანთქავენ ნახშირორჟანგის 90%-ს. ხმელეთის სხვა ბიომებთან შედარებით, ტყეებში ბინადრობს ცხოველთა ყველაზე მეტი სახეობა. ტყეები ახშობენ ხმაურს და აკავებენ ჰაერის დამაბინძურებლებს.

უდიდესია ტყეების სულიერი და კულტურული მნიშვნელობა. მრავალი ცივილიზაციისა და კულტურის წარმოშობა და ისტორია დაკავშირებულია ტყის ეკოსისტემებთან.

მეცნიერებმა ტყეების ეკოლოგიური მნიშვნელობის მონეტარულად გამოსახვა სცადეს. გამომუშავებული ჟანგბადის, ჰაერის გასუფთავების, ნიადაგის განაყოფიერების, ეროზიისა და ტენიანობის კონტროლის, წყლის ციკლში მონაწილეობისა და ცხოველთა საბინადრო გარემოს გათვალისწინებით, ერთი ტიპური ხის ღირებულებამ 196 250 აშშ დოლარი შეადგინა. იმავე ხის გამოყენება მერქნის სახით 590 აშშ დოლარის ოდენობის შემოსავალს მოიტანდა (Miller, 2000). ამით ნათლად ჩანს, რამდენად დიდია ხის ხანგრძლივდროიანი ეკოლოგიური მოგება მოკლე დროზე გათვლილ ეკონომიკურ მოგებასთან შედარებით.

**ტყე არ არის უცვლელი მართობლიობა, რომელსაც დროებით
ვითქვამთ აქვს ბამოსხმული!**

უხსოვარი დროიდან ადამიანი ტყის რესურსებს იყენებდა საკვებად, სათბობ საშუალებად, საშენ მასალად და სხვა საჭიროებისათვის; თუმცა, უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში ტყე მთელს მსოფლიოში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით განადგურდა. ინდონეზიაში, სადაც დღეისათვის მსოფლიოს ტროპიკული ტყეების 10% შემორჩა, ყოველწლიურად ბელგიის ფართობის ტოლი ტერიტორია იხეხება.

ბოლო ათწლეულის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ ტყის უკანონოდ და უმოწყალოდ ჩეხვა გამოიწვია ჩვენს ქვეყანაშიც. ბევრი ადამიანი ტყეს უყურებს, მხოლოდ როგორც მერქნის მოსაპოვებელ საბადოს, სადაც შეიძლება მხოლოდ ხის მოჭრა. ტყის ჭრის წესების დაუცველობა, ტყის რესურსებით სარგებლობის კანონების შეუსრულებლობა და უკანონო, უნებართვო ჭრები ბუნების კანონზომიერებათა რღვევისა და სტიქიურ უბედურებათა მიზეზი გახდა. სწორედ განუკითხაობისა და არანორმირებული ტყის ჭრის, ჩეხვის შედეგია სვანეთში, დუშეთში, კახეთში, რაჭასა და აჭარაში ბოლო დროს გახშირებული მეწყერები და დვარცოფები. დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს დაზარალებული მოსახლეობის მიგრაცია ქვეყნის შიგნით, ანუ გაჩნდნენ ეკომიგრანტები - ევროპისათვის უცხოა ეს მოვლენა და მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში თუ შეხვდებით. ეკოლოგიური კატასტროფები ეროვნულ ტრაგედიად იქცა, რამაც ოჯახებისა და მთლიანად

სოფლების აყრა, "უცხო" მიწაზე გადაბარება და ახალი ცხოვრების დაწყება გამოიწვია. ახალ გარემო პირობებთან, ხალხთან, მათ ზნე-ჩვეულებებთან შეგუება იოლი არ არის. ამიტომ, ვიდრე ჩვენი მთიანი რეგიონები უკანონოდ და უმოწყალოდ გაჩეხილი ხე-ტყის წყალობით მთლიანად მეწყერს არ წაუღია, წყაროები არ დამშრალა და სხვა ეკოლოგიური კატასტროფები თავს არ დაგვტყენია, დროა შეეჩერდეთ, ტყეს შესაფერისი ყურადღებით მოვეპყრათ და "ტყე შეუნახე შვილებსა" - უბრალო სიმღერის სიტყვებად კი არ დარჩეს, არამედ ცხოვრების წესად გავიხადოთ.

მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეების აქტიური მონაწილეობით არის შესაძლებელი. სახელმწიფო უწყებებს უნდა დავეხმაროთ საკუთარი ფუნქციების უკეთ შესრულებაში. ხელი უნდა შევუწყოთ იმ ტერიტორიებზე მუშაობაში, სადაც უჭირთ უკანონობასთან გამკლავება, "ვაიძულეთ" იმუშაონ იმ ადგილებში, სადაც ჯერ არ უნდათ, ან ვერ ახერხებენ. ასევე, საჭიროა საზოგადოებამ თვალი ადევნოს კანონის აღსრულების პროცესს, რათა იგი ეფექტური იყოს და არ გადაიქცეს კორუფციის ახალ წყაროდ.

წინამდებარე პუბლიკაცია, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება, ხე-ტყის უკანონო მოპოვების წინააღმდეგ განწყობილი ადამიანების სახელმძღვანელოა. ჩვენი მიზანი სახელმწიფო სამსახურებსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობის ხელშეწყობაა. I ნაწილში მოცემულია სასარგებლო ინფორმაცია საქართველოს ტყეების, ტყესთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური საკითხების, უკანონო ჭრებისა და ტიპური დარღვევების შესახებ. ეს ნაწილი გარკვეული ნიშნების მიხედვით უკანონო ჭრის ფაქტების აღმოჩენაშიც დაგეხმარებათ. სახელმძღვანელოს II ნაწილი დამოუკიდებელი მონიტორინგის პროექტის/პროგრამის დაგეგმარებისა და განხორციელების ტექნიკას ეძღვნება.

ვიმედოვნებთ, რომ სახელმძღვანელო სასარგებლო იქნება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, სასწავლო დაწესებულებებისთვის, მეწარმეებისა და საჯარო მოხელეებისთვის.

პუბლიკაციის მომზადებისას გაწეული კონსულტაციებისათვის ავტორები მადლობას უხდებიან: ზაზა შავლიაშვილს, ნიკოლოზ ბურდულს, ალექსანდრე ურუშაძეს, ლერი ჭოჭუას; აღმოჩენილი დახმარებისა და ფოტომასალის მოწოდებისათვის: მანანა ბერიძეს, თამარ კურტანიძეს, ნატო ონიაშვილს, მანანა ბოჭორიშვილს.

I ნაწილი

საქართველოს ტყეები

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ტყეს ქვეყნის საერთო ტერიტორიის დაახლოებით 38% უკავია. ტყის ეკოსისტემები დამახასიათებელია ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონისთვის, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ჯავახეთის ზეგანი, ხოლო ხევისა და მთიანი თუშეთის რეგიონებში ტყეს ძალიან მცირე ფართობი უკავია. სხვადასხვა ტიპის ტყეების წილი ქვეყნის ტყეების საერთო ფართობში შემდეგნაირია: წიფლნარი - 51%, სოჭნარი - 10%, მუხნარი - 3,3%, ნაძვნარი - 6,3%, ფიჭვნარი - 3,6%, მურყნარი - 3%, წაბლნარი - 2,1%, არყნარი - 2%. საქართველოს ტყეების დანარჩენ ფართობს ხემცვნარეთა სხვადასხვა სახეობები ქმნის (*Carpinus caucasica*, *Tilia caucasica*, *Acer platanoides*, *A. trantvetteri*, *Fraxinus excelsior* და სხვა).

სასურველია საქართველოს ძირითად რეგიონებში ტყის გავრცელების მონაცემების მოტანა.

დასავლეთ საქართველოში ტყე უკვე ზღვისპირიდანაა გავრცელებული, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ტყის სარტყელი ძირითადად 600-700 მეტრიდან იწყება.

ჭალის ტყის ბიომი აღმოსავლეთ საქართველოში განვითარებულია მდინარეების მტკვრის, ივრის, ალაზნის და ქციის ქვემო წელის გასწვრივ. მათში ჭარბობს მუხა (*Quercus pedunculiflora*), აგრეთვე ვერხვები (*Populus canescens*, *Populus hybrida*), ქაცვი (*Hyppophae rhamnoides*) და სხვა. ეს ტყეები მდიდარია ლიანებით.

დასავლეთ საქართველოს ჭალის ტყეებში წამყვანი პოზიცია უჭირავს მურყნარებს. ამ ტყეებისთვის დამახასიათებელია გვიმრა (*Mateucia struthiopteris*) და ლიანები (*Hedera colchica*, *Smilax excelsa*, *Vitis sylvestris*). თითქმის გაუვალ რაყებს ქმნის მაყვალი (*Rubus anatolicus*).

ნათელი ტყის მცენარეულობა გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ნახევრადუდაბნოებისა და სტეპების სარტყელში. ეს ბიომი შედგება ტყის ქსეროფილური მცენარეებისაგან და საკმაოდ გვალვაგამძლე ბალახოვანი საფარისგან. იგი ყველაზე კარგად არის გამოხატული ვაშლოვანის ნაკრძალში და უკავია 5000 ჰა ფართობი.

საკმლის ხის (*Pistacia mutica*) ნათელი ტყე მიეკუთვნება დასავლეთ-ირანულ ტიპს, რომელშიც წარმოდგენილია სხვადასხვა ბუჩქები (*Paliurus spina-christi*, *Rhamnus pallasii*, *Cotinus coggygria* და სხვ.). გვხვდება აგრეთვე საკმლის ხის სუფთა რაყები, რომელსაც ცალკეული ხე ან ბუჩქები თუ შეერევა ხოლმე.

ღვიან ნათელ ტყეებს უკავიათ მცხეთისა და ვაშლოვანის მთისწინების ჩრდილო ფერდობები. ამ ტყეების დომინანტებია *Juniperus foetidissima* (აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთის სახეობა) და *J. polycarpus* (წინა აზიური სახეობა). ვაშლოვანში ეს სახეობები საკმლის ხის ტყის კომპონენტებია. გარდა ამ სახეობებისა, ამ ეკოსისტემაში გავრცელებულია კავკასიური *Juniperus oblonga* და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეური *J. rufescens*.

ხშირად ღვიიან ნათელ ტყეებს უკავიათ ტყის შემდეგ განვითარებული მცენარეულობის ადგილი.

მუხნარები (*Quercus iberica*) გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ტყის სარტყლის ქვედა ნაწილში (600-700 მეტრიდან). სახეობრივი შემადგენლობის მიხედვით სხვადასხვა ვარიანტები გამოიყოფა.

წიფლნარები (*Fagus orientalis*) გავრცელებულია ტყის სარტყლის შუა და ზედა ნაწილში. შერეული სახით ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ სახეობას წარმოადგენს კავკასიური რცხილა (*Carpinus caucasica*).

ფიჭვნარები (*Pinus spp.*) გვხვდება ზღვის დონიდან 1700-2400 მეტრის სიმაღლეზე. მათ შორის ოროგრაფიულად იზოლირებულ რეგიონში (მთა-თუშეთი), ან მცირე სიმძლავრის ნიადაგებზე (ზემო სვანეთი). ეს ეკოსისტემები მდიდარი ფლორისტული შემადგენლობით გამოირჩევიან. დამახასიათებელი სახეობებია: არცი, წიფელი, სოჭი და სხვა.

მუხნარ-ფიჭვნარი: ფიჭვთან ერთად ამ ეკოსისტემას ქმნის მაღალი მთის მუხა.

ამ ტყეებს ვხვდებით აღმოსავლეთ საქართველოში 800-1100 მეტრი სიმაღლის ფარგლებში, ხოლო აჭარაში მისი გავრცელების ზონა გაცილებით დაბალი სიმაღლეებიდან იწყება (300 მ-დან 1100-1200 მ-მდე).

უთხოვრის (*Taxus baccata*) ტყეები შემონახულია რელიქტური ტყის სახით ბაწარას ხეობაში, ალაზნის ზემო დინებაში.

ძელქვიანები (*Zelkova carpinifolia*): ბაბანეურის ძელქვიანები თავისი რელიქტური ბუნებით და იშვიათი გავრცელებით დიდ ყურადღებას იქცევს. ის ძირითადად გვხვდება ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობებზე, როგორც თხელ, ისე განვითარებულ ნიადაგებზე (დასავლეთ საქართველოში ძელქვიანები განვითარებულია მდინარეების ტერასებზე ალუვიურ და სუბტროპიკულ ეწერ ნიადაგებზე).

ნეკერხლიანები (*Acer velutinum*): ეს ტყეები მხოლოდ ალაზნის ველზეა გავრცელებული. მისი ზედა ზღვარი 1000 მ-ს არ აღემატება.

კოლხური ტყეები: დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაჭაობებულ დაბლობზე, ზღვის დონიდან იწყება მურყნარები (*Alnus barbata*), ლაფნარები (*Petocarya pterocarpa*), ნაკლებ ტენიან ადგილებში გავრცელებულია მუხნარები (*Quercus iberica*, *Q. hartwissiana*), რცხილნარები (*Carpinus caucasica*), წაბლნარები (*Castanea sativa*). ეს ტყეები მდიდარია ლიანებით (*Hedera colchica*, *Smilax excelsa*, *Vitis sylvestris*).

ბიჭვინთის ფიჭვის (*Pinus pithyusa*) ტყე: ბიჭვინთის ფიჭვი რელიქტური სახეობაა. ამ ტყისთვის დამახასიათებელია ხმელთაშუაზღვისპირეთის ფლორის წარმომადგენლები.

დასავლეთ საქართველოს ტყეებისთვის დამახასიათებელია რელიქტური გართხმული ბუჩქების, მათ შორის, მარადმწვანეების ქვეტყე. ზოგიერთ რაიონში (აფხაზეთსა და სამეგრელოს კირქვიან მთებში) გვხვდება ბუხა (*Buxus colchica*). დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში (იმერეთში) ტყის ქვედა და შუა სარტყელში გაბატონებულია იმერეთის მუხა (*Quercus imeretina*), რომელიც ძელქვასთან (*Zelkova carpinifolia*) ერთად ქმნის აჯამეთის ნაკრძალის ძელქვანარ-მუხნარ კორომებს.

კავკასიის მთებში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სუბალპური სარტყლის ტყის ზედა საზღვრის მცენარეულობა (2400-2750 მეტრი ზღვის დონიდან), რომელიც გამოირჩევა როგორც დიდი მრავალფეროვნებით, ისე იშვიათი ენდემური და რელიქტური სახეობების სიუხვით. სუბალპური სარტყლის მცენარეულობისათვის დამახასიათებელია შემდეგი ტყიანი ფორმაციები:

მეჩხერი ტყეები: მეჩხერი, ანუ "პარკისებური ტყეები" გვხვდება ზღვის დონიდან 1800-1900 მეტრის ზემოთ. მეჩხერ ტყეს წარმოქმნიან ძირითადად მაღალმთის ბოკვი და მაღალმთის მუხა. გარდა ამისა, "პარკისებურ ტყეს" ქმნიან (უფრო ხშირად ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად) წიფელი, ნაძვი, ფიჭვი და სხვა.

ტანბრეცილი ტყეები: კავკასიის სუბალპურ ტანბრეცილ ტყეებს ქმნიან წიფელი, არყის სხვადასხვა სახეობები, მაღალმთის ბოკვი, კოლხური თხილი, იმერული ხეჭრელი და სხვები. განსაკუთრებით საყურადღებოა კოლხეთის ტანბრეცილი ტყეები, სადაც კლიმატი არა მარტო ძალიან ტენიანი, შედარებით რბილიცაა. ეს ტყეები მდიდარია ენდემური და რელიქტური სახეობებით (მაგ. პონტოური მუხა, მეგრული არყი, მედვედევის არყი და სხვ.)

გართხმულ ბუჩქნარები: ამ ფორმაციების ძირითადი კომპონენტებია დეკა, უნგერნის შქერი, გართხმული ღვია, კავრა, მელიქაური და სხვა.

სუბალპური ზონის ბალახოვანი ფლორა გამოირჩევა სახეობრივი მრავალფეროვნებითა და კავკასიის ენდემების სიმდიდრით. აღსანიშნავია მაგალითად, მონოტიპური გვარი *Gadellia*, ასევე *Grosshemia*, *Dolychorrisa* და სხვ. აღსანიშნავია, რომ ღვიას ორი სახეობა: *Juniperus hemispaerica* (*J. depressa*) და *J. sabina*. აღწევს კავკასიონის ალპურ სარტყელს.

საქართველოს სატყეო სამართლის მართვის ძირითადი საფუძვლები*

საკანონმდებლო საფუძვლები

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, რომლის 37-ე მუხლის თანახმად, "ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს"; "ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას".

საერთაშორისო შეთანხმებებს, მემორანდუმებს და კონვენციებს, ენიჭებათ პრიორიტეტი ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებაში, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას. აღსანიშნავია "კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ", რომელსაც საქართველო 1994 წელს მიუერთდა.

საქართველოში ტყეების დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებით მიღებულია შემდეგი კანონები: "გარემოს დაცვის შესახებ", "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ", "ცხოველთა სამყაროს შესახებ", "საქართველოს წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ", "საქართველოს ტყის კოდექსი", "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ", და ასევე სხვა ნორმატიული აქტები.

1996 წელს საქართველოს კონსტიტუციის ზემოთ აღნიშნული დებულებების განხორციელების მიზნით მიღებული იქნა საქართველოს კანონი "გარემოს დაცვის შესახებ", რომლის მიზანია: გარემოს დაცვა მანვე ზემოქმედებისაგან; გარემოს ხარისხის გაუმჯობესება; მდგრადი განვითარება და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება; ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება; უნიკალური ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების დაცვა; გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემების გადასაჭრელად გარკვეული ძალისხმევის წარმართვა; გარემოს დაცვის სფეროში მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა; გარემოსდაცვითი განათლება.

საქართველოს კანონი "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" (1996 წ.) განსაზღვრავს დაცული ტერიტორიების დაარსების, განვითარებისა და ფუნქციონირების ასპექტებს; აყალიბებს მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოების სისტემას სხვადასხვა დონეზე და განსაზღვრავს სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიის ფარგლებში დასაშვებ საქმიანობებს.

საქართველოს კანონი "ცხოველთა სამყაროს შესახებ" (1996 წ.) არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს ცხოველთა სამყაროს

* საკანონმდებლო და ინსტიტუციური საკითხების მიმოხილვა მოცემულია 2006 წ. 15 ივლისის მდგომარეობით

ობიექტების დაცვისა და სარგებლობის მიმართულებით. კანონი, უშუალოდ ველური ფაუნის სახეობების დაცვის გარდა, ითვალისწინებს მათი ჰაბიტატების, სამიგრაციო გზების, გამრავლების ადგილების დაცვას, უზრუნველყოფს ველური ფაუნის მდგრად გამოყენებას და ქმნის სამართლებრივ საფუძველს მისი *in-situ* და *ex-situ* კონსერვაციისთვის.

"საქართველოს ტყის კოდექსი" (1999 წ.) არეგულირებს საქართველოს ტყის ფონდისა და მისი რესურსების მოვლასთან, დაცვასთან, აღდგენასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. "საქართველოს ტყის კოდექსის" მიხედვით განსაზღვრულია სახელმწიფო ტყის ფონდის ცნება, რომლის ქვეშაც იგულისხმება კანონმდებლობის საფუძველზე მისთვის მიკუთვნებული მიწებისა და მისი რესურსების (ტყეები) ერთობლიობა. კოდექსი ასევე არეგულირებს ტყის ფონდზე საკუთრების უფლებას. აღსანიშნავია, რომ კოდექსის თანახმად, დაშვებულია ტყის კერძო საკუთრებაში გადაცემა. კოდექსის მიღების მომენტში ტყის ფონდი მთლიანად გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად, ხოლო განსახელმწიფოებრიობის პროცესი უნდა დარეგულირდეს შესაბამისი კანონმდებლობით, რომლის შექმნის აუცილებლობასაც ითვალისწინებს კოდექსის მე-9.2 მუხლი. კოდექსის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს საქართველოს ტყის ფონდის დაცვა, ხელუხლებელი ტყეების თვითმყოფადობის შენარჩუნება, მცენარეთა რელიქტური, ენდემური და სხვა ძვირფასი სახეობების დაცვა.

აღსანიშნავია საქართველოს კანონი "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" (ამოქმედდა 1997 წლის 1 იანვრიდან) და საქართველოს კანონი "სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" (ამოქმედდა 1997 წლის 1 იანვრიდან). ამ კანონთა მიხედვით, ნებართვა ნებისმიერ საქმიანობაზე გაიცემა გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ.

2003 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ". კანონით სამართლებრივად განისაზღვრა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველებისა და ველური მცენარეების სახეობების საქართველოს "წითელი ნუსხისა" და ასევე, "წითელი წიგნის" (რომელსაც ენიჭება სარეკომენდაციო და მეთოდური ხასიათის მნიშვნელობა) იურიდიული დეფინიციები. კანონით ასევე განისაზღვრა, "წითელი ნუსხის" სტრუქტურა, ნუსხაში შესატანი სახეობების განსაზღვრის, ნუსხის პროექტის შემუშავების, მიღებისა და განახლების (გადასინჯვის) პროცედურები. აღნიშნული კანონი ასევე არეგულირებს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების "წითელ წიგნთან", საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვასთან, მოპოვებასთან, მათი აღდგენისა და შენარჩუნების ღონისძიებათა დაგეგმვასა და დაფინანსებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საქართველოს კანონი "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" ძალაში შევიდა 2005 წლის 4 აგვისტოდან. ამ კანონის მიხედვით, სატყეო სექტორთან მიმართებაში არსებობს: ტყეთსარგებლობის გენერალური ლიცენზია, რომელშიც შედის ხე-ტყის დამზადებისა და სამონადირეო მეურნეობის მოწყობის სპეციალური ლიცენზიები; და გარემოზე ზემოქმედების

ნებართვა.

ამ კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მასთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საქართველოს სხვა ნორმატიული აქტები. გარდამავალ პერიოდში საკითხები რეგულირდება მთავრობის დადგენილებებით.

გარდა ამ კანონებისა, არსებობს სხვადასხვა წლებში გამოცემული ნორმატიული აქტები (პრეზიდენტის ბრძანებულებები, პარლამენტისა და მთავრობის დადგენილებები, მინისტრისა და დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებები), რომლებიც არეგულირებს ტყეთსარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ესენია:

- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N479, 1996 წლის 24 ივლისი, “საქართველოს ტყეებში ზეზუური ხის გაცემის წესის შესახებ”;
- საქართველოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანება N0/161, 1996 წლის 7 დეკემბერი, “მოვლითი ჭრის წესის შესახებ” დებულების დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N6, 2000 წლის 10 იანვარი, “საქართველოს ტყეებში მთავრი სარგებლობის ჭრის წესის შესახებ დებულების დამტკიცებისა და ტყეების დაცვის, აღდგენა-განახლების მთელ რიგ ღონისძიებათა შესახებ”;
- საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანება N10/61, 2000 წლის 13 სექტემბერი, “სპეციალური ჭრისა და მისი განხორციელების წესის შესახებ” დებულების დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანება N10/27, 2000 წლის 22 თებერვალი, “საანგარიშო ტყეკაფის დადგენის წესის შესახებ” დებულების დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანება N10/93, 2000 წლის 28 მარტი, “ტყეკაფის გამოყოფის წესის შესახებ” დებულების დამტკიცების თაობაზე;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება N99, 2002 წლის 4 ოქტომბერი “უკანონო ტყითსარგებლობის შედეგად სახელმწიფო ტყის ფონდისათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების და ანაზღაურების წესის შესახებ” დებულების დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება N93, 2004 წლის 17 დეკემბერი “საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2002 წლის 4 ოქტომბრის N99 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში “უკანონო ტყითსარგებლობის შედეგად სახელმწიფო ტყის ფონდისათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების და ანაზღაურების წესის შესახებ” ცვლილებების შეტანის თაობაზე”;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N132, 2005 წლის 11 აგვისტო, “ტყით სარგებლობის ლიცენზიების და გაცემის წესისა და

პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე";

▪ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება N380, 2005 წლის 22 სექტემბრი "ხე-ტყის კანონიერებისა და წარმოშობილი დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ".

დღიდან გამოცემისა ამ ნორმატიულ აქტებში შესულია არაერთი არსებითი ცვლილება.

საქართველოს ტყეების მართვისა და კონტროლზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურები

საქართველოს ტყეების უდიდესი ნაწილი დღეისათვის არის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაქვემდებარებაში, მათ შორის: სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი განაგებს საქართველოს ტყეების - 82%-ს, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი - 8%-ს. ტყეების მცირე ნაწილი - 2%, ეკუთვნის ვ. გულისაშვილის სახელობის სატყეო ინსტიტუტს, ხოლო ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებს - 8% (ყოფილი ე.წ. საკოლმეურნეო ტყეები).

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო არის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების, აგრეთვე მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში. სამინისტროს პყავს ტერიტორიული ორგანოები, რომლებიც შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში თავისი ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენენ სამინისტროს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი - არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომლის მეშვეობითაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას სატყეო მეურნეობის სფეროში. დეპარტამენტის დაქვემდებარებაში შედის სატყეო მეურნეობები.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი - დეპარტამენტის დაქვემდებარებაში შედის დაცული ტერიტორიები (ეროვნული პარკები, ნაკრძალები, აღკვეთილები და სხვა).

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გენერალური ინსპექცია - წარმოადგენს სამინისტროს სისტემის შიდა უწყებრივი კონტროლის განმახორციელებელ ერთადერთ სტრუქტურულ ქვედანაყოფს, რომელიც თავისი საქმიანობით უზრუნველყოფს სამინისტროს

სისტემის მოსამსახურეთა მიერ ჩადენილ სამსახურებრივი გადაცდომისა და სხვა სახის სამართალდარღვევათა გამოვლენას, ხელს უწყობს მათი თავიდან აცილებისა და კანონშესაბამისი რეაგირების მიზნით მიმართულ მუშაობას.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, გარემოს დაცვის ინსპექცია - არის გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის ერთიანი ცენტრალიზებული ორგანო. მისი ძირითადი ამოცანებია: გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელება; ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა; სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიების /ნებართვების პირობების შესრულების კონტროლი.

**ტყის უკანონო ზრასთან დაკავშირებული
აქტუალური საკითხები
კითხვები და პასუხები**

სატყეო სფერო ძალზე რთულია. დაუხვეწავი და წინააღმდეგობრივი კანონმდებლობა, კორუფციის მაღალი დონე, რომელშიც ტრადიციულად ჩაბმულნი არიან ერთდროულად სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები (როგორც მაღალი რანგის, ისე რიგითი მოხელეები), ბუნდოვანი, არაერთმნიშვნელოვანი წესები და ნორმები, არაზუსტი დოკუმენტური მასალა - ეს იმ ფაქტორების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც ართულებენ სატყეო სფეროში დარღვევების აღმოჩენასა და მონიტორინგს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სატყეო სფერო მეცნიერების რთული და კომპლექსური დარგია და მასში გარკვევა სათანადო განათლებას საჭიროებს. ტყე ცოცხალი ორგანიზმია და მხოლოდ თეორიული განათლება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ადამიანი გაერკვეს, ერთის მხრივ, ტყის ეკოსისტემებში მიმდინარე ბუნებრივ პროცესებში, მეორეს მხრივ კი, შესაძლო დარღვევებში, რომლებიც ხდება სატყეო მეურნეობის მართვისა თუ ტყის პროდუქტებით ვაჭრობისას.

მიუხედავად ჩამოთვლილი სირთულეებისა, სატყეო სფეროში არსებული დარღვევები ხშირად ძალზე თვალსაჩინოა და მონდომებული ადამიანი, მცირეოდენი უნარ-ჩვევების ათვისებისა და დაკვირვებულობის ხარჯზე, ადვილად შეიძლება აღმოაჩინოს უკანონო ქმედებები.

ჩვენ გადავწყვიტეთ კითხვა-პასუხისა და კომენტარების სახით მოგვეწოდებინა ის ინფორმაცია, რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებთ და სჭირდებათ სატყეო სფეროში მიმდინარე პროცესებით დაინტერესებულ მოქალაქეებს და გამოსადეგი იქნება დარღვევების აღმოჩენისა და დამოუკიდებელი მონიტორინგის წარმოებისთვის.

რას ნიშნავს სახელმწიფო ტყის ფონდი?

სახელმწიფო ტყის ფონდი არის საქართველოს სახელმწიფო ტყის, საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მიკუთვნებული მიწებისა და მისი რესურსების ერთობლიობა. სახელმწიფო ტყის ფონდი არ გულისხმობს მხოლოდ ტყით დაფარული ტერიტორიებს. აქ შეიძლება წარმოდგენილი იყოს საძოვრები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სანერგეები, ნაკაფები, ნახანძრავები, მინდვრები და სხვა.

საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდში შედის სამეურნეო ტყის ფონდი და დაცული ტერიტორიები. სამეურნეო ტყის ფონდს განაგებს საქართველოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, ხოლო დაცულ ტერიტორიებს - დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი.

რა არის ტყითსარგებლობა?

ტყითსარგებლობა არის ტყის ფონდის სასარგებლო თვისებების გამოყენება და სხვადასხვა რესურსის მოპოვება. საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულია ტყითსარგებლობის რამდენიმე სახეობა: ხე-ტყის დამზადება, პლანტაციური მეურნეობის წარმოება, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობა, სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა, სპეციალური და მიზნის წესით სარგებლობა, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობა, საკურორტო, რეკრეაციული და სხვა მიზნით სარგებლობა, სამონადირეო მეურნეობის მოწყობა. თითოეული მათგანისთვის საჭიროა გაკვეთილი ტიპის ნებართვა.

რა არის ხე-ტყის დამზადება?

ხე-ტყის დამზადება არის ტყით სარგებლობა მერქნის მიღების მიზნით, რაც მოიცავს ხეების მოჭრას, სამანქანო გზამდე მოთრევას და დახარისხებას. საქართველოს კანონმდებლობით, ხე-ტყის დამზადების მიზნით ხორციელდება მთავარი სარგებლობის ჭრა და მოვლითი ჭრის ერთ-ერთი სახე - გავლითი ჭრა, თუ უზრუნველყოფილია მერქნის თანაბარი და უწყვეტი მოპოვების პირობები ტყის ბუნებრივი თვისებების ზიანის მიუყენებლად. ხე-ტყის დამზადება შეიძლება აგრეთვე განხორციელდეს მოვლითი ჭრის გაწმენდით, გამოსწორებით, სარეკონსტრუქციო და სანიტარული ჭრის სახეებით და სპეციალური ჭრით (ქვემოთ იხილეთ დაწვრილებით).

რა არის ტყის არამერქნული რესურსები?

ტყის არამერქნულ რესურსებში იგულისხმება ბიოლოგიური წარმოშობის პროდუქტები, რომლებიც მოიპოვება ტყის ფონდის ტერიტორიაზე. ტყის არამერქნული რესურსები შეიძლება შეგროვებული იყოს ველური ბუნებიდან, სატყეო პლანტაციებიდან, ან ცალკე ტყის გარეთ მდგომი ხეებიდან. მაგალითად, ასეთებია: საკვებად ან საკვების დანამატებად გამოყენებული პროდუქტები (თხილი, კაკალი, ხილი, კენკრა, სანელებლები, ბალახები, სოკოები), მცენარეული ბოჭკო, გირჩები, ბალახოვანი მცენარეების ნაწილები (გორლები, ბოლქვები), ფისი (წებოს მისაღებად), სამედიცინო, კოსმეტიკური და კულტურული მიზნით გამოსაყენებელი პროდუქტები.

რა არის ბიომრავალფეროვნება (ბიომრავალფეროვნება)?

ბიოლოგიური მრავალფეროვნება (ბიომრავალფეროვნება) - ლანდშაფტების, ეკოსისტემების, სახეობების ბუნებრივი მრავალფეროვნება, ასევე შიდასახეობრივი გენეტიკური მრავალფეროვნება გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, მისთვის საფრთხის

არიდება სამეურნეო საქმიანობის დროს, სავალდებულო საქართველოს კანონმდებლობით. ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს მისი ბუნებრივი ელემენტების შემცირება (მაგ. მთიანი ეკოსისტემების ან მისი ცალკეული ელემენტების შემცირება და განადგურება), ან ბუნებრივ გარემოში უცხო სახეობების გავრცელება.

რა არის ტყეთმომწყობა?

ტყეთმომწყობა არის სამუშაოთა კომპლექსი, რომლის ფარგლებში ხდება ტყეების მდგომარეობის შეფასება და მათი გამოყენების, აღწარმოების და დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის ტყის რესურსების ინვენტარიზაციისა და სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვის პროცესი.

საქართველოს ტყის კოდექსის თანახმად, საქართველოს ტყეებში ტყეთმომწყობის მასალების გარეშე აკრძალულია ტყითსარგებლობისა და სატყეო სამეურნეო სამუშაოების წარმოება, სტიქიური უბედურების შემთხვევების გარდა. საქართველოში ტყეთმომწყობა ყოველ ათ წელიწადში ერთხელ უნდა ტარდებოდეს. იმ სატყეო ფართობებში, სადაც ტყეთმომწყობა ათ წელზე მეტია არ ჩატარებული, ჭრების დანიშვნა არ შეიძლება. ტყეთმომწყობის შედეგად დგინდება სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრები, განისაზღვრება ტყეების მდგომარეობა, მათი სახეობრივი შემადგენლობა, ასაკი, ხდება რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება, ტყითსარგებლობის უბნების დადგენა, ჭრის სახეების დაპროექტება, ტყის მდგომარეობიდან და ადგილის ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ტყის ბიოლოგიური და პათოლოგიური გამოკვლევა, წითელ ნუსხაში შეტანილი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი იშვიათი, რელიქტური და ენდემური მცენარეების გავრცელების არეალის მქონე უბნების გამოვლენა.

ტყეთმომწყობის მასალების საფუძველზე, სპეციალური მეთოდიკით, ხდება ტყის ფონდის ადგილობრივი ტერიტორიული ორგანოების (სატყეო მეურნეობების) ტერიტორიებზე მთავარი სარგებლობის ჭრებით ხე-ტყის დამზადების ყოველწლიური შესაძლო ოპტიმალური ოდენობის (საანგარიშო ტყეკაფის) დადგენა. ტერიტორიული ორგანოების საანგარიშო ტყეკაფების ჯამით მიიღება რეგიონების, ან მთლიანად ქვეყნის საანგარიშო ტყეკაფის ოდენობა.

ასევე ტყეთმომწყობის მასალების საფუძველზე დგინდება მოვლითი და სპეციალური ჭრების მოცულობები და ვადები.

სტიქიური მოვლენების, ტყის მავნებლების და დაავადებების გავრცელების, ხანძრების შემთხვევაში ხე-ტყის დამზადების მოცულობები და ვადები დგინდება სპეციალური გამოკვლევების მასალების საფუძველზე.

გზების, მილსადენების, ელექტროტრასების, დატბორვის ზონების ან სხვა ობიექტების მშენებლობისას, თუ ეს უკავშირდება ხე-ტყის ჭრას, მისი მოცულობები და ვადები განისაზღვრება კონკრეტული ობიექტების მშენებლობის დამტკიცებული პროექტების საფუძველზე.

რა არის ტყეკაფი?

ტყეკაფი არის ტყეში გამოყოფილი განსაზღვრული ფართობის ადგილი, რომელზეც მონიშნულია მოსაჭრელი ხეები და ტყიდან გამიჯნულია ვიზირებით, ან ბუნებრივი საზღვრებით და ამასთანავე, ტყეკაფის ნომრისა და ფართობის აღმნიშვნელი ბოძით. ბოძზე უნდა მიეთითოს გამოყოფის ადგილი, წელი და ჭრის სახე. ტყეკაფის ფარგლებს გარეთ ჭრა უნებართვოდ / უკანონოდ ითვლება.

საქართველოს ტყის ფონდის განსაზღვრულ უბანზე ტყეკაფის გამოყოფა ხდება ტყეთმოწყობის მასალების საფუძველზე.

ტყეკაფის გამოყოფა ტყეში ხდება მისი ექსპლუატაციაში გადაცემამდე. ამისათვის დგება მისი ათვისება-დამუშავების დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია, ტყეკაფის ფორმა და გამოყოფის დროს განსაზღვრული ძირითადი მაჩვენებლები: ტყეკაფის ფართობი, შემადგენლობა, სიხშირე, სახეობის მიხედვით მოსაჭრელი ხე-ტყის მარაგი კუბურ მეტრებში, მერქნის საშუალო მარაგი 1-ჰა-ზე, ხის ღეროს საშუალო მოცულობა, მოზარდის სიხშირე და მოსაჭრელი მერქნიანი სახეობები. ტყეკაფზე თითოეულ მოსაჭრელ მერქნიან ხემ-მცენარეს აქვს თავისი ინდივიდუალური ნომერი და დამლა ფესვის ყელთან. ნომერი იწერება ტყეკაფის დოკუმენტში და აღნიშნული ხის მოჭრის კანონიერებას აღნიშნავს. უნომრო და დაუდამლავი ხის მოჭრა ითვლება უნებართვოდ / უკანონოდ.

ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა, რომელსაც გააჩნია ტყითსარგებლობის ლიცენზია, ტყეკაფზე ჭრის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს და სატყეო მეურნეობასთან შეათანხმოს ტყეკაფის ათვისების ტექნოლოგიური რუკა - დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფართობის, რელიეფის, ნიადაგის, ჭრის ფორმის, მორის თრევის სახეობის, ხე-ტყის ზედა საწყობის ადგილის, დასატვირთი მოედნის, ხე-ტყის საზიდი გზების განლაგების, ტყის ბუნებრივი განახლების უზრუნველყოფის, ეროზიისაგან დაცვის და ტყეკაფზე არსებული მოზარდის შენარჩუნების შესახებ.

რას ნიშნავს კორომის სიმწიფის ასაკი?

კორომის სიმწიფის ასაკი არის ასაკი, რომელშიც კორომი იძენს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებიან სამეურნეო მიზნებს. ანსხვაგვებენ რაოდენობრივი სიმწიფის ასაკს (ასაკი, რომელშიც ერთი ასაკისა და სახეობის ხეებისაგან შემდგარი კორომი მოცემულ პირობებში აღწევს ცოცხალი ხის მერქნის მაქსიმალურ ოდენობას), სასაქონლო სიმწიფის (ასაკი, რომელშიც შეიძლება მიღებულ იქნეს სამასალე მერქნის მაქსიმალური ოდენობა), ბიოლოგიური სიმწიფის (ასაკი, რომლის შემდგომ იწყება ერთი ასაკის კორომის სწრაფი დაშლა) და სხვ. სხვადასხვა ასაკის ხეებისაგან შემდგარი კორომისათვის "სიმწიფის ასაკის" ცნება პრაქტიკულად არ გამოიყენება.

რას ნიშნავს კორომის სიხშირე?

სიხშირე განსაზღვრავს ხეობის დგომის სიმჭიდროვეს. ნორმალურ კორომში (ტყის უბანში), სადაც ხეობის დგომის სიმჭიდროვე იმდენად ხშირია, რომ იქ შეუძლებელია ხის ჩამატება, მიჩნეულია 1.0 სიხშირის კორომად. აქედან გამომდინარე კორომის სიხშირე შეიძლება იყოს 0.9, 0.8, 0.7, 0.6, 0.5, 0.4, 0.3, 0.2, 0.1.

რა არის მერქნის მარაგი?

მერქნის მარაგი არის მოზარდი ხეების ვარჯის საერთო მოცულობა (გამოსახული კუბური მეტრებით ერთ ჰექტარზე). ჩვეულებრივ გამოიყენება "საძირე მარაგი", ანუ მერქნის საერთო მარაგი, კერწერობისა და ჯირკების ჩათვლით. ე.წ. "ლიკვიდური მარაგი" ანუ მარაგი, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას სამეურნეო მნიშვნელობით, 10-15%-ით ნაკლებია, ვიდრე "საძირე მარაგი". ლიკვიდურ მარაგში შედის როგორც სამასალე, ისე საშეშე მერქანი (ანუ სამშენებლო საქმიანობისათვის შესაძლოა გამოყენებულ იქნას ლიკვიდური მარაგის მხოლოდ ნაწილი).

რა არის სატყეო პლანტაციები?

სატყეო პლანტაციები ეწოდებათ ხელოვნურად შექმნილი ტყის კულტურების ნარგავებს, რომელთა მთელი არსებობის განმავლობაში მიმდინარეობს მოვლითი ღონისძიებები (შესაძლოა სასუქების გამოყენება და ნიადაგის სპეციალური დამუშავება), მინიმალურ დროში მაქსიმალური რაოდენობის მერქნის მიღების მიზნით. ტყის პლანტაციები უფრო გავრცელებულია ტროპიკულ და სუბტროპიკულ განედებში. ჩრდილოეთის ქვეყნების ცივი კლიმატი არ იძლევა მოკლე პერიოდში (10-20 წელი) სასაქონლო მერქნის მიღების შესაძლებლობას.

რას ნიშნავს ლიკვიდური მერქანი (ლიკვიდი)?

ლიკვიდური მერქანი არის მერქნის ნაწილი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ადამიანის მიერ. ამასში სამასალე მერქანი და გაუქერქავი საშეშე მერქანი. ზოგადად მიღებულია, რომ ლიკვიდური მერქანი მერქნის საერთო მარაგის დაახლოებით 0,87 შეადგენს.

ტყის ჭრის რა წესები მოქმედებს ჩვენს ქვეყანაში?

ჭრის წესების საფუძვლები მოცემულია საქართველოს კანონში "საქართველოს ტყის კოდექსი". ჭრა რეგულირდება ამ კანონით ასევე მისგან გამომდინარე დებულებებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით. ამ წესების დაცვა სავალდებულოა ყველა

უწყებისათვის, რომელთა გამგებლობაშიც არსებობს ტყეები, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რომლებიც ეწევიან ტყეში ნებისმიერი ჭრის სახეობით მერქნის დამზადებას.

საქართველოს ტყის კოდექსი ითვალისწინებს ძირითადად სამი სახის ჭრის წესს: მთავარი სარგებლობის, მოვლით და სპეციალურ ჭრებს. თავის მხრივ ეს ჭრებიც იყოფა სხვადასხვა სახეებად.

ტყის ჭრის სახეების შერჩევა წარმოებს მერქნიან სახეობათა ბიოლოგიური და ეკოლოგიური თავისებურებების, ტყის ტიპების, ტყის ბუნებრივი განახლების მდგომარეობის, ეროზიის წინააღმდეგ ნიადაგის მდგრადობის, ფერდობთა ექსპოზიციისა და დაქანების სიმკვეთრის შესაბამისად.

მთავარი სარგებლობის ჭრების სახეებია: პირწმინდა ჭრა, თანდათანობითი ჭრა, ჯგუფურ-ამორჩევითი ჭრა და ნებით-ამორჩევითი ჭრა. თითოეული მათგანის უნდა დაინიშნოს შესაბამისი ბუნებრივი პირობებისა და მოსაჭრელი სახეობის გათვალისწინებით.

ჭრის წესების თანახმად, მთავარი სარგებლობის ჭრები არ შეიძლება დაინიშნოს შემდეგ ტყის კატეგორიებში:

- სახელმწიფო ნაკრძალებში;
- ეროვნულ პარკებში;
- აღკვეთილებში;
- ბუნების ძეგლებში;
- დაცული ლანდფშატებში;
- საკურორტო ზონის ტყეებში;
- მწვანე ზონის ტყეებში (დაცული, ბუნებრივი ან ხელოვნური ტყე, რომელიც დასვენების და სანიტარულ-საკურორტო დანიშნულებით გამოიყენება); ამასთანავე,
- განსაკუთრებული დაცვითი მნიშვნელობის მქონე ტყის უბნებში, რომელთაც მიეკუთვნებიან:

⇒ სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლები (ბუნებრივი ან ხელოვნური ნარგაობები, რომლებიც დასახლებული პუნქტების, რკინიგზის და საავტომობილო გზების, არხების, სავარგულების და მდინარეთა წყლის რეგულირების მიზნითაა შექმნილი);

⇒ ჭალის ტყეები (მდინარეთა ხეობებში გავრცელებული ტყეები, რომლებიც სეზონურად იტბორება);

⇒ სუბალპური ზონის 300 მ სიგანის არეალში არსებული ტყეები (გარდამავალი ზოლი ტყის სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე, სადაც მიმდინარეობს ბრძოლა მერქნიან და ბალახოვან მცენარეებს შორის);

⇒ ტყის უბნები რელიქტიური, ენდემური და ძვირფასმერქნიანი სახეობების გაბატონებით;

⇒ 35⁰-ზე მეტი დაქანების ფერდობები;

⇒ მდინარეების, ტბების, წყალსაცავების გასწვრივ 300 მ სიგანის ნაპირდამცავი ტყის უბნები;

⇒ რკინიგზის და საავტომობილო გზების გასწვრივ 100 მ სიგანის ტყის ზოლები.

მთავარი სარგებლობის ჭრა ინიშნება 0,6 და მეტი სიხშირის ტყის უბნებში. ჭრის ჩატარების შემდეგ, ტყენაკაფზე დაზიანებული ხეების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დარჩენილი ხეების 10%-ს. ტყენაკაფზე დარჩენილი ხის წვრილი ნარჩენები მოზარდისაგან თავისუფალ ადგილებზე, მკვრივ ხურგებად დაიწყოება ტყის მავნებლების დასახლების თავიდან აცილების მიზნით და დასალპობად დარჩება, ან წვრილად დაიჭრება და მთელ ფართობზე თანაბრად გაიფანტება.

მთავარი სარგებლობის ჭრების ჩატარება სხვადასხვა მერქნიანი სახეობების კორომებში კიდევ განსაკუთრებულ წესებად არის ჩამოყალიბებული: (1) ჭრები ფიჭვნარებში, (2) ჭრები წიფლნარებში, ნაძვნარებში და სოჭნარებში, (3) ჭრები რცხილნარებში, (4) ჭრები მურყნარებში, არყნარებში, ვერხვნარებში.

მოვლითი ჭრები - ჭრის აღრიცხვის კატეგორია, რომელიც ფორმალურად მიმართულია მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოსაყალიბებლად, სასარგებლო ფუნქციების შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად და მერქნის დასამზადებლად. მოვლითი ჭრის მრავალი სახეობა არსებობს, რომელთა ნაწილი მხოლოდ თეორიულად არსებობს. ასეთია მაგალითად, ხმელი ტოტების მოჭრა, ქვეტყის მოვლა, ტყისპირების მოვლა. ზოგიერთი სახეობის მოვლითი ჭრა, თავისი დაშვებული პარამეტრებით, უახლოვდება მთავარი სარგებლობის ჭრებს და უკანასკნელისგან განსხვავებით შეიძლება ჩატარდეს ისეთ ტყეებში, სადაც მთავარი სარგებლობის ჭრები დაშვებული არ არის (ფერდობებზე, საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში). საქართველოს (ასევე რუსეთის) ბევრ რეგიონში მერქნის დამზადება ხდება მოვლითი ჭრების საშუალებით.

საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობით, არსებობს შემდეგი სახეობის მოვლითი ჭრები, რომლებიც განისაზღვრება კორომთა ხნოვანებისა და ფუნქციური დანიშნულების მიხედვით: განათებითი, გაწმენდითი, გამოხშირვითი, გავლითი, სანიტარული და სარეკონსტრუქციო.

მოვლითი ჭრა ტარდება 0,7 და მეტი სიხშირის ტყის უბნებში. ჭრის მიზანია ტყეების ნიადაგდაცვითი, წყალმარეგულირებელი, სანიტარულ-ჰიგიენური, ხარისხობრივი და სახეობრივი შემადგენლობის და სტრუქტურის გაუმჯობესება.

სანიტარული ჭრა მოვლითი ჭრის ყველაზე გავრცელებული სახეა. სინამდვილეში ეს არის ჭრის კატეგორია, რომელიც მიმართულია კორომის მდგომარეობის შესანარჩუნებლად / გასაუმჯობესებლად, რომლის დროსაც უნდა გამოტანილ იქნეს გამხმარი, დაკნინებული, მავნებლებითა და დაავადებებით დაზიანებული ხეები. 90-იანი წლებიდან სანიტარული ჭრები ჩვენში, ისევე როგორც რუსეთში, გამოიყენებოდა სამრეწველო მიზნით მერქნის დამზადების შესანიღბავად ისეთ ტყეებში, სადაც სხვა სახეობის ჭრები არ იყო დაშვებული.

კანონმდებლობის მიხედვით, სანიტარული ჭრა მოვლითი ჭრის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ინიშნება 0,4 და მეტი სიხშირის ტყის უბნებში, სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით და გულისხმობს უბნის ტერიტორიაზე ხეხმელი, ხმობადი, ფაუტი (ფუტურო) და მავნებლებით

ძლიერ დაზიანებული ხეების მოჭრას. ყველა ძლიერ დაზიანებული ხე, რომელთაც აღარ აქვთ მომავალში ზრდის საშუალება, უნდა მოიჭრას. მდინარის ნაპირებზე 30-50 მეტრის სიგანეზე არ დაიშვება ტრაქტორის მოძრაობა. რკინიგზისა და გზების გასწვრივ, აგრეთვე, მწვანე ზონის და საკურორტო ტყეებში დაშვებულია მხოლოდ მოვლითი ჭრის სახე. ტყის სისშირე ჭრის შემდეგ არ უნდა დავიდეს 0,6-ზე ქვევით. სუბალპურ 300 მ-იან ტყის ზოლში იჭრება მხოლოდ ზეხმელი, ფაუტი და მავნებლებით დაზიანებული ხეები.

სპეციალური ჭრა ხორციელდება აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციალური დანიშნულებით, აგრეთვე, მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ტყის მართვის ორგანოსთან წინასწარი შეთანხმებით.

ჭრის წესების თანახმად, სპეციალური ჭრა შესაძლოა განხორციელდეს: ჰიდროკვანძების, მილსადენების, გზების, კავშირგაბმულობის და ელექტრო-გადამცემი ხაზების, არხების მშენებლობისას და აუცილებელი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებისას, სატყეო-სამელიორაციო, სატყეო-საკულტურე და სხვა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელებისას, კარიერების დამუშავებისა და წიაღისეულის ამოღებისას და სხვ. სპეციალური ჭრა არ შეიძლება დაიგეგმოს:

- ნაკრძალში, ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონაში, ბუნების ძეგლში, დაცულ ლანდშაფტში;

- სუბალპურ ზოლში;

- ეროზირებულ, დამეწყრილ და ეროზიასაშიშ ტერიტორიაზე.

სპეციალურ ჭრას არ ექვემდებარება:

- წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობა;

- ენდემური, რელიქტური და ძვირფასმერქნიანი სახეობა;

- ისტორიული, მემორიალური და სხვა ღირებულების მქონე ერთეული ხეები.

რა არის ლიცენზია?

ლიცენზია არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული (ტყითსარგებლობის შემთხვევაში ეს არის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო) საქმიანობის განხორციელების უფლების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი. იგი შეიძლება გაიცეს მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდებით, აუქციონის წესით. ტყითსარგებლობის ლიცენზია (გენერალური და სპეციალური) მიეკუთვნება სარგებლობის ლიცენზიის სახეობას. ის გაიცემა აუქციონის წესით. ლიცენზიის მფლობელს უშუალოდ დაეკისვება ლიცენზია, ან გადასცეს სხვა პირს, მათ შორის მემკვიდრეობით. აუქციონს გამართვისა და საწყისი ფასის დადგენის წესი მტკიცდება მინისტრის ბრძანებით. ლიცენზიის მაძიებელმა განაცხადი უნდა შეიტანოს აუქციონის გამართვამდე არაუგვიანეს 15 დღისა. იგი ვალდებულია წინასწარ გადაიხადოს "ბე". აუქციონი ტარდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ან მის მიერ მითითებულ სხვა მისამართზე.

რა არის ტყის საჭრელი ბილეთი?

ტყის საჭრელი ბილეთი მოქმედებდა 2005 წლამდე, "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებამდე. ყოველწლიურად იწერებოდა და ეძლეოდა ხე-ტყის დამამზადებელს. ის წარმოადგენდა ოფიციალურ დოკუმენტს მერქნის მოჭრა-დასამზადებლად. ბილეთში მითითებული იყო ტყეკაფი (ადგილი), მასზე მოსაჭრელი მერქნიანი სახეობა და მისი რაოდენობა კუბურ მეტრებში. არანაირი სხვა დოკუმენტი, სიტყვიერი ან სხვაგვარი შეთანხმება, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირსა და სატყეო მეურნეობის ნებისმიერი თანამდებობის პირს შორის არ იძლეოდა ტყის ჭრის ნებართვას. შესაბამისად, ტყის საჭრელი ბილეთის გარეშე ტყითსარგებლობა, ხე-ტყის ჭრა, უნებართვო (უკანონო) ჭრას ნიშნავდა. აღნიშნული საკითხის განხილვა ამ ეტაპზე მიმდინარეობს და შეიძლება მომავალში აღდგეს ეს სანებართვო მოწმობა.

როგორ უნდა მოვიპოვოთ ტყითსარგებლობის ლიცენზია?

ტყითსარგებლობის ლიცენზიის მოპოვება ხდება აუქციონით. ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მისაღებად აუქციონში მონაწილეობისათვის საჭიროა:

1. განცხადება, სასურველი ტყეკაფის მითითებით. სამინისტრო წინასწარ აკეთებს განცხადებას, თუ რომელ ტყეკაფზე ცხადდება აუქციონი;
2. იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმის მიერ სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის _ იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა, განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლები.
3. სალიცენზიო მოსაკრებლის და საწყისი ფასიდან "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიის მისაღებად საჭიროა:

1. განცხადება;
2. კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის - სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები; ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. ხოლო საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები;
3. სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
4. სამონადირეო სავარგულების გამოყოფისათვის საჭირო წინასწარი დასკვნა (მხოლოდ აუქციონის გამოცხადებამდე).

რა გადასახადები/მოსაკრებლებია საჭირო ტყითსარგებლობის ბანსახორციელებლად?

ტყითსარგებლობის ლიცენზია, ისევე როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობის სხვა ლიცენზიები, გაიცემა აუქციონის წესით. ლიცენზია ენიჭება იმ პრეტენდენტს, რომელიც აუქციონის მსვლელობისას (ვაჭრობის პროცესში) დააწესებს ყველაზე მაღალ ფასს. აუქციონი ტარდება ღია წესით, ხელმისაწვდომია ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის და საჯაროა. აუქციონის საწყისი ფასი გამოითვლება სპეციალური მეთოდით და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დგინდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებით.

აუქციონის გამართვამდე ლიცენზიის მაძიებელი ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით (სამინისტროს მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე) იხდის გადასახდელ “ბე“-ს, რომელიც შეადგენს საწყისი ფასის 20%-ს. აუქციონში ვერგამარჯვების შემთხვევაში “ბე” უკან ბრუნდება, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება აუქციონის საბოლოო ფასში.

ლიცენზიის მაძიებელი ასევე იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს.

ტყითსარგებლობის გენერალური ლიცენზიის ან ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მისაღებად გამართულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს ხე-ტყის შესაბამისი მოცულობის ტყეკაფების გამოყოფის მიზნით სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

ლიცენზიის მოპოვების შემდეგ მფლობელმა ტყითსარგებელემ მოპოვებული რესურსის ოდენობის მიხედვით ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა გადაიხადოს რესურსის მოსაკრებელი.

როგორ უნდა აიღოს სოფლად მცხოვრებმა მოსახლემ შეშის მოჭრის ნებართვა?

ადგილობრივი მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის ხე-ტყეს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, გასცემენ სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის შესაბამისი სატყეო მეურნეობები, ან დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის შესაბამისი დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. შეშის მოპოვების მსურველმა მათ უნდა მიმართოს წერლობით. იგივე ორგანოები გასცემენ საშეშე მერქნის კანონიერების დამადასტურებელ დოკუმენტს.

რას ნიშნავს ფაუტიანი ხეები?

ფაუტიანი ხეები ეწოდება ხეებს დაზიანებული ვარჯით, ან სხვადასხვა დეფექტით (ორკერწეროიანი, ფულუროიანი, გადატეხილი, დაღრეცილი და ა.შ.), რითაც მათი მერქნის კომერციული ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება. ფაუტიანი ხეებს ხშირად გააჩნიათ დიდი მნიშვნელობა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების თვალსაზრისით, იმდენად, რამდენადაც ასრულებენ ბუდის, ბუნაგის თავშესაფარის ფუნქციას, წარმოადგენენ სუბსტრატს სოკოებისა

და სხვა ორგანიზაციებისათვის.

კანონმდებლობის მიხედვით, რა საბაზოებია საჭირო ხე-ტყის ბადასაზიდად?

ხე-ტყის გადასაზიდად საჭიროა “ხე-ტყის კანონიერებისა და წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტები”, რომელიც მეწარმემ უნდა იქონიოს ხე-ტყის ტრანსპორტირებისას და წარუდგინოს საბაზო ორგანოებს. მისი გაცემის წესი და ფორმა დამტკიცებულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებით. ის უნდა გასცენ იმ ადგილობრივმა სატყეო მეურნეობებმა, სადაც მოხდა რესურსის მოპოვება. მოჭრილი ხის ნომერი (რომელიც აღნიშნულია ფესვის ყელზე) გადატანილ უნდა იქნას მოჭრილი ხისაგან დამზადებულ მორზე. დაუნომრავი მორის ტრანსპორტირება აკრძალულია. ხე-ტყის ტრანსპორტირების ასეთი წესები მოქმედებს 2005 წლის შემოდგომიდან. ექსპორტის განსახორციელებლად საჭიროა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემული წარმოშობის სერტიფიკატი. ეს უკანასკნელი კი გაცივმა ექსპერტიზის აქტის საფუძველზე.

რა არის უკანონო ჭრა?

უკანონო ჭრა არის სათანადო სანებართვო მოწმობის გარეშე ჩატარებული ჭრა. ცალკე გამოყოფენ "დარღვევით ჩატარებულ ჭრებს". მაგალითად, თუ ვინმე მოჭრის ხეს ლიცენზიის ან ბილეთის გარეშე, ეს არის უკანონო ჭრა. ხოლო თუ ლიცენზიის ან ბილეთის მფლობელმა არ დაიცვა ტყითსარგებლობის წესები: ნარჩენები ადგილზე დატოვა, მოჭრა დაუნომრავი ხე და ა.შ ამას უწოდებენ ხოლმე "ჭრის წესების დარღვევას".

ვის ევალება ტყის დაცვა უკანონო ჭრებისაგან და ჭრის ფესვების დაცვაზე კონტროლი?

საქართველოს ტყის ფონდის სწორად მართვასა (მდგომარეობა, მოვლა, დაცვა, აღდგენა და გაშენება) და განკარგვაზე, (ტყითსარგებლობა) სახელმწიფოს მხრიდან კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით (სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი, გარემოს დაცვის ინსპექცია).

სატყეო მეურნეობასა და დაცულ ტერიტორიაზე მომუშავე ტყის დაცვის თანამშრომელს უფლება აქვს: აღკვეთოს უნებართვო ჭრები, შეამოწმოს ტყითსარგებლობის დოკუმენტები, გააჩეროს სატრანსპორტო საშუალებები და მოახდინოს მათი დათვალიერება კანონიერების დადგენის მიზნით. ხე-ტყისა და ტყის სხვა რესურსების მოპოვების კანონიერების დამადასტურებელი საბუთების უქონლობის შემთხვევაში, მოახდინოს მათი

ჩამორთმევა, შეაჩეროს და აკრძალოს ტყითმოსარგებლეთა სამეურნეო საქმიანობა, თუ იგი არ შეესაბამება დოკუმენტს და შეადგინოს ოქმი დარღვევების შესახებ.

ტყის დაცვის თანამშრომელი პასუხს აგებს: ტყის მდგომარეობაზე, მის არადანიშნულებისამებრ გამოყენებაზე, ტყის ჭრის წესების დარღვევაზე, უკანონო ჭრებზე და სხვა ტყის კოდექსით განსაზღვრული წესების დარღვევაზე.

ტყის ჭრის წესების დაცვა და მის დაცვაზე კონტროლი უშუალოდ ევალება სატყეო მეურნეობის ადმინისტრაციას, ხოლო სატყეო მეურნეობებში - სატყეოს უფროსს.

სატყეო მეურნეობა სისტემატიურად აკონტროლებს ტყით მოსარგებლეების მიერ ამ წესების დაცვას, ხოლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ აწარმოებს ჭრის ადგილების შემოწმებას ტყეკაფების ათვისების, ხე-ტყისა და ტყის მეორეხარისხოვანი მასალების გამოუზიდავად დატოვების შემთხვევების გამოვლენის მიზნით. შემოწმება ხორციელდება სამუშაოთა დამთავრების შემდეგ არაუგვიანეს შემდეგი ვადებისა:

ა) ჭრის ადგილების - ხე-ტყის გამოზიდვისათვის დადგენილი ვადის დამთავრებიდან 30 დღეში;

ბ) ტყის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების ადგილების - გამოზიდვისათვის დადგენილი ვადის დამთავრებიდან 30 დღეში.

სატყეო მეურნეობა შემოწმების თარიღის შესახებ ტყითმოსარგებლეს აცნობებს დანიშნულ ვადადღე 15 დღით ადრე.

2005 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში შეიქმნა გარემოს დაცვის ინსპექცია (ბფი). მის ერთ-ერთ მთავარ მოვალეობას წარმოადგენს სატყეო სფეროში უკანონო ქმედებების (უკანონო ჭრა, ჭრის წესების დარღვევა და სხვ.) გამოვლენა და აღკვეთა.

რა სახის დარღვევები შეიძლება ნახოთ ტყეში?

ჭრა ტყეკაფის გარეშე

ხე-ტყის დამზადება დაშვებულია მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილი ტყეკაფის ფარგლებში. ჭრა უკანონოა (უნებართვოა), თუ ის ტყეკაფის გამოყოფის გარეშე, გამოყოფილი ტყეკაფის ფარგლებს გარეთ, დაშვებულზე მეტი რაოდენობით, ყალბი ან ვადაგასული დოკუმენტებით ხორციელდება. უნებართვოდ ზეხმელი, ჩახერგილი, მათ შორის წაქცეული ხეების მოჭრა და დამზადებაც კი აკრძალულია!

ტყეკაფზე ყველა მოსაჭრელ ხეს აქვს თავისი ინდივიდუალური ნომერი და დამლა ფესვის ყელთან. ასეთი მონიშნული ხეების არსებობაც ტყეკაფის გამოყოფის მაჩვენებელია. თუ ვერ ვნახავთ ტყის ჭრის ადგილას ტყეკაფის მაჩვენებელ ბოძებსა და ვიზირებს, ასევე დანომრილ ხეებს, ეს ნიშნავს, რომ ჭრა ტარდება ტყეკაფის გარეშე, ან მის ფარგლებს გარეთ და ეს უკვე მიზეზია, რომ მივმართოთ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს (ბფი-ს).

ხშირად ბოძები მხოლოდ ტყეკაფის ერთ მხარეზეა, რათა დამღრვევმა ზერელე შემოწმებას "გაუძლოს". ტყის სიღრმეში კი წესიერად არ არის

ხოლმე აღნიშნული ტყეკაფის საზღვრები. ხშირად ბოძებზე არ არის სრული ინფორმაცია ტყეკაფის შესახებ. ესეც კანონის დარღვევაა.

დაშვებულზე მეტის ჭრა

ხშირად გამოყოფილ ტყეკაფში იჭრება უფრო მეტი, ვიდრე ამის უფლებას იძლევა ლიცენზია და ტყეკაფის მასალები. თუ გამოყოფილ ტყეკაფზე არის მოჭრილი ხეების ჯირკები, რომლებსაც არ აქვს ნომერი ფესვის ყელთან, ეს უკანონოდ მოჭრილი ხეა. ასევე, გადაჭრილ კუნძზე ზემოდან უნდა იყოს სპეციალური დამლა, რომელსაც ასვამს სატყეო მეურნეობის წარმომდგენელი.

უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის ტრანსპორტირება და ექსპორტი

ხე-ტყის გადასაზიდად საჭიროა გადამზიდავმა იქონიოს "ხე-ტყის კანონიერებისა და წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტები", ან „საშეშე მერქნის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი“, რომლებიც მან მოთხოვნისამებრ უნდა წარუდგინოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს (პოლიცია, ბჰი, სატყეო და საბაჟო დეპარტამენტები). აღნიშნულ დოკუმენტს გასცემს ის ადგილობრივი სატყეო მეურნეობა, რომლის უფლებამოსილების გავრცელების ფარგლებშიც მოხდა რესურსის მოპოვება. მოჭრილი ხის ნომერი (რომელიც აღნიშნულია ფესვის ყელზე) გადატანილ უნდა იქნეს მისგან დამზადებულ მორზე. დაუნომრავი მორის ტრანსპორტირება აკრძალულია. თუ სატრანსპორტო საშუალება დატვირთულია მორებით, რომლებიც არ არის დანომრილი, ეს შესაძლოა მუითითებდეს უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის არსებობაზე. რიგით მოქალაქეს კერძო პირისთვის დოკუმენტაციის მოთხოვნისა და შემოწმების უფლება არ აქვს!

ამორჩევით საუკეთესო ხეების მოჭრა

ხშირად მოვლითი (რომლის ერთ-ერთი სახეა სანიტარული ჭრა) ჭრების შედეგად იჭრება ჯანმრთელი, საუკეთესო ხეები. გამოყოფილ ტყეკაფზე ხმელი, ხმობადი, ძლიერ დაზიანებული ხეების ჭრაში არდანიშვნა დარღვევაა და კანონით ისჯება. ამდენად თუ ნახავთ, რომ გამოყოფილ ტყეკაფში არ არის დანომრილი, ანუ მოსაჭრელად მონიშნული ასეთი ხეები, ჩათვალეთ, რომ სატყეო მეურნეობამ კანონი დაარღვია. დანიშნული ჭრების დროს საუკეთესო, ჯანმრთელი ხეები, წესით, არ უნდა იჭრებოდეს. ხშირად კი პირიქით ხდება. განსაკუთრებით სავალალოა, როცა ასეთი რამ სწორედ მოვლითი (სანიტარული) ჭრების დროს ხდება, რომელიც წესით ტყეების გაჯანსაღებას უნდა ემსახურებოდეს.

ენდემური, რელიქტური, ძვირფასმერქნიანი და წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების ჭრა

თუ ნახავთ, რომ ტყეში მოჭრილია ჭალის მუხა, წაბლი ან უთხოვარი ეს იქნება უკანონო ჭრა, ვინაიდან ეს სახეობები შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში. ძვირფასი მერქნის გამო, წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობებიდან ყველაზე ხშირად ზემოჩამოთვლილ სახეობებს მოიპოვებენ

უკანონოდ, ასევე, სავარაუდოდ დანაშაულთან გვექნება საქმე, თუ სახერხში წააწყდებით წითელი ნუსხის სახეობების მორებს.

ტყისსარგებლობის წესების დარღვევა, ტყისთვის ზიანის მიყენება

არსებობს დარღვევები, რომელთა შედეგად ზიანი ადგება ტყეს და რომლებიც არ არის ძნელად გამოსაცნობი. უბრალოდ უნდა იცოდეთ, რომ ეს დარღვევაა და კანონით ისჯება. ასეთებია:

- ტყის ჭრა ძლიერ დაქანებულ ფერდობებზე (თუ ასეთ ფერდობზე ტყეკაფია გამოყოფილი, დანიშნულია ხეები, ეს სატყეო მეურნეობის მიერ კანონის დარღვევაზე მიუთითებს);
- ტყის ჭრის დროს დაუნიშნავი ხეების წაქცევა ან დაზიანება;
- მოჭრილი და მიყუდებული ხეების დატოვება ტყეში - ეს საფრთხეს უქნის ადამიანის სიცოცხლეს;
- ხე-ტყის დამზადებისას მოზარდი აღმონაცენის დაზიანება-გაფუჭება;
- ტყის ჭრა გზისპირებზე;
- მიყოლებით მოზარდი ხეების ჭრა;
- ხე-ტყის დამზადების შემდეგ ტყის ნარჩენებისგან არგაწმენდა. ხშირად მიაქვთ მხოლოდ სამასალედ გამოსადეგი ხე-მცენარის ვარჯის ნაწილი, წვეროებსა და ტოტებს კი იქვე ყრიან. იკარგება უამრავი საშეშე მერქანი, ნაყარი კი ხელს უშლის აღმონაცენს და ხელს უწყობს ტყის დაავადებების გავრცელებას;
- სადღესასწაულო, რელიგიური, სარიტუალო, დეკორატიული და სხვა მიზნით ხეების დაზიანება, ტოტების მოჭრა (ბზის ტოტები ბზობისთვის, უთხოვარის ტოტები, საახალწლოდ წიწვოვნების მოჭრა, ასევე ვარჯის წვერის წაჭრით მცენარის დაზიანება);
- ნაყოფის მომცემი ხეების პროდუქტების შეგროვება ტოტების მოჭრით (ჯონჯოლი, ქაცვი, ასკილი, კოწახური, შინდი, ნუში და სხვ.)
- ტყის ფონდის ტერიტორიაზე უნებართვო (უკანონო) ძოვება, ხვნა და თიბვა;
- ტყის ფართობების თვითნებურად შემოკლება, შემოღობვა და მითვისება;
- გაუქმრქავი წიწვოვანი ხის მორების ტყიდან გამოტანა, ან ტყეში დამარაგება.

ნიადაგის დაზიანება

მერქნის გამოზიდვის დროს ნიადაგის ზედაპირული ფენის დაზიანება და ამით ეროზიის წინაპირობის შექმნა აკრძალულია. ამას იწვევს დაცურებით ხე-ტყის გამოტანა, რის შედეგადაც ვითარდება მეწყრული მოვლენები. ყველაზე ხშირად დაცურების კვალი შეიმჩნევა ტყეების სიახლოვეს განლაგებულ სოფლებთან, სადაც სახერხებში ხდება მერქნის პირველადი დამუშავება. ამასთანავე, როგორც წესი, ტყიდან დაცურებით გამოაქვთ უკანონოდ მოჭრილი ხეები.

მერქნის პირველადი დამუშავება ტყეში

ხე-ტყის პირველადი დამუშავება ტყეში აკრძალულია. თუ შეამჩნევთ, რომ ტყეში მუშაობს გადასატანი სახერხი, იცოდეთ, რომ ადგილი აქვს კანონის დარღვევას და ბღი-ს უნდა მიმართოთ.

სახერხები

ხე-ტყის სახერხ საწარმოებში აკრძალულია უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის დამუშავება და ეს კანონით ისჯება. რიგით მოქალაქეს არ აქვს უფლება შეამოწმოს საწარმოში ხე-ტყის წარმოშობის კანონიერება, მაგრამ არსებობს ძალზე თვალნათელი დარღვევები სახერხების ფუნქციონირებისას. სახერხის ტერიტორიაზე უნდა იყოს სპეციალური ორმო, სადაც გროვდება ნახერხი. ხშირად, ნახერხი გროვებად ყრია სახერხის ეზოში ან მის გარეთ, და რაც უფრო მეტი ზიანის მომტანია გარემოსათვის - იყრება მდინარეში. ნახერხი იწვევს ნიადაგისა და წყლის დაბინძურებას, ქიმიურ რეაქციაში შედის მათ კომპონენტებთან, რითაც იმატებს მუავიანობა. ეს უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, რადგან მავნე ნივთიერებები ნიადაგისა და წყლის გავლით საბოლოოდ ადამიანის საკვებში და შემდეგ ორგანიზმში ხვდება. ასევე დარღვევაა, როცა სახერხში შეტანილია უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე, რომელიც შეიძლება იცნოთ ნომრის არარსებობით.

შეიძლება თუ არა ხე-ტყის დამზადება დაცული ტერიტორიების ფარგლებში?

ხე-ტყის დამზადება (ასევე საქონლის ძოვება) დაშვებულია მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიის დაცული ტერიტორიის ფარგლებში, ისიც მხოლოდ სპეციალური ნებართვით. მაგალითად, ასეთებია: აღკვეთილი, ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონა. ნაკრძალის ან ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონაში ხის ჭრა აკრძალულია. თუ დაცულ ტერიტორიაზე არ არის ამისათვის სპეციალურად კანონით დაშვებული ადგილები, იქ ჩატარებული ჭრა (ისევე, როგორც სხვა ბუნებრივი რესურსის მოპოვება, ძოვება) უკანონოა, ხოლო თუ ამაზე არსებობს დაცული ტერიტორიის ხელმძღვანელობის თანხმობა, ეს მათ დანაშაულზე მიუთითებს.

ვის უნდა მივმართოთ ტყეში უკანონო ქმედებების აღმოჩენისას?

უკანონო ჭრისა და სხვა დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, მიმართეთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - გარემოს დაცვის ინსპექციას (ბღი), ან მის რეგიონულ ბიუროს.

სახელმწიფო დაწესებულებამ დაარღვია ეს პირობები, თქვენ შეგიძლიათ საჩივრით მიმართოთ ამავე სახელმწიფო დაწესებულების გენერალურ ინსპექციას ან სასამართლოს.

დაიმახსოვრეთ, რიგით მოქალაქეს კერძო პირისთვის დოკუმენტაციის მოთხოვნისა და შემოწმების უფლება არ აქვს! ამისათვის არსებობს სახელმწიფო სამსახურები, რომლებიც კანონით მინიჭებული უფლებით ახორციელებენ ასეთ ქმედებებს.

სახელმძღვანელოს ამ ნაწილში ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედინა ინფორმაცია, რომელიც თქვენ დაგეხმარებათ ზოგადი წარმოდგენა შეგექმნათ სატყეო სფეროზე, სექტორის ინსტიტუციურ წყობაზე, შესაძლო უკანონო ქმედებებზე და მათი გამოვლენის შესაძლებლობებზე. მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, რაც შეიძლება სრულად წარმოგვედგინა აღნიშნული ინფორმაცია, რა თქმა უნდა იქნება საკითხები, რომლებიც დამატებით განმარტებას საჭიროებს. ამიტომ გთხოვთ, ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციისათვის, რჩევისა თუ კონკრეტულ საკითხზე კონსულტაციისათვის მოგვმართოთ სახელმძღვანელოს გარეკანზე მითითებულ მისამართზე.

II ნაწილი

როგორც შესავალში იყო აღნიშნული, სახელმძღვანელოს II ნაწილი ეძღვნება ხე-ტყის არალეგალური ჭრის დამოუკიდებელი მონიტორინგის დაგეგმვისა და წამოების ტექნიკას. თუმცა, აქ წარმოდგენილი ინფორმაცია შესაძლოა გამოიყენოთ როგორც სატყეო სექტორში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებისათვის, ასევე ნებისმიერი გარემოსდაცვითი ხასიათის მონიტორინგის საწარმოებლად.

მონიტორინგის დანიშნულება

მონიტორინგი საშუალებას აძლევს არასამთავრობო ორგანიზაციებს ხელი შეუწონ გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესებას რამდენიმე გზით:

- ბუნებრივი რესურსების არსებული მდგომარეობის (ჯანსაღი, საფრთხის ქვეშ არსებული, ან დეგრადირებული) და ცვლილების ტენდენციების (გაუმჯობესებული, სტაბილური ან გაუარესებული) შეფასებით. ამ სახის ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია რესურსების ათვისების შესაბამისი დონის დადგენის, ან არამდგრადი ქმედებების განსაზღვრისათვის;
- კომერციული სამრეწველო ორგანიზაციებისა და მთავრობისათვის შესასრულებლად საგაღდებულო მარეგულირებელი და საკანონმდებლო სისტემისა და მათი აღსრულების შეფასებით;
- გარემოსდაცვითი მმართველობის ხარისხის შეფასებით;
- მთავრობის ან კომერციული სამრეწველო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციის რეალობასთან შესაბამისობისა და სიზუსტის შემოწმებით;
- საფრთხის შემცველი, ან უკანონო ქმედებების გამოვლენით. ამგვარი ქმედებების დიდი ხნის განმავლობაში უწყურადღებოდ დატოვებამ, შესაძლოა, რესურსის საბოლოოდ ამოწურვა გამოიწვიოს.

საბოლოო ჯამში, მონიტორინგი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მთავრობის, სამრეწველო კომპანიებისა და საზოგადოების მიერ ბუნებრივი რესურსების მართვის, კანონითა და საზოგადოებრივი ღირებულებებით დაკისრებული ვალდებულების შესრულების შეფასებისათვის.

მონიტორინგის უპირატესობანი

საკუთარი მისიის შესასრულებლად ბევრი არასამთავრო ორგანიზაცია აწარმოებს მონიტორინგს, რადგან სწორი ინფორმაციის შეგროვებითა და საზოგადოებისათვის მიწოდებით მათ შეუძლიათ გავლენა იქონიონ მთავრობაზე და სამთავრობო პოლიტიკაზე. ორგანიზაციას, რომელიც წარმატებით აწარმოებს მონიტორინგს, სულ მცირე შვიდი სახის სარგებლის მიღება შეუძლია:

1. ბუნებრივი რესურსების მდგომარეობის შეფასება;

საზოგადოებისა და სხვა ჯგუფების ცნობიერების ასამაღლებლად არასამთავრობო ორგანიზაციას სჭირდება პრობლემის არსისა და მისი მასშტაბის დადგენა-შეფასება. ასევე, მონიტორინგის შედეგები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციისათვის რესურსების მდგომარეობის შესაფასებლად (ანუ იზრდება, თუ მცირდება რესურსი).

2. პოლიტიკური გავლენა;

ინფორმაცია არც თუ უსასყიდლოდ, ან თავისუფლად ხელმისაწვდომია მათთვის, ვისაც მცირე პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა აქვთ. ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის გარეშე კი ნაკლებად შესაძლებელია გარემოსდაცვით პოლიტიკაზე ზეგავლენა. მონიტორინგი არასამთავრობო ორგანიზაციას საშუალებას აძლევს მოახდინოს ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემის საჭიროებასთან შესაბამისობის შეფასება. მონიტორინგის შედეგად მოპოვებული სანდო ინფორმაცია მძლავრი იარაღია არასამთავრობო ორგანიზაციისათვის თავისი პოზიციის სისწორის საილუსტრაციოდ.

3. პრობლემების წინასწარ გათვლისა და თავიდან არიდების შესაძლებლობა;

არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მონიტორინგი პრობლემის წამოჭრის, ან მისი თავიდან არიდებისათვის გამოიყენონ. საზოგადოებაში, სამთავრობო სტრუქტურებსა და გადაწყვეტილების მიმღებთა შორის განგაშის ატეხვით არასამთავრობო ორგანიზაციას ზოგჯერ შეუძლია პრობლემის თავიდან არიდებისათვის სწორი ქმედების პროვოცირება.

4. დამკვირვებლის (watchdog) სტატუსი;

წარწერა სახლზე - “ეზოში ავი ძაღლია”, გაფრთხილება პოტენციური ქურდებისთვის. ორგანიზაციას, რომელიც აწარმოებს მონიტორინგს, მსგავსი ფუნქცია გააჩნია. თუკი გარემოს ხელოვნურად მიაღვა ზიანი, დამნაშავემ იცის, რომ მას შესაძლოა პასუხი მოეთხოვოს. პოტენციურმა დამნაშავემ შესაძლოა თავი შეიკავოს დანაშაულის ჩადენისაგან, მისი გამაოშკარავების შიშით. სანდო და გამოცდილი არასამთავრობო ორგანიზაციების, მხოლოდ არსებობამაც კი შესაძლოა შეზღუდოს გარემოსათვის ზიანის აშკარად მიყენების ფაქტები, რადგანაც კანონდამრღვემა იცის, რომ მისი დანაშაული არ დარჩება შეუჩნეველი.

5. მოკავშირეთათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება;

ბევრ ორგანიზაციას არა აქვს საკმარისი რესურსი, რათა თავად აწარმოოს მონიტორინგი. ინფორმაციის ურთიერთგაზიარება არასამთავრობო ორგანიზაციებს მატებს მოკავშირეებს და ძალას არასწორი პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად.

6. აღიარება;

აღიარების მოპოვება მონიტორინგის მწარმოებელი ორგანიზაციების მიერ ხდება დროთა განმავლობაში და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელისუფლება, სამრეწველო სექტორი, მედია და მთლიანად საზოგადოება ნდობით განეწეობა და დარწმუნდება მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სარჭიროებაში. ამგვარი ნდობით აღჭურვილი არასამთავრობო ორგანიზაციები სულ უფრო მეტად ხდებიან ინფორმაციის წყარო.

7. თვითშეფასება.

მონიტორინგი ეხმარება არასამთავრობო ორგანიზაციებს, შეაფასონ, რამდენად ემსახურება დასახული მიზნების მიღწევას მათი საქმიანობა და რამდენად შეუძლია მას ზეგავლენის მოხდენა.

მონიტორინგის ზოგადი მიმოხილვა

ნებისმიერი მონიტორინგის პროგრამის კრძალ

არსებობს კარგი მონიტორინგის ოთხი ძირითადი მახასიათებელი:

1. გქონდეთ ნათელი წარმოდგენა იმაზე, რის მონიტორინგს აწარმოებთ და რისთვის;
2. აწარმოეთ მონიტორინგი მარტივად და უშუალოდ;
3. მოიპოვეთ სანდო და მიუკერძოებელი ინფორმაცია, რომლის გამოყენება შესაძლებელია ცვლილების მიღწევისათვის; და
4. გაახმოვანეთ შედეგები ზეგავლენის მოსახდენად.

სხვადასხვა მონიტორინგის პროგრამის დეტალები, რა თქმა უნდა, განსხვავებულია, რადგანაც პროგრამა უნდა დაიგეგმოს კონტექსტის გათვალისწინებით და ამის ზუსტი რეცეპტი არ არსებობს.

რა არის მონიტორინგი?

მონიტორინგის შესახებ უამრავი ლიტერატურა არსებობს და შესაბამისად, არსებობს ამ მცნების არსით ერთი, მაგრამ განსხვავებული ფორმულირების განმარტება. ამ სახელმძღვანელოში, წარმოვიდგინოთ მონიტორინგის საზოგადოდ მიღებულ განმარტებას, რომლის მიხედვითაც, "მონიტორინგი არის გარემო პირობების ცვლილების და/ან რაიმე საქმიანობის მიზნის მისაღწევად პროგრესის შეფასებისათვის, განმეორებადი დაკვირვების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი". ეს არის სპეციფიური საკითხისადმი დროთა განმავლობაში თვალყურის დევნების პროცესი. ამ განმარტების თანახმად, მონიტორინგი:

1. არის მრავალჯერადი გადამოწმების პროცესი;
2. ამოწმებს/ზომავს სპეციფიური საკითხის სხვადასხვა ასპექტს;
3. ამოწმებს/ზომავს მიზნებთან მიმართებაში მიღწეულ პროგრესს;

და

4. ახმოვანებს შედეგებს, რათა სწორად წარიმართოს საქმიანობა.

მონიტორინგი არის კონკრეტულ საკითხზე ფოკუსირებული მონაცემების შეგროვება, კონკრეტულ კითხვებზე პასუხის გასაცემად. არაფოკუსირებული მონიტორინგი რესურსებისა და დროის ფუჭი ხარჯვაა.

მონიტორინგი და მასთან დაკავშირებული ქმედებები

ხშირად, სხვადასხვა სახელმძღვანელოში "მონიტორინგის" სათაურის ქვეშ მთელი რიგი ქმედებები არასწორად არის გაერთიანებული. მათი მაგალითები წარმოდგენილია ქვემოთ. ზოგიერთი მათგანი შესაძლოა

ადექვატური იყოს ცალკეულ შემთხვევაში, მაგრამ ერთდულად ყველა არ არის საჭირო წარმატებული მონიტორინგისათვის.

ბუნებრივი პირობების შესწავლა გულისხმობს მოცემული ტერიტორიისა და რესურსის საფუძვლიან ბიოლოგიურ და ეკოლოგიურ შესწავლას. რომელიმე ტერიტორიის ასეთი შესწავლის შედეგები და კონსერვაციული მნიშვნელობა, შესაძლოა გახდეს მონიტორინგის საფუძველი, მაგრამ ამგვარი კვლევები არ არის იგივე, რაც მონიტორინგი. —

კვლევა მოიცავს სამეცნიერო და შესაძლოა ექსპერიმენტულ სამუშაოს მოვლენათა “მიზეზ-შედეგობრიობის” დასადგენად. ბუნებრივი პირობების შესწავლის მსგავსად, კვლევა შესაძლოა გახდეს მნიშვნელოვანი საფუძველი და დასაბუთება მონიტორინგის პროგრამის დეტალებისათვის, მაგრამ ეს კვლავაც არ იქნება მონიტორინგი.

ინვენტარიზაცია არის სახეობრივი შემადგენლობის, ან რესურსის მდგომარეობის შესახებ, მონაცემთა ერთჯერადი შეგროვება. ინვენტარიზაცია ხშირად საჭიროა მონიტორინგის საწყის, დაგეგმვის სტადიაზე, რადგან მისი საშუალებით განისაზღვრება მომავალში ცვლილების დადგენისათვის შესაძარბელი მონაცემები. განმეორებადი ინვენტარიზაცია შესაძლოა განიხილებოდეს, როგორც მონიტორინგი.

განხორციელების მონიტორინგი არის ინფორმაციის შეგროვება ქმედების შესრულების შესახებ, ანუ შესრულდა თუ არა აღებული ვალდებულება ქმედების შესრულების თაობაზე. ეს არის შედარებით ადვილი კვლევა, რადგანაც ხდება მხოლოდ იმის დადგენა განხორციელდა თუ არა ქმედება.

არსებობს სამი მსგავსი ტიპის მონიტორინგი, რომელსაც იყენებენ არასამთავრობო ორგანიზაციები ზემოქმედების შესაფასებლად: ფონური მდგომარეობის მონიტორინგი, ცვლილების/ტენდენციის მონიტორინგი და ზღვრული მდგომარეობის მონიტორინგი.

ფონური მდგომარეობის მონიტორინგი

ფონური მდგომარეობის მონიტორინგი ზომავს/აფასებს მონიტორინგის ობიექტის სტატუსს, რათა დადგინდეს მისი მუდმივი, “ნორმალური” მდგომარეობა. ფონური მდგომარეობის მონიტორინგი ხშირად ხორციელდება დაგეგმილი საქმიანობის (მაგ. კაშხლის მშენებლობა, ხე-ტყის ინტენსიური ჭრა) შედეგად გამოწვეული ცვლილების დოკუმენტირებისათვის. ფონური მდგომარეობის მონიტორინგი ძალზედ მნიშვნელოვანია რესურსების რაციონალური მართვისათვის და მთავრობებისათვის, რომლებიც ახორციელებენ განვითარების პროექტებს; მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, როგორც წესი, ეს არის თანხისა და დროის არაეფექტური ხარჯვა. ასეთი კვლევები მოკლებულია ნათელ, სპეციფიურ მიზანს და შესაბამისად, ადვილად არ ტრანსფორმირდება რაიმე ზეგავლენაში. უმჯობესია, განისაზღვროს რაიმე სპეციფიური მიზანი და ფონური მდგომარეობის მონიტორინგი დაიგეგმოს ამ მიზნის მისაღწევად.

მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, არ შეიძლება ფონური მდგომარეობის მონიტორინგის მნიშვნელობის უგულვებელყოფა, რადგან

სხვის მიერ ჩატარებული ფონური მდგომარეობის მონიტორინგი ხშირად აღგენს “ნორმალურ” ან “ბუნებრივ” (გარე ზემოქმედებამდელ) ბიოლოგიურ მაჩვენებლებს, რომლებიც ცირებულია არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის როგორც ზღვრული მაჩვენებლები შემდგომში ცვლილების დასადგენად.

ცვლილების/ტენდენციის მონიტორინგი

ცვლილების/ტენდენციის მონიტორინგი გამოიყენება რესურსის ცვლილების შესაფასებლად. იზრდება თუ მცირდება რესურსის სხვადასხვა მახასიათებლების მაჩვენებლები და რას ამბობს ეს მაჩვენებლები რესურსის მდგომარეობის შესახებ? სიტუაცია უმჯობესდება თუ უარესდება? არის თუ არა ცვლილება, ან ცვლილების ტენდენცია. რესურსის მდგომარეობის შეფასების ეს მიდგომა წარმოადგენს ეფექტურ ილუსტრაციას, თუმცა მოითხოვს დიდი რაოდენობის მონაცემების ფლობას სურათის შესაქმნელად.

ზღვრული მდგომარეობის მონიტორინგი

ზღვრული მდგომარეობის მონიტორინგი ადარებს მონიტორინგის შედეგებს წინასწარ გათვლილ/დაგეგმილ მაჩვენებლებს. ზღვრული მდგომარეობის მონიტორინგი განსაკუთრებით ეფექტურად გამოიყენება როდესაც ზღვრული მაჩვენებლები წინასწარ გათვლილია რაციონალური ან მეცნიერული განსჯის საფუძველზე. ცალკეული დაკვირვებები შესაძლოა გამოყენებული იქნეს არსებული მდგომარეობის მიზანთან შესადარებლად.

ასე მაგალითად, ზღვრული მდგომარეობის მაჩვენებელი შეიძლება იყოს შეთანხმება ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში მცხოვრებ მოსახლეობასთან, იმის შესახებ, რომ ისინი წლის განმავლობაში მოჭრიან მეორადი ტყის 2%-ზე ნაკლებს და არ განახორციელებენ ჭრებს პირველად ტყეში. თუკი თქვენი ორგანიზაცია აღმოაჩენს, რომ მოჭრილია 2%-ზე მეტი, თქვენ გეჭნებათ საფუძველი ამტკიცოთ, რომ მოსახლეობა არ მართავს რესურსს შეთანხმებისამებრ. იგივე მიდგომა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ინდუსტრიული კომპანიების ან მთავრობის ვალდებულებების მიმართ.

მონიტორინგის პროექტები და პროგრამები

ცალკეული მონიტორინგის პროექტი მიმართულია კონკრეტული მნიშვნელობის საკითხზე. ერთი ან მეტი მონიტორინგის პროექტი ქმნის მონიტორინგის პროგრამას. მონიტორინგის პროგრამა იგეგმება რაიმე ფართო საკითხთან მიმართებაში, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს არასამთავრობო ორგანიზაციის მისიის განაცხადს. მონიტორინგის პროექტი ფოკუსირებულია მონაცემთა შეგროვებაზე ფართო საკითხის ერთ-ერთ კომპონენტზე.

ასე მაგალითად, მონიტორინგის პროგრამა შესაძლოა მიზნად ისახავდეს შეაფასოს ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების სტატუსი, ეკოსისტემის სიჯანსაღისათვის არსებული საფრთხე და პარკის მართვის ეფექტურობა.

ამ მიზნის მისაღწევად უამრავი პროექტის განხორციელებაა საჭირო: (1) ფონური ინფორმაციის შეგროვება პარკში ბიომრავალფეროვნებისა და რესურსების მდგომარეობის შესახებ; (2) რესურსების მოპოვების (არალეგალური ნადირობა, ხე-ტყის ჭრა) მასშტაბის შეფასება; (3) ეკოტურიზმის განვითარების დონისა და ზეგავლენის შეფასება - ვიზიტორების რაოდენობის დადგენა, მათ მიერ გამოყენებული ბილიკების მდგომარეობის შეფასება, ნარჩენების დაგროვებისა და განთავსების საშუალებების არსებობის დადგენა და ა.შ.

წარმატების ბაზომა

მონიტორინგის პროგრამა და მონიტორინგის პროექტიც მოიცავს კომპონენტის - “შესრულების ხარისხის შეფასება”, რომელიც გულისხმობს პროექტის ან პროგრამის ეფექტურობის შიდა შეფასებას, ანუ წარმატებით გასრულებთ თუ არ ჩვენს სამუშაოს. ამგვარი შეფასება შედგება ოთხი ძირითადი კომპონენტისაგან, ან კითხვისაგან:

1. წარმატებით განვახორციელეთ თუ არა მონიტორინგი? ანუ, ისე როგორც ეს იყო დაგეგმილი;
2. მოვიცავით თუ არა წინასწარ გათვლილი სამიზნე ჯგუფები? მაგალითად, დარიგდა თუ არა ბუკლეტების საკმარისი რაოდენობა ყველა სოფელში? გავიდა თუ არა რადიოგადაცემები ეთერში? დაიწერა და გავრცელდა თუ არა ანგარიში?
3. იყო თუ არა კომუნიკაცია ეფექტური? გაუმჯობესდა თუ არა მდგომარეობა?
4. და ყველაზე მნიშვნელოვანია, შეიცვალა თუ არა რესურსის კონსერვაცია ჩვენი ქმედების შედეგად? შემცირდა ან აღმოიფხვრა თუ არა დესტრუქციული საქმიანობა? უმჯობესდება თუ არა რესურსის მდგომარეობა?

შესრულების ხარისხის შეფასება მნიშვნელოვანია როგორც ცალკეული პროექტისათვის ასევე მთელი პროგრამისათვის.

მონიტორინგის გეგმაში მიზნების დასახვის მნიშვნელობა

მონიტორინგის მიზანს უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები:

1. მიზნების დასახვისას უნდა დაეფუძნოთ ამოცანას სასურველი მიზნის მისაღწევად. მიზანი არ უნდა იყოს იდეალური, მაგრამ უნდა იყოს თქვენი შეფასებით საუკეთესო და საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს;
2. მიზანში უნდა ჩანდეს სასურველი შედეგი. ნათელად ჩამოყალიბებული მიზანი ღირებულია იმით, რომ ის სახავს ამოცანას, რომელიც გასაგებია მთლიანი ჯგუფისთვის და იძლევა ღია დისკუსიის საშუალებას წარმატებული მონიტორინგის პროექტის შექმნისათვის. მიზანი აჩვენებს თუ რამდენია გასაკეთებელი სასურველი შედეგის მიაღწევად;
3. ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხი მონიტორინგში არის ცოდნა, თუ როდის უნდა გაჩერდეთ. მიზნის მიღწევისას ნათელი ხდება, წარმატებული იყო თუ არა ჩვენი საქმიანობა; აქედან გამომდინარე, შეგვიძლია

გადავიდეთ შემდეგ პროექტზე, თუ საჭიროა დამატებითი ქმედება, სანამ რესურსის მდგომარეობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია;

4. ნათლად ჩამოყალიბებული მიზანი დაგეხმარებათ სიტუაციის სიმძაფრის განსაზღვრაში და შესაბამისად დაგეხმარებათ პროექტისათვის საჭირო რესურსების დადგენაში.

მიზნების კარგად ჩამოყალიბება მონიტორინგის პროცესის ერთ-ერთი, შესაძლოა, უმნიშვნელოვანესი ეტაპია. მიზნები უნდა იყოს რეალისტური, სპეციფიური, გაზომვადი და ნათლად ჩამოყალიბებული. მიზანი არ უნდა იყოს ორაზროვანი ან ბუნდოვანი. მათი სიძლიერე გამომდინარეობს მათი სპეციფიურობიდან.

შემოწმება და ინდიკატორები

მრავალ გადაწყვეტილებათაგან ერთ-ერთი, მონიტორინგის დაგეგმვისას არის იმის გადაწყვეტა თუ რას ვამოწმებთ. მას შემდეგ რაც თქვენ განსაზღვრეთ მონიტორინგის დანიშნულება – ვთქვათ, მოცემულ ტერიტორიაზე ხე-ტყის ჭრის მოცულობა – თქვენ გაქვთ ორი არჩევანი: (1) უშუალოდ გაზომთ ჭრის მოცულობა, ან (2) ამოირჩიოთ ჭრის ინდიკატორი ან “შეფარდებითი მაჩვენებელი”. ჭრაგავლილ ტყეში შეგვიძლია დავთვალოთ მოჭრილი ხეების რაოდენობა, ან თუკი ეს შეუძლებელია, “განვსაზღვროთ” ჭრის ინტენსივობა სატვირთო მანქანების დათვლით. რა თქმა უნდა, სატვირთო მანქანების რაოდენობის ჭრის ინტენსივობის დასადგენად ინდიკატორად გამოყენების სისწორე დამოკიდებულია სატვირთო მანქანების რაოდენობასა და ხე-ტყის ჭრას შორის არსებულ კავშირზე. იგივე ეხება ყველა ინდიკატორს – ინდიკატორები ფრთხილად უნდა შევარჩიოთ!

მაღალხარისხიანი და სანდო ინფორმაცია

ნდობა - არასამთავრობო ორგანიზაციის რეპუტაციისათვის უმთავრესი ფაქტორია და მოიპოვება დროთა განმავლობაში საზოგადოებისთვის სანდო ინფორმაციის მოპოვების გზით. არასამთავრობო ორგანიზაციის ნებისმიერი მტკიცების საფუძველი უნდა იყოს სამდო მონაცემები. ობიექტური, მიუკერძოებელი და დამტკიცებადი ანალიზი და საზოგადოებისათვის შედეგების სწორად მიწოდება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმატებისათვის.

მონიტორინგის პროექტის ეტაპები

არასამთავრობო ორგანიზაციებს არ აქვთ იმის ფუფუნება, რომ ფუჭად დახარჯონ თავიანთი რესურსები ცუდად დაგეგმილ ან განხორციელებულ მონიტორინგის პროექტებზე – თანხები შეზღუდულია, თანამშრომელთა რაოდენობაც მცირეა და რეპურაციაზე გაფრთხილებას საჭიროებს. პროექტის ცუდი დაგეგმარების შედეგად შესაძლოა ზიანი მიადგეს ბუნებრივ რესურსებს რომელთა დასაცავად იქმნება პროექტი, დაიკარგოს სასარგებლო ინფორმაციის შეგროვების შესაძლებლობა და შეილახოს არასამთავრობო ორგანიზაციის რეპუტაცია. ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად გთავაზობთ სამ ეტაპს მონიტორინგის წარმატებული პროექტისათვის:

I ეტაპი: დაგეგმარება

1. გააკეთეთ მონახაზი, რომელიც ასახავს პროექტის დანიშნულებას, სამიზნე ჯგუფებს, მიზნებს და ამოცანებს;
2. შეაროვეთ ინფორმაცია და მასალები (ფონური მონაცემების ცოდნისათვის);
3. გადაწყვიტეთ რას ამოწმებთ და რა ინდიკატორების მიხედვით;
4. განსაზღვრეთ მეთოდოლოგია, მასშტაბის, ინდიკატორების, მონაცემების შეგროვების მეთოდებისა და ანალიზის მეთოდების ჩათვლით;
5. გამოცადეთ მეთოდები (ჩაატარეთ საცდელი ტესტი);
6. ჩამოაყალიბეთ კომუნიკაციის (შედეგების გახმოვანებისა და გამოყენების) სტრატეგია;
7. დათვალიეთ ხარჯები.

II ეტაპი: განხორციელება

1. შეაგროვეთ მონაცემები;
2. დაახარისხეთ მონაცემები თემატურად;
3. გააკეთეთ შედეგების ანალიზი.

III ეტაპი: კომუნიკაცია/შედეგების გახმოვანება

1. ამოირჩიეთ თქვენი სამიზნე ჯგუფები;
2. გადაწყვიტეთ როგორ მიაწვდინოთ ხმა და გავლენა იქონიოთ სამიზნე ჯგუფებზე.

იმისათვის, რომ დაიწყოთ მონიტორინგის მეორე რაუნდი, დაუბრუნდით II ეტაპს და გაიმეორეთ ციკლი. ან თუკი მეთოდები არ მუშაობს, დაუბრუნდით I ეტაპს ახალი გეგმის შესადგენად და შეასწორეთ მეთოდოლოგიური პრობლემები. საბოლოოდ, თუკი შეასრულეთ მონიტორინგის პროექტის მიზნები და ამოცანები, შეწყვიტეთ მონიტორინგი და გაახმოვანეთ შედეგები. შემდეგ გადაინაცვლეთ სხვა საქმიანობაზე.

წინასწარ დაგეგმეთ პროექტის ყველა ფაზა, “ყველაზე ცუდი სცენარის” ჩათვლით. თუმცა, განხორციელების პროცესში, ყველაზე ფრთხილი

და დეტალური დაგეგმვის მიუხედავადაც, შესაძლოა, თავი იჩინოს გაუთვალისწინებელმა პრობლემებმა. დაგეგმვის ეტაპზე შერჩეული მეთოდების ტესტირება/გამოცდა მნიშვნელოვნად ამცირებს პრობლემების რაოდენობას განხორციელების ეტაპზე, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ამიტომ ყოველთვის მზად უნდა იყოს შეასწოროთ გეგმები და შეცვალოთ კურსი როდესაც “რადაც არ მუშაობს”.

მონიტორინგის პროექტის I ეტაპი: დაგეგმვა

დაგეგმვა წარმოადგენს წინაპირობას. დაგეგმვის მეშვეობით თქვენ აირიდებთ პრობლემებს და ისარგებლებთ მრავალი შესაძლებლობით, რომელიც სხვა შემთხვევაში შესაძლოა არ გამოვლინდეს. დაგეგმვის პროცესი გვეხმარება პროექტის კონცეპტუალური ეტაპიდან (რისი მიღწევა გსურთ) სპეციურ ეტაპზე (როგორ მივაღწიოთ) გადასვლაში და პროექტის მონაწილეთათვის ნათელი მითითებების მიცემაში. დაგეგმვის პროცესის დასასრულს, თქვენ უნდა გქონდეთ დეტალური სამოქმედო გეგმა.

მონიტორინგის პროექტის დანიშნულება, სამიზნე ჯგუფები და მიზნები

მონიტორინგის პროექტის დანიშნულების განსაზღვრა

დანიშნულების განსაზღვრა არის პირველი ნაბიჯი ნებისმიერი მონიტორინგის ქმედებისათვის, რომელიც შემდგომში განსაზღვრავს მთლიანად მონიტორინგის პროგრამის არსს. მიაქციეთ ყურადღება, რომ მონიტორინგის დანიშნულება იყოს მარტივად აღსაქმელი, სპეციფიური და მიღწევადი. გაითვალისწინეთ, რომ როგორც წესი, დანიშნულება არის ქმედება, ან ცვლილება, რომელიც განხორციელდება სხვის მიერ. ასე მაგალითად, მონიტორინგის დანიშნულება შეიძლება იყოს სახელმწიფო უწყებების ქცევის შეცვლა, მომპოვებელი კომპანიების გაუმჯობესებული მენეჯმენტი, ან ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდა.

სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა

მას შემდეგ, რაც თქვენ განსაზღვრეთ მონიტორინგის დანიშნულება, უნდა განსაზღვროთ სამიზნე ჯგუფები. ამისათვის თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, თუ ვისზე გსურთ გავლენის მოხდენა; ვის აქვს ძალაუფლება ჩაერიოს და გამოიწვიოს ცვლილება, რომელიც დაგეგმვებოდათ თქვენი მიზნის მიღწევაში; სავარაუდოდ, ვინ გამოიყენებდა თავის ძალაუფლებას თქვენს სასარგებლოდ. სამიზნე ჯგუფი შესაძლოა იყოს ფართო საზოგადოება, სამეცნიერო წრე, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, ადგილობრივი მოსახლეობა, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოხელეები და მეწარმეები. მონიტორინგის პროგრამების უმეტესობას რამდენიმე სამიზნე ჯგუფი ჰყავს.

ქვემოთ, იხილავთ დაწვრილებით ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეაჩიოთ სამიზნე ჯგუფები და მიაწვდინოთ მათ ხმა.

მიზნების განსაზღვრა

მონიტორინგის მიზნების განსაზღვრა დაგეგმვათ დაგეგმვის პროცესში გადაწყვიტოთ თუ რა სახის მონაცემები გჭირდებათ სიტუაციის დოკუმენტირებისათვის და სამიზნე ჯგუფისათვის მონიტორინგის დანიშნულების დასაბუთებაში.

ფონური ინფორმაციის ცოდნა

შემდეგი ნაბიჯი არის არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციისა და მასალების შეგროვება. მიუხედავდ იმისა, რომ თქვენ, რა თქმა უნდა, გაქნებათ გარკვეული ცოდნა არსებული მდგომარეობის შესახებ, საჭიროა დამატებით მოაპოვოთ სპეციფიური ინფორმაცია, რომელიც დაგეხმარებათ მონიტორინგის პროგრამის დაგეგმვასა და განხორციელებაში. ეს ინფორმაცია საშუალებას მოგცემთ ამოიჩინოთ შესატყვისი სტრატეგია მონაცემთა შეგროვებისათვის, სწორად შეარჩიოთ სამიზნე ჯგუფები და შეიტყოთ პრობლემათა შესახებ, რომელთა არიდება საწყის ეტაპზევე შესაძლებელია სწორი დაგეგმვის შედეგად.

არსებობს წინასწარი ინფორმაციის მოპოვების ხუთი წყარო:

1. ადრე შეგროვებული მონაცემები, საცდელი კვლევების ჩათვლით;
2. გამოქვეყნებული ნაშრომები, წიგნები, ხელნაწერები;
3. სხვა ექსპერტების გამოცდილება;
4. დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუები;
5. პირადი გამოცდილება და ინტუიცია.

შეეცადეთ ფონური ინფორმაციის შეგროვებისას გამოიყენოთ ინფორმაციის წყაროს ფართო სპექტრი, მაგალითად, ინტერვიუები ხელისუფლებისა და კომპანიების წარმომადგენლებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან, ადგილზე ვიზიტები, საგაზეთო სტატიები, დარგობრივი ჟურნალები, მართვის გეგმები, გარემოსდაცვითი კვლევები, იურიდიული წიგნები და ნებისმიერი სხვა წყარო, რომელიც მოგცემთ შესატყვის ინფორმაციას.

ფონური ინფორმაციის მოპოვებისათვის გამოსაძიებელი საკითხების მაგალითებია:

- რესურსის ეკოლოგია, მისი გამოყენების ისტორია, რესურსის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა;
- რესურსთან კავშირში არსებული სახელმწიფო პოლიტიკა და კანონმდებლობა, სასამართლო საქმეების ჩათვლით;
- კომპანიის მიერ წარდგენილი მართვის გეგმები და/ან გარემოზე ზემოქმედების შეფასებები;
- რესურსის ეკონომიკური ღირებულება;
- კომპანიის ისტორია და რეპუტაცია;
- პარტნიორი ორგანიზაციების ძლიერი და სუსტი მხარეები მონიტორინგის განხორციელებისათვის;
- კულტურული და ენობრივი ბარიერი ადგილობრივ მოსახლეობასა და კომპანიას შორის;
- მონიტორინგის სხვადასხვა მეთოდები, იმ მეთოდების ჩათვლით, რომლებიც წარსულში იყო გამოყენებული ამ რესურსის მიმართ;
- რესურსით სარგებლობის გაუმჯობესებისათვის ადრე წარმატებით გამოყენებული მიდგომები.

მონიტორინგის პროგრამის დაგეგმვისას, შეძლებისდაგვარად გაითვალისწინეთ პოტენციური შესაძლებლობები. ეს შეიძლება იყოს პოლიტიკური შესაძლებლობები, როგორცაა პოლიტიკური დებატები კონკრეტული რესურსის გამოყენებაზე; უნივერსიტეტების /ინსტიტუტების

თბილისის, ან ადგილობრივი ფილიალების სტუდენტები, რომელთაც სჭირდებათ არასამთავრო ორგანიზაციაში მსგავსი სამუშაოს გამოცდილება; ან დონორები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მონიტორინგის შედეგებში. ფონური ინფორმაციის შეგროვებისას, ასევე, შესაძლოა აღმოაჩინოთ საკითხები, რომლებმაც განაპირობოს მონიტორინგის პროგრამის ცვლილება.

განსაზღვრეთ გაზომვადი ინდიკატორები

თავიდანვე უნდა გადაწყვიტოთ, რა ინდიკატორები უნდა შეაფასოთ. ისინი პირდაპირ გამომდინარეობენ წინასწარ განსაზღვრული მონიტორინგის მიზნებიდან. ამორჩიეთ რაც შეიძლება მარტივად გაზომვადი ინდიკატორები, რომელიც შემდგომში იქნება ადვილად გასაანალიზებელი და საზოგადოებისათვის გასაგები. ზოგიერთი კვლევა, შესაძლოა, მხოლოდ ერთ ინდიკატორს ეყრდნობოდეს, ზოგი კი რამოდენიმეს შესახებ მოითხოვდეს ინფორმაციის ფლობას.

უმიჯობესია, შეაგროვოთ ინფორმაცია რაც შეიძლება მეტი გაზომვადი ინდიკატორის შესახებ, რომლებიც ერთად უპასუხებენ თქვენს კითხვას. საბოლოო ჯამში, ის, თუ რა ცვლადებს გაზომავთ და რა მეთოდებით, დამოკიდებულია დასმულ ამოცანაზე და ხელმისაწვდომ რესურსებზე. მზარეცეპტი ამისთვის არ არსებობს.

ქვემოთ იხილეთ ტყის არალეგალური ჭრის მონიტორინგისათვის ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამოყენებული ინდიკატორები.

ინდიკატორი	მიდგომა	არეალი	მასშტაბი	სიზუსტე	მიზანი
უკანონო მორების საწყობები	ვიზიტები იმ ადგილებში, სადაც მოსალოდნელია ჭრა				არ არსებობდეს უკანონო მორების საწყობები
დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ მორები გაიყიდა ნებართვის გარეშე, ან ვადაგასული ნებართვით	დოკუმენტების მოპოვება				არ ხორციელდებოდეს ჭრა შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე
არალეგალურად მოჭრილი ხე-ტყით დატვირთული სატვირთო მანქანები	რამდენიმე ძირითად მარშრუტზე მეთვალყურეობის დაწესება და მანქანების დათვლა				5 წლის განმავლობაში არალეგალურად მოჭრილი ხე-ტყის ტრანსპორტირების 50% შემცირება

მონიტორინგის პროგრამების უმეტესობას აქვს მარტივი ინდიკატორები და გაზომვის მეთოდები. იმას, თუ რა ინდიკატორებს აირჩევთ და რის გაზომვას გადაწყვეტთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თქვენი შემდგომი გადაწყვეტილებებისათვის, რომელიც შეეხება მონაცემთა შეგროვების მეთოდებს, მასშტაბსა და ანალიზს.

მონაცემთა შებროვების მეთოდები

არსებობს მონაცემთა შეგროვების უამრავი გზა: ჟურნალისტური ან დეტექტიური გამოძიება, ადმინისტრაციული ჩანაწერების მოპოვება, ტერიტორიის გარემოსდაცვითი შეფასება, აეროფოტო გადაღებები, ან სატელიტური გამოსახულებები და სხვა. ცალკეული პროექტისათვის შესატყვისი მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: პროექტის მიზანი, თანამშრომელთა გამოცდილება, პარტნიორ ორგანიზაციათა არსებობა, ფასი, დრო, მონაცემთა სიზუსტის საჭირო დონე და სამუშაო პირობები. ამ ფაქტორების გათვალისწინებით შერჩეული მონაცემთა შეგროვების მეთოდი უზრუნველყოფს თქვენი სამუშაოს წარმატებას.

ქვემოთ წარმოგიდგინთ მონაცემთა შეგროვების რამდენიმე ძირითად ჯგუფს.

გამოძიება

ამ სახელმძღვანელოში გამოძიება განსაზღვრულია, როგორც მონიტორინგის მეთოდი, რომელიც მონაცემთა შეგროვებისათვის იყენებს:

1. ჟურნალისტური ან დეტექტიური გამოძიების გზებს;
2. ინტერვიუებს მოქალაქეებთან ან სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებთან, რომლებიც ფლობენ სახელმწიფო ინფორმაციას;
3. ფარულ ქმედებებს სენსიტიური ან დაცული ინფორმაციის მოსაპოვებლად

ზოგიერთ ვითარებაში გამოძიება ყველაზე ეფექტური საშუალებაა მონაცემთა შეგროვებისათვის, განსაკუთრებით იქ, სადაც პოლიტიკური და სოციალური სიტუაცია არ არის ღია. მონიტორინგის პროგრამის საჭიროებასა და პოლიტიკურ სიტუაციაზე დამოკიდებული, ის, თუ გამოძიების რომელ მეთოდს გამოიყენებთ.

გამოძიება, ისევე როგორც მონიტორინგის ყველა მეთოდი, განსაკუთრებით ეფექტურია, როცა გამოიყენება ცვლილების ტენდენციის საჩვენებლად. "გამომძიებლები" აგროვებენ და დოკუმენტირებენ უკეთებენ ძნელად ხელმისაწვდომ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როდის, სად, ვის მიერ და როგორ განხორციელდა საქმიანობა. ისინი ინფორმაციის მოსაპოვებლად იყენებენ ინტერვიუებს, დაკვირვებებს, ფოტოგრაფირებას, ვიდეოგადაღებებს. საჯაროდ ძნელად ხელმისაწვდომი დოკუმენტების მისაღებად ზოგჯერ ფარული, ან გამოგონილი ფსევდონიმით ქმედებაც წარმატების მომტანია.

ბევრი სახელმწიფო მოხელე, ან რომელიმე კომპანიის თანამშრომელი უკმაყოფილოა და მტკივნეულად განიცდის მისი ორგანიზაციის არაკეთილსინდისიერ საქმიანობას ან ცუდ მართვას. ასეთი ადამიანები შესაძლოა ღირებული ინფორმაციის წყარო იყვნენ. იმის გამო, რომ გამოძიების საშუალებით ჩვენ, როგორც წესი, ვცდილობთ მოვიპოვოთ ინფორმაცია, რომელიც დაფარულია ხელისუფლების ან კომპანიის მიერ, ეს საქმიანობა შესაძლოა საფრთხის შემცველი იყოს, მიუხედავად იმისა, რომ არ ვარღვევდეთ კანონს. ამიტომ, ყოველთვის ყურადღებით უნდა აღევნოთ თვალი გამოძიების პროცესს, რათა აიცილოთ საფრთხის შემცველი

სიტუაციები. “გამომძიებლები” ყოველთვის მზად უნდა იყვნენ მსგავსი სიტუაციებისათვის, კარგად იცოდნენ კანონის მოთხოვნები და იცავდნენ მათ. ასევე, გავლილი უნდა ჰქონდეთ სპეციალური სწავლება საფრთხის შემცველი სიტუაციების ამოცნობისა და მათი თავიდან არიდებისათვის.

ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია იყენებს ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის მეთოდს. ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, ეს საუკეთესო გზაა ადგილობრივი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად.

ინფორმაციის მეორადი წყაროები

არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობა გარკვეულ წილად იყენებს ინფორმაციის მეორად წყაროებს მონიტორინგის განხორციელებისას. ხელისუფლების და კომპანიების საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, ასევე გაზეთები, სტატისტიკური კრებულები, ინტერნეტი, სამეცნიერო და დარგობრივი სამეცნიერო-პოპულარიული ჟურნალები და სხვა მრავალგვარი წყარო ზოგჯერ საკმაოდ ღირებულია მონიტორინგის პროგრამის დაწყებისთვის და ზოგჯერ სწორედ ეს ინფორმაცია ხდება მონიტორინგის პროგრამის საფუძველი. მეორადი წყაროები ორგანიზაციას რამდენიმე სახის უპირატესობას ანიჭებს: დაუფარავი მონაცემები ხშირად ღირებული ინფორმაციის წყაროა, ასეთი მონაცემები გაძლევთ მიმართულებას და ხშირად მონიტორინგის პროგრამის დანიშნულებასაც განსაზღვარებენ. ამასთანავე, ეს წყაროები დაგეგმვის, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და შედეგების გახმოვანების ეტაპების ლეგალურ, სოციალურ, ეთნიკურ, ან გარემოსდაცვით კონტექსტს განაპირობებენ.

მეორადი წყაროების გამოყენება უფრო ადვილია იმ ქვეყნებში, სადაც ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა კანონითაა უზრუნველყოფილი, ხოლო კანონი დაცული.

ასევე გამოკვლევებისათვის საჭირო მეორადი წყაროები შეიძლება იყოს მთავრობასა და კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულებები, ფინანსური ოპერაციების ჩანაწერები, მართვის გეგმები და განაცხადები გარემოზე ზემოქმედების შესახებ და ა.შ. ამგვარი წყაროები გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვინ არის ხე-ტყის ჭრაზე მომუშავე შეილობილი კომპანიების ნამდვილი მფლობელი, სად აქვთ მათ ჭრის უფლება, წარადგინეს თუ არა მართვის გეგმა, ყოფილან თუ არა ოდესმე დაჯარიმებულნი კანონის დარღვევისთვის და ა.შ. ამ დოკუმენტების გამოთხოვა შესაძლებელია რესურსის მართვაზე პასუხისმგებელი შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებიდან.

მიუხედავად აღნიშნულისა, ხშირად ასეთი სახის ინფორმაცია დაფარულია და არასამთავრობო ორგანიზაციები სხვადასხვა მიდგომებს იყენებენ მის მოსაპოვებლად. ასე მაგალითად, ზოგი ამჯობინებს სამინისტროს თანამშრომლებთან ახლო ურთიერთობების დამყარებას, ზოგი კი კომპანიაზე განაწყენებული თანამშრომლებისგან მოიპოვებს ინფორმაციას.

ასევე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მეორადი წყაროა კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს რესურსის მოპოვებას და გამოყენებას. ველზე მოპოვებული ინფორმაციის შედარება კანონმდებლობასთან, რომელიც

არეგულირებს ხე-ტყის ჭრას, არის მონიტორინგის პროგრამების უმეტესობის მთავარი სტრატეგია. სტანდარტები და წესები, რომელსაც მთავრობა და კომპანიები აწესებენ თავიანთი საქმიანობისათვის, არის ის ზღვარი, რომელთან შედარებითაც უნდა განხორციელდეს მონიტორინგი. საერთაშორისო ხელშეკრულებები, ან სავაჭრო შეთანხმებები, რომლებიც არეგულირებენ რესურსის გამოყენებას და დაცული ტერიტორიების მართვას, ასევე გარემოსდაცვითი რეკომენდაციები რესურსით სარგებლობისათვის, მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროა. ყველა ზემოთხსენებული წყარო არის საჯარო ინფორმაცია და ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამის სახელმწიფო უწყებაში.

საველე დაკვირვებები

საველე დაკვირვებები, ძირითადად, გულისხმობს საქმიანობის დოკუმენტაციას. ეს მიდგომა იდეალურია არალეგალური საქმიანობის, ან ცუდი მართვის მონიტორინგისათვის და მეორად წყაროებთან ერთად გამოიყენება არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობის მიერ. საველე დაკვირვებებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარღვევების ფოტო დოკუმენტირება.

ტერიტორიის განმეორებადი შეფასება

ეს არის მეთოდი, რომლის დროსაც მკვლევარები განმეორებით აგროვებენ ინფორმაციას ერთიდაიგივე ტერიტორიაზე ცვლილების შესაფასებლად. სწორად განხორციელების შემთხვევაში, მიღებულ მონაცემებს შესაძლოა სამეცნიერო და სტატისტიკური თვალსაზრისით სანდოობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი ჰქონდეს. ამ მეთოდით მოპოვებული ინფორმაცია, შესაძლოა, ბევრად უფრო დეტალური იყოს, ვიდრე ეს არასამთავრო ორგანიზაციას სჭირდება პოლიტიკაზე ზეგავლენისათვის.

დისტანციური ზონდირება / მონაცემთა შეგროვება

აეროფოტო გადაღებების, ვიდეო და სატელიტური გამოსახულებების გამოყენება შესაძლოა დიდ ტერიტორიაზე მონიტორინგის წარმოებისათვის. ეს საკმაოდ ძლიერი მეთოდებია მიწის საფარის ცვლილების დასაფიქსირებლად და სარწმუნოა ილუსტრირებისათვის.

მონაცემთა ზონდირების ტექნიკა მოითხოვს სპეციალურ სწავლებას და საკმაოდ ძვირია. დისტანციური ზონდირების მონაცემები, განსაკუთრებით კი სატელიტური მონაცემები, არ არის ყველასთვის ხელმისაწვდომი, მაგრამ ის შეიძლება იყოს შესანიშნავი საშუალება თუკი არასამთავრობო ორგანიზაციას აქვს შესაბამისი რესურსები გამოსახულებების მიღებისა და შედეგების დამუშავებისათვის.

არსებობს მონაცემთა დისტანციური შეგროვების ორი ძირითადი სახე: გამოსახულებათა (1) თვითმფრინავის (აერო) და (2) სატელიტის საშუალებით მიღება. აერო მონაცემები, როგორც წესი, ეფუძნება ვიზუალურ, ფოტოგრაფიულ ან ვიდეო მონაცემებს. სატელიტური მონაცემები შესაძლოა ასევე იყოს ფოტოგრაფიული, მაგრამ, ჩვეულებრივ, მათი საშუალებით იზომება დედამიწის ზედაპირიდან არეკლილი რადიაცია. ელექტრომაგნიტური

სპექტრის (მაგ. ცისფერი, მწვანე, წითელი, ინფრაწითელი) სხვადასხვა ზონებში არეკლილი რადიაციის ოდენობა სხვადასხვა ტერიტორიაზე ვეგეტაციის სტატუსის დადგენის საშუალებას იძლევა. აერო გადაღებების გამოყენება ბევრად მეტი სივრცის შესახებ იძლევა მონაცემების შეგროვების შესაძლებლობას, ვიდრე სავსე დაკვირვებები; ხოლო სატელიტური გამოსახულებები ბევრად უფრო ინფორმაციულია. და რადგანაც მსოფლიოს თითქმის ყველა წერტილზე დაკვირვება პერმანენტულად მიმდინარეობს, თქვენ შეგიძლიათ უბრალოდ იყიდოთ თქვენთვის საინტერესო ტერიტორიის სატელიტური გამოსახულება.

იდეალურ შემთხვევაში, მონაცემთა დისტანციური შეგროვების გამოყენებით კვლევის დაგეგმვისას, ანალიტიკოსი ირჩევს თუ რა სახის მონაცემებია საჭირო კვლევის მიზნებისთვის. რეალობაში, კი ჩვენ, როგორც წესი შეზღუდულნი ვართ მხოლოდ იმ ინფორმაციით რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია და არ არის ძვირი. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტთ მონაცემთა დისტანციური შეგროვების რომელიმე მეთოდის გამოყენებას, დარწმუნდით, რომ თქვენ გაქვთ საკმარისი ცოდნა მონაცემთა ანალიზისათვის და მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთებისათვის.

მონაცემთა დისტანციური შეგროვების მეთოდის გამოყენების დაგეგმვისას დარწმუნდით, რომ ინვესტიცია ამართლებს შედეგს. მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე, დაბალტექნოლოგიური მიდგომა შესაძლოა ისევე ეფექტური აღმოჩნდეს, როგორც ბევრად უფრო ძვირი, მაღალტექნოლოგიური და ხანგრძლივადიანი მიდგომები, რომლებიც იყენებენ დისტანციურ ზონდირებას.

მეთოდის შერჩევა

მას შემდეგ, რაც გადაწყვეტთ რის მონიტორინგს აპირებთ, შემდეგი ნაბიჯი არის მონაცემთა შეგროვებისათვის მეთოდოლოგიის შერჩევა. ეს გულისხმობს იმის გადაწყვეტას, თუ როგორ, სად, ვის მიერ, როდის, რა სიზუსტით და სიხშირით უნდა შეგროვდეს მონაცემები.

საბოლოო გადაწყვეტილება მეთოდოლოგიის შესახებ უნდა მოიცავდეს თქვენ ხედვას მონაცემთა ანალიზის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ წინასწარ იფიქროთ მონაცემთა ანალიზის შესახებ, სანამ დაიწყებდეთ თავად მონაცემთა შეგროვებას. გახსოვდეთ, რომ აწარმოებთ მონიტორინგს რათა მოახდინოთ მოვლენათა დოკუმენტირება, ხოლო ამას აკეთებთ იმისათვის, რომ წარადგინოთ ანგარიში და მოახდინოთ გავლენა. ამიტომ დაგეგმარების ყველა ეტაპზე წარმოიდგინეთ, თუ რა იქნება საბოლოო შედეგი. რაც შეიძლება ზუსტად დაგეგმეთ თუ როგორ მოხდება ინფორმაციის ანალიზი და საზოგადოებისთვის წარდგენა. მას შემდეგ რაც განსაზღვრავთ მეთოდს, ან მეთოდებს, გადაწყვიტეთ თუ ვინ გააკეთებს ანალიზს და დარწმუნდით, რომ ეს ადამიანები თქვენთვის ხელმისაწვდომი იქნება საჭირო დროს.

მეთოდების გამოცდა

ყოველთვის, როდესაც ეს შესაძლებელია, ჩაატარეთ საცდელი კვლევა,

რათა შეაფასოთ რამდენად მუშაობს მეთოდი. ზოგჯერ საუკეთესო გეგმები შესაძლოა არაგანხორციელებადი აღმოჩნდეს ველზე, ამიტომ ამის შესახებ უმჯობესია მანამდე შეიტყოთ, ვიდრე დროისა და რესურსების ინვესტიციას მოახდენთ.

შეიმუშავეთ კომუნიკაციის (შედეგების განმარტების) სტრატეგია

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია დაგეგმეთ კომუნიკაციის სტრატეგია. როგორ გამოიყენებთ მონაცემებს? გეგნებათ, თუ არა საკმარისი ინფორმაცია სარწმუნო და სანდო ანგარიშის წარსადგენად სამიზნე ჯგუფისათვის. ნათელია, რომ ამის შესახებ წინასწარ სჯობს ფიქრი. წლების შემდეგ, როდესაც თქვენ მიხვდებით, რომ საჭირო იყო დამატებითი მონაცემების შეგრივება, საკმაოდ გვიან იქნება.

შეიმუშავეთ ბიუჯეტი

გაქვთ, თუ არა საკმარისი თანხა მონიტორინგის გეგმის განხორციელებად? თუ არა, გეგმა უნდა შეიცვალოს. ხოლო, თუკი გეგმის შეცვლა შეუძლებელია, ან შეცვლის შედეგად იგი არაეფექტური გახდება, იზრუნეთ დამატებითი თანხების მოძიებისთვის. ამ მიმე რეალობის სხვა ალტერნატივა არ არსებობს. გეგმის განხორციელების დაწყება არასაკმარისი თანხებით ყოველთვის დასრულდება 1) არასრულყოფილი მონაცემებით, და 2) უსარგებლო ანგარიშებით. ყოველთვის განახორციელეთ გეგმა, რომლისთვისაც გაქვთ საკმარისი თანხა და აირიდეთ უსარგებლო მიმე შრომა.

მონიტორინგის პროექტის II ეტაპი: განხორციელება

მონიტორინგის გეგმის შედგენის შემდეგ, უნდა დაიყოს მისი განხორციელება. ქვემოთ წარმოგიდგენთ ინფორმაციას, თუ როგორ შეაგროვოთ მონაცემები, შეინახოთ მაღალხარისხიანი მონაცემები და გააანალიზოთ ინფორმაცია. ჩვენ განვიხილავთ იმ ძირითად პრობლემებს და საკითხებს, რომლებიც აღელვებს მცირე არასამთავრობო ორგანიზაციებს.

მაღალხარისხიანი მონაცემები და შედეგები

მაღალხარისხიანი ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოთ თითოეულ ნაბიჯს მონაცემთა მოპოვების პროცესში. ეს ნაბიჯები ქვემოთ არის მოყვანილი:

1. დოკუმენტირება გაუკეთეთ დაგეგმილ მეთოდს (ანუ დაწერეთ იგი);
2. საველე სამუშაოს დაწყებამდე დაგეგმეთ გასვლების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
3. შეადგინეთ საჭირო ტექნიკის სია; და

4. დარწმუნდით რომ ტექნიკა მუშა მდგომარეობაშია.

მონაცემთა წარმოებისა და ანალიზის ფაზაში:

1. შეინახეთ და დააარქივეთ ინფორმაცია რამდენიმე ადგილზე;
2. გამოიყენეთ შესაბამისი ანალიზის მეთოდიკა; და
3. გააკეთეთ შესაბამისი დასკვნები.

შეცდომების არიდება

შეცდომები ძალიან მკვეთრად აღიქმება თქვენს სამიზნე ჯგუფში და თქვენს სამუშაოს დაუდევრად ან მიკერძოებულად შესრულებულის რეპუტაციას უქმნის. შეცდომები შესაძლოა დაშვებულ იქნას ნებისმიერ ეტაპზე, დაწყებული მონაცემთა შეგროვებით, დამთავრებული ანგარიშის მომზადებით. ყურადღება უნდა მიაქციოთ, რომ მოხდეს მათი გამოსწორება ყველა ეტაპზე. არსებობს ოთხი ძირითადი ტიპის შეცდომა.

უხეში ცდომილება

უხეში ცდომილების ტიპური მაგალითი არის მონაცემთა ჩაწერისას დაშვებული შეცდომები, კომპიუტერში მონაცემების შეყვანისას დაშვებული უნებლიე შეცდომები, ტექნიკის არასწორი გამოყენებისას დაშვებული შეცდომები, ან არასწორი მათემატიკური გამოთვლები. სამწუხაროდ, უხეში ცდომილებები ყველაზე ფართოდ გავრცელებული შეცდომებია, მაგრამ შესაძლებელია მათი თავიდან არიდება ფრთხილი და სისტემატიური ჯვარედინი გადამოწმების გზით. აუცილებელია არსებობდეს სისტემა, რომელშიც მონაცემები სისტემატურად გადამოწმდება პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე. თითოეული ადამიანი უნდა აწარმოებდეს საკუთარი ნამუშევრის გადამოწმებას. უფრო მეტიც, გადამოწმებაში რამდენიმე ადამიანი უნდა მონაწილეობდეს, რადგანაც საკითხში გათვითცობიერება ზოგჯერ ამცირებს შეცდომების დანახვის უნარს, ამიტომ უმჯობესია გადამოწმება გარეშე პირის მიერ მოხდეს. ქვემოთ, მონაცემთა მართვის ქვეთავში, განვიხილავთ გადამოწმების რამდენიმე სისტემას.

მეთოდოლოგიური ცდომილება

მეთოდოლოგიური ცდომილება ცუდი დაგეგმარების, ან არასწორი განხორციელების შედეგია. მაგალითები მოიცავს მონაცემთა შეგროვებისათვის არასწორი მეთოდის გამოყენებას, დაგეგმილი მეთოდის არასწორად გამოყენებას, ან არაშესატყვისი ანალიზის ხერხის გამოყენებას. უხეში ცდომილების მსგავსად, მეთოდოლოგიური ცდომილება შესაძლოა ავირიდოთ ფრთხილი დაგეგმარებითა და განხორციელებით. მეთოდოლოგიური ცდომილებების არიდება მოითხოვს სპეციალურ სწავლებას იმისათვის, რომ ველზე და მონაცემთა ანალიზზე მომუშავე ჯგუფებმა შესძლონ მეთოდის სწორად გამოყენება.

სისტემური ან ტექნიკური ცდომილება

სისტემური ცდომილებები ძირითადად გამოწვეულია ტექნიკის გაუმართაობით. ამ სახის ცდომილებების არიდება შესაძლებელია მხოლოდ

ხელსაწყოების ხშირი და ფრთხილი კალიბრირებით.

შემთხვევითი ცდომილება

შემთხვევითი ცდომილება, რომელიც ასევე იწოდება შერჩევითი გამოკვლევის ცდომილებად, სტატისტიკის საგანია. ეს გარდაუვალი შედეგია მოსახლეობის ფართო ფენების შესახებ დასკვნის გასაკეთებლად მცირე ჯგუფის შერჩევისას. თუკი თქვენი ანალიზისათვის საჭიროა სტატისტიკა, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ შემთხვევითი ცდომილების არსებობა. მაგალითად, შესაძლოა ვერ დავითვალოთ ტყიდან გამოსული ყველა სატვირთო მანქანა. სანაცვლოდ, ვითვლით სატვირთო მანქანების ზუსტ რაოდენობას სანიმუშო ტერიტორიაზე და შემდეგ განვაზოგადებთ მონაცემებს. განსხვავება ჩვენს გამოთვლებსა და ზუსტ რაოდენობას შორის არის შემთხვევითი, ანუ შერჩევითი გამოკვლევის ცდომილება. შემთხვევითი ცდომილება გარდაუვალია და სტატისტიკური ანალიზის სტანდარტული ნაწილია. შემთხვევითი ცდომილება შეიძლება ავირიდოთ სამაგალითო ტერიტორიის ზომის შერჩევისა და შერჩევის მეთოლოგიის ფრთხილად დაგეგმვით.

მონაცემთა შებრუნება

მონაცემთა ველზე შეგროვების ტექნიკა

მონაცემთა შეგროვებისათვის ტექნიკის შერჩევა ხდება იმის და მიხედვით, თუ რა სახის ინფორმაციის შეგროვება გსურთ. დისტანციური ზონდირების მონაცემები, საველე მონაცემები, ინტერვიუების ჩანაწერები და სხვა სახის ინფორმაცია მოითხოვს სპეციფიურ ტექნიკას. მას შემდეგ, რაც გადაწყვეტთ, თუ რა სახის ინფორმაცია გჭირდებათ, უნდა მოიპოვოთ წარმატებული მაგალითები იმისა, თუ როგორ აკეთებენ ამას სხვები.

არსებობს ველზე მონაცემთა შეგროვების სამი ძირითადი წესი. (1) დასახეთ გეგმა და მისდით მას; (2) წინასწარ მოამზადეთ შესავსებად მარტივი და გამოსაყენებლად სასარგებლო ცხრილები მონაცემთა შესაყვანად; (3) დროულად გადაწერეთ (განავრცეთ) საველე ჩანაწერები, სანამ დეტალები კარგად გახსოვთ.

მონაცემთა ჩაწერა

მონაცემთა ველზე ჩაწერის სამი საშუალება არსებობს: (1) მონაცემთა სპეციალურ საველე ფორმებში მონაცემთა ხელით ჩაწერა; (2) აუდიო და ვიდეო ჩანაწერები; (3) პორტაბელური კომპიუტერები. რა თქმა უნდა, ეს საშუალებები არ არის ურთიერთგამომრიცხავი და შესაძლებელია მათი კომბინირება უფრო მეტი სიზუსტისათვის.

(1) მონაცემთა საველე ფორმები

უპირატესობა:

- მონაცემთა საველე ფორმები ან რვეულები იაფია და მსუბუქი;
- ისინი შესაძლოა მოთავსდეს წყალგაუმტარ ჩანთაში და ნაკლებად დაზიანებადია ველზე;

ნაკლი:

- მონაცემთა გადაწერა ოფისში დაბრუნებისას დიდ დროს მოითხოვს;
- ხელნაწერი შესაძლოა წაიშალოს ან გაკრული ხელით დაწერილი და ძნელად წაკითხვადი იყოს.

რჩევები საველე ფორმების გამოყენებით მონაცემთა შეგროვების გასაუმჯობესებლად:

- წინასწარ გაამზადეთ სპეციალური ფორმები, რომლებიც გაგიადვილებთ მონაცემთა ჩაწერისა და შემდეგ ჩანაწერების განვრცობის პროცესს.
- წერეთ გარკვევით!
- წინასწარ შეიტანეთ ფორმებში რაც შეიძლება მეტი უკვე ცნობილი ინფორმაცია. ეს შეამცირებს განმეორებითი წერის საჭიროებას და შეცდომების ალბათობას.

ცხრილები:

არსებობს რამდენიმე სახის ინფორმაცია, რომელიც უნდა აისახოს პროექტის განმავლობაში გამოყენებულ ყველა ცხრილში:

1. პროექტის სათაური;
2. თარიღი;
3. ადგილმდებარეობა;
4. დამკვირვებლის ვინაობა (ადამიანი ან ადამიანები, რომლებიც აგროვებენ მონაცემებს);
5. დოკუმენტის გვერდების რაოდენობა;
6. ცხრილში უნდა იყოს ადგილი დამატებითი კომენტარებისათვის.

ასეთი სახის ინფორმაცია აადვილებს ცხრილების გამოყენებას, როგორც შევსებისას, ასევე მომავალში გამოყენებისათვის, რადგანაც დროთა განმავლობაში, მეხსიერებაში სულ უფრო ნაკლები ინფორმაცია გვრჩება. თარიღი, სათაური და დამკვირვებლების ვინაობა, მომავალში გადამწყვეტია ცხრილებში გაურკვეველი ჩანაწერის დაზუსტებისათვის.

ყოველთვის არ არის შესაძლებელი სრულყოფილი საველე ფორმის წინასწარ მოფიქრება. ხშირად საჭიროა გარკვეული ცვლილებების ადგილზე შეტანა ან მომავალში გათვალისწინება. როგორ უნდა გადაწყვიტოს დამკვირვებელმა, თუ რა სახის ინფორმაცია შეიტანოს ცხრილში კომენტარის სახით? ნათელია, რომ ცხრილები არ უნდა გადაივსოს დამატებითი კომენტარებით ან ინფორმაციით, რომელიც შესაძლოა საინტერესოა, მაგრამ კავშირში არ არის პროექტთან. ეს ძალიან გაართულებს შემდგომში მონაცემთა ინტერპრეტაციის პროცესს. ამავდროულად, ნებისმიერი კომენტარი ან დაკვირვება, რომელიც მნიშვნელოვანია კვლევისათვის, განსაკუთრებით კი ინფორმაცია, რომელიც გავლენას იქონიებს მონაცემთა ინტერპრეტაციაზე და ანალიზზე, აუცილებლად უნდა აისახოს შესაფერის გრაფაში.

(2) აუდიო და ვიდეო ჩანაწერები

უპირატესობა:

- ხელის მაგნიტოფონების გამოყენება ამცირებს საველე კვლებისთვის საჭირო მონაცემების ჩაწერის დროს;

- დეტალური აღწერა შესაძლოა უფრო ნაკლებ დროში ჩაიწეროს სიტყვიერად, ვიდრე წერილობით;
- ვიდეო ჩანაწერები დოკუმენტირების საუკეთესო საშუალებაა და ხშირად გამოიყენება შედეგების გახმოვანების პროცესში;
- მონაცემთა ინტერპრეტაცია შესაძლოა მოხდეს შედარებით კომფორტულ პირობებში.

ნაკლი:

- მონაცემები უნდა გაიშიფროს გამოყენებამდე;
- ეს აპარატურა უფრო ძვირია ვიდრე ქაღალდი და სჭირდება ბატარეები;
- აპარატი შესაძლოა უეცრად ისე გაფუჭდეს, რომ დაიკარგოს მასზე არსებული ინფორმაცია, ან მონაცემთა შემდგომი შეგროვების შესაძლებლობა;
- რადგანაც არ არსებობს მონაცემთა ფორმა, რომელზეც შესაძლოა "შეუვსებელი" გრაფების დანახვა, ზოგიერთი კატეგორიის მონაცემი შესაძლოა ვერ მოიპოვო;

რჩევები აუდიო და ვიდეო ტექნიკის გამოყენებით მონაცემთა შეგროვების გაუმჯობესებისათვის:

- ჩანაწერები უნდა გაიშიფროს (მოხდეს ქაღალდზე გადატანა) რაც შეიძლება სწრაფად, საუკეთესო შემთხვევაში ველიდან დაბრუნებისთანავე;
- თან იქონიეთ ცარიელი საველე ფორმები, რომელზეც აღნიშნავთ, თუ რა სახის ინფორმაციის ჩაწერა გჭირდებათ;
- ველზე თან იქონიეთ საველე ფორმები, აპარატის გაუმართაობის შემთხვევაში მონაცემთა ხელით ჩასაწერად;
- ისაუბრეთ გარკვევით;
- ყველა კასეტაზე ჩაწერეთ ერთიდაიგივე საბაზისო ინფორმაცია;
- ყველა კასეტა დაასათაურეთ და სრულად დააწერეთ პროექტის სათაური, თარიღი და დამკვირვებლის ვინაობა;
- პერიოდულად გადაამოწმეთ ჩაწერილი მასალა, რათა დარწმუნდეთ, რომ აპარატი გამართულად მუშაობს.

(3) პორტაბელური კომპიუტერები

უპირატესობა:

- ოფისში მონაცემთა განვრცობისათვის სჭირდება მცირე დრო;
- ზოგიერთი მონაცემი შესაძლოა პირდაპირ შეყვანილი იყოს საჭირო პროგრამაში;
- თუკი კომპიუტერი აღჭურვილია ნავიგაციისა და გეოინფორმაციული სისტემით (GIS) შესაძლებელია ადგილმდებარეობის ადგილზე განსაზღვრა;

ნაკლი:

- პორტაბელური კომპიუტერები საკმაოდ ძვირია;
- მოხმარების დრო ველზე შეზღუდულია ბატარეების სიცოცხლისუნარიანობის ვადით;

- კომპიუტერი შესაძლოა მოუხერხებელი იყოს ველზე მძიმე წონისა და ეკრანის მცირე ზომის გამო;
- შესაძლოა დაზიანდეს წვიმაში მოხვედრისას, მოგპარონ ან საერთოდ ჩამოგართვან;

რჩევები:

- პორტაბელური კომპიუტერები ველზე უმჯობესია წყალგაუმტარი ჩანთით ატაროთ;
- შეეცადეთ პერიოდულად გადაწეროთ ინფორმაცია სხვა საშუალებებზე (მაგ. კომპაქტურ დისკებზე);
- თუკი შესაძლებელია, თან იქონიეთ სარეზერვო ბატარეა;
- შეიმუშავეთ ელექტრონული ფორმები მონაცემთა სწრაფი ჩაწერისათვის.

მონაცემთა მართვა

მონიტორინგის პროგრამისთვის მნიშვნელოვანია შეგროვებული მონაცემების ფრთხილად წარმოება და მართვა. არაშესაფერის ადგილას შენახული, დავიწყებული ან, რაც ყველაზე ხშირია, ცუდად დოკუმენტირებული მონაცემები საყოველთაო პრობლემაა. მნიშვნელოვანია, რომ თქვენს ორგანიზაციას ჰქონდეს მონაცემთა წარმოების პროცედურები პროცესის ყველა ეტაპზე, მონაცემთა შეგროვებიდან დაწყებული საბოლოო დოკუმენტის შექმნით დამთავრებული. ქვემოთ შემოგთავაზებთ მონაცემთა კომპიუტერული არქივაციის რამდენიმე სისტემას, თუმცა მონაცემთა ქალაქზე შენახვაც იგივე წესით უნდა ხორციელდებოდეს.

მონაცემთა კომპიუტერში შეტანა და ოფისში შენახვა

მონაცემთა კომპიუტერში შეტანა და მართვის პროცესი შესაძლოა ხუთ ეტაპად დაიყოს:

1. კომპიუტერული პროგრამის შერჩევა;
2. მონაცემთა შეტანა, ფაილისათვის შესაფერისი სახელის გამოყენებით;
3. მონაცემთა დოკუმენტირება;
4. შეტანილი მონაცემების გადამოწმება; და
5. შექმნილი დოკუმენტების რამდენიმე ასლის გაკეთება და უსაფრთხო ადგილას შენახვა.

აგრეთვე მნიშვნელოვანია ველზე გაკეთებული ჩანაწერების ორიგინალების შენახვა, რათა დოკუმენტის კომპიუტერული ვერსიის დაკარგვის შემთხვევაში სამუშაო თავიდან არ გახდეს ჩასატარებელი.

კომპიუტერული პროგრამის შერჩევა

ტექსტური რედაქტორები (მაგ. ე.წ. “მაიკროსოფტ ვორდი”): ტექსტური რედაქტორები ნაკლებად მოსახერხებელია მონაცემთა შენახვისათვის, რადგანაც ისინი უფრო სიტყვიერ შინაარსზეა გათვლილი და ნაკლებად გამოიყენება რიცხვებთან მუშაობისას. ტექსტური მონაცემებისათვის, როგორცაა ინტერვიუები, ტექსტური რედაქტორები საუკეთესო არჩევანია.

ელექტრონული ცხრილები: “მაიკროსოფტ ექსელი” ელექტრონული ცხრილების პროგრამის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც იძლევა ციფრული ან ტექსტური ცხრილების ადვილად მანიპულირების შესაძლებლობას. ელექტრონული ცხრილების გამოყენება ტექსტური მონაცემებისთვის ნაკლებად მოსახერხებელია. ამ პროგრამების მეშვეობით შესაძლებელია ზოგიერთი სტატისტიკური ანალიზის გაკეთება და გრაფიკული გამოსახულებების შექმნა.

სივრცული ანალიზის პროგრამები: გეოინფორმაციული სისტემები (GIS) ყველაზე ფართოდ გამოყენებადი სივრცული ანალიზის პროგრამაა. ეს საკმაოდ ძლიერი, სულ უფრო პოპულარული და ადვილად მოსახმარი პროგრამებია. მისი ფასი შესაძლოა საკმაოდ დიდი იყოს, დაწყებული რამოდენიმე ასეულიდან დასრულებული რამოდენიმე ათეული ათასი აშშ დოლარით, თუმცა ეს ღირებული ინვესტიციაა.

ფაილებისათვის შესატყვისი დასახელების გამოყენება

დოკუმენტებით სავსე კომპიუტერში ფაილისათვის შესაფერისი სახელის დარქმევას დიდი მნიშვნელობა აქვს. პროექტებისა და მონაცემთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, დაუდევრად დასახელებული ფაილები, საუკეთესო შემთხვევაში, შესაძლოა ნამდვილ თავის ტიპილად გადაიქცეს, ხოლო უარეს შემთხვევაში, მონაცემთა დაკარგვით დამთავრდეს. ყოველივე აღნიშნულის თავიდან ასარიდებლად: (1) შექმენით ფაილების სტანდარტული დასახელების სისტემა და (2) მონაცემთა ფაილები განათავსეთ ინდივიდუალური პროექტებისათვის განკუთვნილ დირექტორიებში.

მონაცემთა დოკუმენტირება

დოკუმენტაცია უნდა დაიწყოს პროექტისა და მონაცემთა შეგროვების მეთოდის აღწერით. მონაცემთა შეგროვების ფორმები და ასევე გამოყენებულ მეთოდთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია (კონტაქტები, თარიღები, ინფორმაციის წყაროები) უნდა დაარქივდეს, რათა შემდგომში ნებისმიერი გაუგებრობის დროს სამუშაო ჯგუფის წევრებს ჰქონდეთ გაუგებრობის წყაროს დადგენის საშუალება.

მონაცემთა გადამოწმება

გაკრული ხელით გაკეთებული ჩანაწერის კომპიუტერში გადატანისას შესაძლოა დაშვებულ იქნას მნიშვნელოვანი შეცდომები (მაგ. 9,9-ის ნაცვლად 99). ამიტომ, მას შემდეგ, რაც მონაცემები შეტანილია კომპიუტერში, დოკუმენტის ელექტრონული ვერსია აუცილებლად დაკვირვებით უნდა გადამოწმდეს და შედარდეს ხელნაწერებთან.

მონაცემთა დაკარგვისაგან თავის დაცვა

მას შემდეგ, რაც მონაცემებს შეაგროვებთ, პირველ რიგში იზრუნეთ, რომ ყველა დოკუმენტს ჰქონდეს ასლი და ორივე ვარიანტი უსაფრთხოდ და განხვავებულ ადგილზე ინახებოდეს. ასლების შექმნისა და შენახვის პროცესი პროექტის დასრულებამდე უნდა გრძელდებოდეს, ხოლო პროექტის დასრულების შემდეგ ყველა საბოლოო დოკუმენტი, მასალები და პროცესის

აღწერა უნდა დაარქივდეს უსაფრთხო ადგილზე.

მონაცემთა გაზიარება

გარდა იმისა, რომ თქვენი მონაცემები უსაფრთხოდ უნდა იყოს შენახული, უნდა იზრუნოთ, რომ ისინი სხვებისთვისაც გახდეს ხელმისაწვდომი. ამით მნიშვნელოვნად გაზრდით თქვენს მიერ წარმოებული მონიტორინგის გავლენას.

კომპიუტერული ფაილები

დოკუმენტაცია, რომელიც გსურთ, რომ სხვებსაც გაუზიაროთ, აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს სტრანდარტულ პარამეტრებს (მაგ. ფაილის მოცულობა არ უნდა იყოს დიდი, არ საჭიროებდეს დამატებითი ფონტების ან პროგრამების გამოყენებას და ა.შ.).

ინტერნეტი

ინტერნეტი მონაცემების და მასზე დაფუძნებული ანგარიშების გავრცელების საუკეთესო საშუალებაა. იმის გამო, რომ დროთა განმავლობაში ინტერნეტ-გვერდების შექმნა ძალზე გაადვილდა, ინფორმაციის გაცვლა ინტერნეტის მეშვეობით სულ უფრო პოპულარული ხდება.

ორგანიზაციული ქსელები

საერთო ინტერესების მქონე ორგანიზაციების ქსელი შესაძლოა ძალიან ეფექტური საშუალება იყოს ინფორმაციის, გამოცდილებისა და პოლიტიკური ზეგავლენის გავრცელებისათვის.

მონაცემთა ანალიზი

ეფექტური სამონიტორინგო კვლევის დაგეგმვა და განხორციელება საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა. თუმცა მხოლოდ ციფრები არაფრის მთქმელია, სანამ ისინი არ გაანალიზდება და არ გააკეთდება შესაბამისი დასკვნები. მნიშვნელოვანია, რომ დასკვნები ობიექტური და გამჭვირვალე ანალიზის მეთოდების გამოყენებით გაკეთდეს.

ამ სახელმძღვანელოში განვიხილავთ მონაცემთა ოთხ ფართო ჯგუფს: ინტერვიუს მონაცემებს; ფოტო, ან სხვაგვარად ხარისხობრივ მონაცემებს; რაოდენობრივ ეკოლოგიურ მონაცემებს; და დისტანციური ზონდირებით მოპოვებულ მონაცემებს. ამ სახის მონაცემების ანალიზისათვის არსებობს ოთხი სახის ანალიტიკური მიდგომა:

1. აღწერითი (დოკუმენტური) ანალიზი (ინტერვიუებისა და ფოტომასალისთვის);
2. გრაფიკული ანალიზი;
3. სტატისტიკური ანალიზი; და
4. რუკაზე დატანა.

აღწერითი ანალიზი

ინტერვიუები, ფოტოები და სხვა ხარისხობრივი მონაცემები შესაფერისი

მასალა აღწერთი ანალიზისთვის. ასეთი სახის ანალიზს მოთხოვნი მსგავსი ფორმა აქვს. კარგად წარმოდგენილი აღწერთი ანალიზი შესაძლოა საკმაოდ დამაჯერებელი იყოს.

აღწერთი ანალიზი განსაკუთრებით სასარგებლოა, როდესაც საჭიროა სფეციფიური სიტუაციის ფართოდ გახმოვანება. მაგალითად, სიტუაცია, როდესაც ირდევია კანონი, რომელიც კრძალავს გარკვეულ ტერიტორიებზე ტყის ჭრას. ინტერვიუებიდან, ან ფოტომასალებიდან მიღებული ინფორმაციის საშუალებით, შესაძლოა დარღვევის წინააღმდეგ საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება.

აღწერთი ანალიზისას ფოტოები შესაძლოა ორი გზით იქნას გამოყენებული.

პირველი: ფოტოები შესაძლოა გამოვიყენოთ არაღვეგალური ან აკრძალული ქმედების დოკუმენტირებისათვის. სამხილვად ფოტოების გამოყენება დამოკიდებულია მათ სანდობაზე. ამიტომ, ყოველთვის, როდესაც ეს შესაძლებელია, თარიღი და ადგილმდებარეობა უნდა აისახებოდეს თავად ფოტოზე. ამჟამად, უკვე ფართოდ არის გავრცელებული ნავიგაციისა და მდებარეობის განსაზღვრის სისტემით აღჭურვილი ფოტოაპარატები, რომელთა ამ ფუნქციის აქტივაციის შედეგად, მიმდინარე თარიღი და ადგილმდებარეობა ავტომატურად იბეჭდება ფოტოზე. ასეთ ფოტოაპარატებს ხელმისაწვდომი ფასი აქვთ და საკმაოდ კარგი ინვესტიციაა მონიტორინგის პროგრამებისათვის.

მეორე: ფოტოების სერია შესაძლოა გამოვიყენოთ ჰაბიტატის ცვლილების დოკუმენტირებისათვის, განსაკუთრებით თუ ეს ცვლილება მნიშვნელოვანია. ჰაბიტატის მცირედი ცვლილება შესაძლოა მოითხოვდეს უშუალო გაზომვებს, ხოლო უფრო დიდი ცვლილებები შესაძლოა ადვილად დოკუმენტირებულ იქნას ფოტოებით. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ პირწმინდა ჭრების დემონსტრირება “მანამდე და შემდეგ” ფოტოების გამოყენებით. ზემოთ განხილული თარიღისა და ადგილმდებარეობის მარკენებლები ასევე გამოყენებულ უნდა იქნეს ასეთ შემთხვევაში. თუკი “მანამდე” ფოტოები არ არსებობს, ასეთ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ სატელიტური გამოსახულებები, რომელიც ადასტურებს ჭრებამდე იქ ტყის არსებობას.

გრაფიკული ანალიზი

ფოტოსურათი საკმაოდ დამაჯერებელი დოკუმენტია. ამიტომ, გირჩევთ მასთან ერთად გამოვიყენოთ ანალიზის სტრატეგია, რომელიც მოიცავს გრაფიკებს და რიცხვებს. განსაკუთრებით სასარგებლოა გრაფიკული ანალიზი, რომელიც იყენებს შედარებებს მდგომარეობის საჩვენებლად. ზოგიერთი ორგანიზაცია იყენებს ამ ტექნიკას, რათა აჩვენოს, სხვა ქვეყნებთან შედარებით რამდენად ცუდად ხორციელდება მათთან ესა თუ ის გარემოსდაცვითი ქმედება.

ხარისხობრივი მონაცემების გრაფიკული ანალიზი ყოველთვის რეკომენდირებულია, მაშინაც კი, როდესაც თქვენ გეგმავთ დამატებით სტატისტიკური ანალიზის განხორციელებას. ამიტომ, გრაფიკული პროგრამების შექმნა კარგი ინვესტიცია ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაციისათვის.

სტატისტიკური ანალიზი

ის, თუ რა ტიპის სტატისტიკურ ანალიზს გამოიყენებთ, უნდა გადაწყვიტოთ სამონიტორინგო კვლევის დაგეგმვის საწყის ეტაპზე. ცალკეული სტატისტიკური ანალიზის მეთოდის ეფექტურობა დამოკიდებულია მონაცემთა რაოდენობასა და მაგალითების მახასიათებლებზე. თუკი საჭირო ინფორმაცია არასაკმარისი რაოდენობითაა მოპოვებული, ანალიზი შეუძლებელი ხდება. ასე მაგალითად, ვარიაციული ანალიზი, რომელიც იკვლევს გადახრას საშუალო მონაცემებიდან და ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ჯგუფების შესადარებლად, არ შეიძლება განხორციელდეს ერთი დაკვირვების შედეგად თითოეულ ჯგუფზე. პრაქტიკაში ამისათვის სულ მცირე 10 დაკვირვებაა საჭირო. თუკი ეს შეზღუდვები წინასწარ არ იქნა განსაზღვრული, არაეფექტური მონაცემები შეუძლებელს ხდის ანალიზის გაკეთებას.

მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკური ანალიზი არ არის კოსმოსური ფიზიკის მსგავსი მეცნიერება, იგი მოითხოვს სპეციალურ უნარებსა და ცოდნას. ამიტომ, სტატისტიკური ანალიზის განხორციელებისათვის, გირჩევთ ყოველთვის მიმართოთ სპეციალისტებს.

სივრცითი ანალიზი

სივრცითი ანალიზი იყენებს მონაცემებს დედამიწის ზედაპირის, მიწისქვეშა ნაწილისა და ატმოსფეროს ბუნებრივი და პოლიტიკური კანონზომიერებების შესახებ. სივრცითი ანალიზისას გამოიყენება სოციოეკონომიკური, პოლიტიკური და ფიზიკური მახასიათებლები. როგორც ეს მონაცემთა მართვის ქვეთავში იყო განხილული, არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობა სივრცითი ანალიზისათვის გეოინფორმაციულ სისტემებს იყენებენ. გეოინფორმაციული სისტემები იძლევა სხვადასხვა სივრცით მონაცემებს შორის კავშირის ასახვის, მათი შედარებისა და ანალიზის შესაძლებლობას – ტყის ტიპი, მიწის მფლობელობა, მოსახლეობის სიმჭიდროვე, პოლიტიკური საზღვრები, გზები, ნავთობსადენები, მინერალური დეპოზიტები და ა.შ. დროის განმავლობაში სხვადასხვა ელემენტებზე დაკვირვება მიწის საფარის ცვლილების ტენდენციის და მისი სხვა ელემენტებთან კავშირის ანალიზის შესაძლებლობას იძლევა. ამ სახის ანალიზის პროდუქტი შეიძლება იყოს მიწის საფარის ცვლილების იდენტიფიცირება და მისი გამომწვევი ფაქტორების ანალიზი. გეოინფორმაციული სისტემები საუკეთესო საშუალებაა ბუნებრივი რესურსების კონსერვაციისა და ეფექტური მართვისათვის. მისი საშუალებით შესაძლებელია ცვლილების კანონზომიერების ფართო სპექტრის დადგენა, რომელიც ძალიან ძნელი აღმოსაჩენია სხვა საშუალებებით. სივრცითი ანალიზი ხშირად იყენებს დისტანციური ზონდირებით მოპოვებული ისეთ მონაცემებს, როგორებიცაა, სატელიტური გამოსახულებები, აეროფოტოგრაფია და ვიდეოგრაფია.

ტყეებთან დაკავშირებული ტიპური ანალიზისას ერთმანეთს ედება მონაცემები ტყით დაფარული ტერიტორიების და ჭრის ნებართვების ან სხვა სახის საქმიანობის შესახებ, რათა გამოჩნდეს თუ არსებული ტყის რა პროცენტია დეგრადაციის საფრთხის ქვეშ. მონაცემთა დამატება დაცული ტერიტორიების ან იშვიათი ბიომრავალფეროვნების ადგილების შესახებ

საშუალებას გაძლევთ შეიტყუთ, თუ რა ვითარებაა მათ დაცვასთან დაკავშირებით. აშკარა დარღვევები, თუნდაც ისეთი არალეგალური ქმედებები, როგორცაა დაცულ ტერიტორიებზე გაცემული ჭრის ნებართვა, შესაძლოა აღმოჩენილი და დამაჯერებლად გახმოვანებული იყოს გეოინფორმაციული სისტემების მეშვეობით. როდესაც ასეთი ანალიზი კეთდება ჭრის განხორციელებამდე, მონიტორინგის საშუალებით შესაძლებელია ასეთი დარღვევის განხორციელების არიდება.

მიუხედავად იმისა, რომ სივრცითი ანალიზის გაკეთება ძვირია და საკმაოდ რთული, ეს ტექნოლოგია სულ უფრო ფართოდ გამოიყენება. მცირე არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის შესაძლოა სასარგებლო იყოს საწყისად დიდ პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა აღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენებისათვის. სატელიტური გამოსახულებები შესაძლოა ძალიან ეფექტური იყოს (1) ბუნებრივი ჰაბიტატით ან მიწით სარგელობის შედეგად ლანდშაფტის ცვლილების კანონზომიერების გამოვლენისათვის და (2) ჰაბიტატების ისეთი ცალკეული მახასიათებლების იდეტიფიცირებისათვის, როგორიცაა ახალი გზების ან ჭრაგავლილი ტერიტორიების გაჩენა.

მონიტორინგის პროექტის III ეტაპი: კომუნიკაცია და გავლენა

არასამთავრობო ორგანიზაციები აგროვებენ ხარისხიან მონაცემებს მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ და აკეთებენ სრულყოფილ ანალიზს, მაგრამ საბოლოო ჯამში მათ არ აქვთ გავლენა და არ იწვევენ ბუნებრივი რესურსების მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგანაც მათ ეფექტურად არ გაახმოვანეს მათი მიგნებები. ისინი უსარგებლოდ ხარჯავენ თანხას და ხელიდან უშვებენ ბუნებრივი რესურსების მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

არასამთავრობო ორგანიზაცია იწყებს მონიტორინგის პროგრამას მხოლოდ იმ მიზნით, რომ გააუმჯობესოს ბუნებრივი რესურსის სტატუსი და მართვა. აღნიშნულის მისაღწევად მონიტორინგის მონაცემების გამოყენება არის მონიტორინგის პროცესის საბოლოო ნაბიჯი.

მონიტორინგის შედეგებით გავლენის მოხდენას აქვს ორი ფაზა: (1) სტრატეგიის შექმნა და (2) მისი განხორციელება. თუკი მონიტორინგის მონაცემთა შეგროვების ეტაპზე მნიშვნელოვანია გეგმის ზუსტად შესრულება, კომუნიკაციის (შედეგების გახმოვანების) ეტაპზე მნიშვნელოვანია საკითხისადმი უფრო თავისუფალი მიდგომა და სტრატეგიის საჭიროებისამებრ შეცვლა. მიუხედავად ამისა, შეეცადეთ, რაც შეიძლება მეტი დაგეგმეთ წინასწარ, რათა განსაზღვროთ სტრატეგია, რომელიც იმუშავებს და ასევე შექმენით ბიუჯეტი მის განსახორციელებლად.

კომუნიკაციის სტრატეგია

კომუნიკაციის სტრატეგიის შესამუშავებლად თქვენ უნდა:

1. ამოირჩიოთ სამიზნე ჯგუფები; და
2. ამოირჩიოთ გზა, რომელიც იქნება საუკეთესო სამიზნე ჯგუფებისათვის

ხმის მიწვდენისა და მათზე ზეგავლენის მოხდენისათვის.

როგორც წესი, მონიტორინგის პროგრამები ითვალისწინებენ ერთზე მეტ სამიზნე ჯგუფს და თითოეულისათვის შესაფერის სტრატეგიას. ასე მაგალითად, ზოგიერთი ორგანიზაცია არაღლეგალური ჭრების აღსაკვეთად სამიზნე ჯგუფებად ირჩევს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს და ფართო საზოგადოებას. მათი კომუნიკაციის სტრატეგია კი მოიცავს პერსონალურ შეხვედრებს/ბრიფინგებს, ანგარიშებს, წერილებს და ა.შ.

კომუნიკაციის სტრატეგიის შექმნას აქვს ორი სახის სარგებელი: პირველი, შესაძლებელია კოლეგებისა და ყველა დაინტერესებული მხარის კომენტარებისა და შენიშვნების მიღება; და მეორე, შესაძლებელია მაქსიმალურად შესაბამისი ბიუჯეტის შემუშავება.

კომუნიკაციის ტონი

კომუნიკაციის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია თქვენი პუბლიკაციების ტონის განსაზღვრა. კომუნიკაცია უნდა ხორციელდებოდეს სამიზნე ჯგუფისათვის მარტივი და დამაჯერებელი ტონით სანდო და ობიექტური ინფორმაციის მიწოდებით. ამ ბალანსის დარღვევა მარტივად შესაძლებელია ინფორმაციის ძალიან მკვეთრი, უკომპრომისო ან მონაცემებთან არაშესატყვისი ინფორმაციის მიწოდებით. ზოგჯერ ზედმეტად უკომპრომისო განცხადებების გაკეთება არასამთავრობო ორგანიზაციებს საზოგადოების მხარდაჭერას აკარგვინებს. გაწონასწორებული და დასაბუთებული ტონი მეტ კარს ადებს.

სამიზნე ჯგუფების შერჩევა

სამიზნე ჯგუფების შერჩევა უნდა მოხდეს ორი ძირითადი კრიტერიუმის გათვალისწინებით. პირველი: პოტენციურ სამიზნე ჯგუფებს უნდა ჰქონდეთ უნარი და შესაძლებლობა არასამთავრობო ორგანიზაციის ინფორმაციის საფუძველზე გავლენა მოახდინონ პროცესებზე. მეორე: უნდა არსებობდეს ჯგუფის სურვილი/უნარი მიიღოს, თქვენს მიერ მიწოდებული ინფორმაცია. ასე მაგალითად, თუკი თქვენს მიერ შერჩეულ სამიზნე ჯგუფს შეუძლია აღკვეთოს ქვეყანაში ხე-ტყის არაღლეგალური ჭრა, მაგრამ ნათელია, რომ მას არ გააჩნია ამის სურვილი, ამ ჯგუფის შერჩევა არ იქნება საუკეთესო არჩევანი. ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე პოტენციური სამიზნე ჯგუფი.

მოკავშირეები

ერთი მიზნისათვის მეტროლდ ჯგუფებს ხშირად შეუძლიათ დამატებითი სარგებელი/გამოყენება უპოვონ თქვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციას. ეს ჯგუფები შესაძლოა ყველაზე ეფექტური სამიზნე ჯგუფი იყოს.

მთავრობა

ქვეყნის მთავრობა უმნიშვნელოვანესი სამიზნე ჯგუფია არასამთავრობო ორგანიზაციის ინფორმაციის გამოყენებისათვის. მთავრობა არის ქვეყნის

ბუნებრივი რესურსების განმკარგავი, ის იღებს კანონებს, რომლებიც არეგულირებენ რესურსების მოხამრებას და აკონტროლებენ მათ შესრულებას. ამიტომ, არასამთავრობო ორგანიზაციის მოპოვებულ სანდო და ობიექტურ ინფორმაციას ბუნებრივი რესურსების სტატუსისა და მართვის შესახებ, თუკი ის ეფექტურად არის მიმართული, შესაძლოა მთავრობაზე დიდი გავლენა ჰქონდეს.

რესურსის მომპოვებელი კომპანიები

ბუნებრივი რესურსების მომპოვებელი კომპანიების (მაგ. ხე-ტყის დამამზადებელი კომპანიები, სამთო-მომპოვებელი კომპანიები და სხვ.) საქმიანობა გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების უდიდესი ინტერესის საგანია. მათ საქმიანობას უმნიშვნელოვანესი ზეგავლენა აქვთ ბუნებრივ რესურსებზე. არასამთავრობო ორგანიზაციების პუბლიკაციების მეშვეობით შეუძლიათ მიუთითონ კომპანიებს ცუდად წარმართულ საქმიანობაზე. მათ შესახებ ცუდი ინფორმაციის გავრცელებამ შესაძლოა კომპანიებს უბიძგოს საქმიანობის გაუმჯობესებისაკენ. ამის ეფექტურად გააკეთებისათვის, მზად იყავით აღიაროთ კომპანიის მიღწევებიც.

სხვა ქვეყნის მთავრობები

სხვა ქვეყნის მთავრობები შესაძლოა შესატყვისი სამიზნე ჯგუფი იყოს მონიტორინგის ზოგიერთი პროგრამისთვის. სხვა ქვეყნის მთავრობები და კორპორაციები შესაძლოა ყიდულობდნენ უკანონოდ და დარღვევებით მოპოვებულ რესურსებს. ამ მთავრობების გაფრთხილებამ შესაძლოა უბიძგოს მათ ასეთი რესურსების ყიდვისგან თავის შეკავების, ან საერთაშორისო კორპორაციებისაგან უკეთესი მენეჯმენტის მოთხოვნისაკენ. გარდა ამისა, სხვა ქვეყნის მთავრობებს, დონორული პროგრამებისა და დიპლომატიის საშუალებით, შეუძლიათ გავლენა იქონიონ გარემოსდაცვითი მიზნებით რესურსების მართვის გაუმჯობესებაზე.

მედია

მასობრივი მედია – გაზეთები, რადიო და ტელევიზია – ინფორმაციის სწრაფი და დიდ ტერიტორიაზე გავრცელების საშუალებაა. მედია უფრო ფართო საზოგადოებისათვის ხმის მიწვდენის საშუალებაა, ვიდრე თავისთავად სამიზნე ჯგუფი. მონიტორინგის პროგრამისათვის სასარგებლოა ადგილობრივი პრესის, რადიოს და ტელევიზიის, ასევე იგივე ტიპის საერთაშორისო მედიის გამოყენება. პრეს-რელიზები, პრეს-კონფერენციები და სატელევიზიო კლიპები ასევე ძალიან ეფექტურია. ამ საშუალებების გამოყენებით თქვენ შეგიძლიათ უბიძგოთ მედიის წარმომადგენლებს გააშუქონ თქვენთვის საინტერესო საკითხი.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები შესაძლოა ზეგავლენის გაძლიერების საუკეთესო საშუალება იყოს. მათ შეუძლიათ გამოიწვიონ თქვენი სამიზნე ჯგუფის უპრეცედენტო ყურადღება თქვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიმართ.

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები და კორპორაციები

ეს ჯგუფები (მაგალითად, მსოფლიო ბანკი) ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ისინი ხშირად გამოყოფენ თანხას ბუნებრივი რესურსების განვითარებისა და მოპოვების პროექტებისათვის. როგორც წესი, მათ აინტერესებთ ამ პროექტების მიერ ადგილობრივ დონეზე მოხდენილი ეფექტი და ამიტომ, შესატყვის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ მონიტორინგის შედეგების გაზიარებისათვის.

ფართო საზოგადოება და მომხმარებლები

საზოგადოებრივი აზრი შესაძლოა ცვლილების ერთ-ერთი უძლიერესი განმაპირობებელი გარემოება იყოს, თუნდაც არადემოკრატიულ საზოგადოებაში. არასამთავრობო ორგანიზაციის ინფორმაციას შეუძლია საზოგადოებრივი აზრის შექმნა. ამისათვის მრავალი სახის ინფორმაცია შეიძლება იყოს შესაფერისი. ასე მაგალითად, ადგილობრივი მოსახლეობისათვის შესაძლოა არ იყოს ცნობილი გარკვეული ტყეების ან ბუნებრივი რესურსების ღირებულების შესახებ. შესაძლოა, მათ არ იცოდნენ, ან არასწორი ინფორმაცია ჰქონდეთ, მათი ქვეყნის ბუნებრივი რესურსების მართვის შესახებ. ასევე, შესაძლოა ძალიან ეფექტური იყოს საინფორმაციო კამპანიები, რომლებიც მიმართულია მომხმარებელთა დასარწმუნებლად, არ შეისყიდონ გარკვეული საქონელი (უკანონოდ მოპოვებული ნედლეულისგან ნაწარმოები).

კომუნიკაციის პროდუქტები

არსებობს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებები, რომელთა ეფექტურობა დამოკიდებულია სამიზნე ჯგუფის ტიპზე. ასევე განსხვავებულია მათთვის საჭირო თანხების ოდენობაც. კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავებისას ფრთხილად უნდა შეარჩიოთ სამიზნე ჯგუფისთვის შესატყვისი მიდგომა მისი ღირებულების გათვალისწინებით. დაიმახსოვრეთ, მიზანი არის ეფექტური სტრატეგიის შემუშავება. ერთი კარგად მომზადებული დოკუმენტი უფრო ეფექტურია, ვიდრე ხუთი სხვადასხვა სახის არაშესაფერისად მომზადებული მასალა.

მას შემდეგ, რაც მოამზადებთ მასალებს, განსაზღვრეთ წრე, რომლისთვისაც საინტერესო იქნება ამ მონაცემების მიღება და მუდმივად მიაწოდეთ მათ ინფორმაცია. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით ამართლებს მედიასთან ურთიერთობის დროს. მედიის წარმომადგენლები მით უფრო ხშირად გამოიყენებენ თქვენ ინფორმაციას, რაც უფრო ხშირად შეახსენებთ თავს. დროთა განმავლობაში, შესაძლოა მათ თვითონაც კი მოგმართონ სიახლეებისათვის.

პერსონალური ბრიფინგები / შეხვედრები

პერსონალური ბრიფინგები შესაძლოა ინფორმაციის გაცვლის ღირებული საშუალება იყოს, როგორც მონიტორინგის მწარმოებელი ორგანიზაციისათვის, ასევე იმ ჯგუფისათვის, რომელსაც მიეწოდება ინფორმაცია. ეს მოიცავს შეხვედრებს მინისტრებთან, ან სხვადასხვა სახელმწიფო მოხელეებთან,

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, ან ბილატერალური დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ინტერვიუებს მას-მედიის რეპორტიორებთან, ასევე სხვა ჯგუფებთან. პერსონალური ბრიფინგის დროს მონიტორინგის მწარმოებელი არასამთავრობო ორგანიზაცია დებულობს მნიშვნელოვანი პერსონის ყურადღებას, ხოლო ის კი, თავის მხრივ, იღებს ინფორმაციას, რომელსაც ვერ მიიღებდა სხვა საშუალებებით.

არასამთავრობო ორგანიზაციამ უნდა დაამტკიცოს, რომ იგი არის სრულყოფილი, სანდო და მიუკერძოვებელი ინფორმაციის მიმწოდებელი მანამდე, სანამ დაგეგმავს შეხვედრებს მნიშვნელოვან ადამიანებთან. სხვა შემთხვევაში, მსგავსი შეხვედრების მიღწევა ძალიან ძნელი იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ღირებული მიზანი და სტრატეგიაა სხვა მიდგომების შესავსებად.

უპირატესობა:

- ბრიფინგების საშუალებით მყარდება კონტაქტები გავლენიან პირებთან;
- ბრიფინგების მეშვეობით მონიტორინგის დასკვნები ხალხის ხელში ხვდება, რომელთაც ძალუბთ ცვლილების მიღწევა/განხორციელება;
- თქვენ იძენთ ახალ ადამიანებს, რომლებიც მზად იქნებიან მომავალში კვლავ მიიღონ სხვა ინფორმაცია თქვენგან.

ნაკლი:

- შეხვედრების შეთანხმება საკმაოდ ძნელია, განსაკუთრებით ახლადშექმნილი ორგანიზაციებისათვის;
- პერსონალური ბრიფინგებისას ინფორმაციას მცირე რაოდენობის ადამიანი იღებს.

რჩევა:

- ნუ იქნებით კონფრონტაციული;
- ყოველთვის თან იქონიეთ დოკუმენტური მასალა, რომელსაც დაუტოვებთ შეხვედრის შემდეგ.

პრეს-რელიზები

კარგად დაწერილი პრეს-რელიზები ნებისმიერი კომუნიკაციის სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. ეს არის მონიტორინგის შედეგების მედიაში და მისი საშუალებით ფართო საზოგადოებაში გავრცელების ეფექტური საშუალება. მნიშვნელოვანია, რომ პრეს-რელიზი მოიცავდეს ინფორმაციას, რომელიც სჭირდებათ ყურნალისტებს. სასურველია, პრეს-რელიზი არ აღემატებოდეს ერთ გვერდს, მაგრამ, ამავდროულად, ამომწურავად ასახავდეს პრობლემას და არ შეიცავდეს ტექნიკურ დეტალებს. პრეს-რელიზის მიზანია საკითხისადმი ხალხის ყურადღების მიპყრობა – რათა ხალხმა გაიგოს პრობლემის შესახებ და სერიოზულად მოეკიდოს მას.

უპირატესობა:

- პრეს-რელიზი ადვილი დასაწერია;
- ის ადვილი გასავრცელებელია ფაქსითა და ელექტრონული ფოსტით;
- პრეს-რელიზით დიდი გამოხმაურების გამოწვევა შეიძლება;
- სწრაფია.

ნაკლი:

- რადგანაც პრეს-რელიზის წერა ადვილია, შესაძლოა მათ შორის ბევრი უვარგისი იყოს;
- ცუდი პრეს-რელიზი არასამთავრობო ორგანიაციის რეპურაციას ღაზავს;

რჩევა:

- ისწავლეთ პრეს-რელიზის წერა (ფორმატი და შინაარსი);
- მთავარი სათქმელი დასაწყისშივე ნათლად და მოკლედ ჩამოაყალიბეთ.

პრეს-კონფერენციები

პრეს-კონფერენციები პრესასთან კომუნიკაციის კარგი საშუალებაა. პრეს-კონფერენცია კითხვების დასმისა და პასუხების მიღების კარგი საშუალებაა და მათი მეშვეობით უფრო მეტი ყურადღების მიპყრობაა შესაძლებელი, ვიდრე მარტო პრესრელიზით. თუმცა ჟურნალისტების დასწრების უზრუნველყოფა საკმაოდ ძნელია.

პრეს-კონფერენციები უნდა მოეწყოს თვალშისაცემი საკითხების შესახებ, ან იმ საზოგადოდ აღიარებული მნიშვნელობის საკითხებზე, რომლის შესახებაც არასამთავრობო ორგანიზაციას გააჩნია უტყუარი მონაცემები. ახლადშექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის ჟურნალისტების ყურადღების მისაპყრობად შესაძლოა კარგი სტრატეგია იყოს უფრო ცნობილ ორგანიზაციებთან პარტნიორობა. ნებისმიერ შემთხვევაში, თქვენი ინფორმაცია უნდა იყოს სანდო და დამარწმუნებელი – ეს არის უმთავრესი პრინციპი. საპირისპირო შემთხვევაში, თქვენი ინფორმაცია შესაძლოა ერთხელ ან ორჯერ გავრცელდეს პრესის მეშვეობით, მაგრამ ეს მეტი არ განმეორდება.

უპირატესობა:

- პრეს-კონფერენცია იძლევა მედიასთან უშუალო ურთიერთობის საშუალებას;
- იგი ინფორმაციის ფართოდ გავრცელების საშუალებაა;
- კითხვა-პასუხმა შესაძლოა გააძლიეროს მედიის ინტერესი;
- იგი ჟურნალისტებს ეხმარება პროფესიონალურად შედგენილი სტატიების და რეპორტაჟების მომზადებაში.

ნაკლი:

- ჟურნალისტების შეკრება საკმაოდ ძნელია;
- ცუდად მიწოდებულმა ინფორმაციამ შესაძლოა არასამთავრობო ორგანიზაციის რეპუტაცია შეღაზოს.

რჩევები:

- ყოველთვის იქონიეთ პრეს-რელიზები გავრცელებისათვის;
- ფრთხილად შეარჩიეთ პრეს-კონფერენციის ჩატარების თარიღი და ადგილი, რათა უზრუნველყოთ მაქსიმალური დასწრება;
- ნუ გამოიყენებთ ამ საშუალებას ზედმეტად.

პლაკატები

პლაკატები შესაძლოა ეფექტური იყოს მცირე სამიზნე ჯგუფისათვის,

როგორცაა, რომელიმე სოფლის, დაბის, ან პატარა ქალაქის მაცხოვრებლები. ის უნდა იყოს კარგად შედგენილი, თვალის მომჭრელი და დამარწმუნებელი. არასწორია პლაკატზე ბევრი ინფორმაციის განთავსება. პლაკატზე უკეთესია მოკლე, ნათლად ჩამოყალიბებული და ყურადღების მიმზიდველი მიმართვების განთავსება.

უპირატესობა:

- პლაკატები კარგი საშუალებაა საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად;
- შესაძლოა პლაკატების ფართოდ გავრცელება;
- მისი საშუალებით შესაძლებელია არასამთავრობო ორგანიზაციის ვიზუალური ცნობადობის გაზრდა.

ნაკლი:

- პლაკატზე განთავსებული ინფორმაცია უნდა იყოს მარტივი, ამიტომ ინფორმაცია მწირია;
- პლაკატები უნდა გავრცელდეს და გაეკრას;

რჩევები:

- შეეცადეთ, რომ პლაკატები თვალის მომჭრელი იყოს;
- დარწმუნდით, რომ ეფექტურ ადგილზე აკრავთ.

ბუკლეტები

ეს მცირე დოკუმენტები საუკეთესო საშუალებაა არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობისა და მისიის განაცხადის შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელებისათვის. თუმცა, ბუკლეტები ასევე ეფექტური საშუალებაა რაიმე კონკრეტული საკითხის, ან პროექტის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად.

ვებ-გვერდი

ვებ-გვერდი შესაძლოა ბროშურისა და ანგარიშის საუკეთესო მახასიათებლების ნაკრებს წარმოადგენდეს. ის შეიძლება ვიზუალურად შთამბეჭდავი, დეტალური და უამრავი ინფორმაციის მომცველი იყოს. კარგი დიზაინის ვებ-გვერდების მნახველებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ როგორც ზოგადი, ასევე დეტალური ინფორმაცია. ამჟამად, ორგანიზაციათა უმრავლესობასაც გააჩნია ვებ-გვერდი, თუმცა არა ყველას. ვებ-გვერდი არ ცვლის კომუნიკაციის სხვა საშუალებებს, თუმცა იგი ფრიად სასარგებლო და ეფექტურია.

უპირატესობა:

- ვებ-გვერდი თქვენი საერთაშორისო სამიზნე ჯგუფებისათვის ინფორმაციის მიწოდების საუკეთესო საშუალებაა;
- ვებ-გვერდზე შეიძლება განათავსოთ როგორც შტამბეჭდავი ბროშურა, ასევე დეტალური ანგარიში;
- ვებ-გვერდს შესაძლოა ეწვიოს უამრავი პასიური მნახველი, რომელიც არ იყო თქვენს სამიზნე ჯგუფში;
- ვებ-გვერდი მულტიმედიური პრეზენტაციების საშუალებას იძლევა;
- ვებ-გვერდის მეშვეობით შესაძლოა ფართო სამიზნე ჯგუფისათვის

ხმის მიწვდენა;

- ვებ-გვერდები შესაძლოა ადვილად განახლდეს, ან შესწორდეს.

ნაკლი:

- ვებ-გვერდი მუდმივად უნდა განახლდეს, რათა მნახველმა ყოველ ჯერზე რაიმე სიახლე ნახოს;
- ის მოითხოვს კომპიუტერთან მუშაობის სპეციფიურ ცოდნას (თუმცა არც თუ განსაკუთრებით რთულს) და შესაძლოა საჭიროებდეს დამატებითი თანამშრომლის აყვანას;
- იგი მოითხოვს კომპიუტერთან ხელმისაწვდომობას;
- მნახველების მოზიდვისათვის აუცილებელია ვებ-გვერდის რეკლამირება.

რჩევა:

- ვებ-გვერდის დიზაინი ვიზუალურად მიმზიდველი უნდა იყოს;
- ყოველთვის განახლეთ ვებ-გვერდი;
- ფართოდ გაავრცელეთ ინფორმაცია თქვენი ვებ-გვერდის შესახებ სამიზნე აუდიენციაში.

ბროშურები

ბროშურები კონკრეტულ საკითხზე ფოკუსირებული შედარებით მოკლე და ლაკონური დოკუმენტია. ჩვეულებრივ, იგი გათვლილია სპეციფიურ ორგანიზაციებზე, ან ადამიანებზე, რომელზეც გსურთ მოახდინოთ გავლენა. ბროშურები შესაძლოა მოიცავდეს ზომიერად დეტალურ ინფორმაციას. ისინი შესაძლოა გამოსადეგი იყოს, თუკი აწარმოებთ ხანგრძლივადიან მონიტორინგის პროგრამას, მაგრამ გსურთ პერიოდულად (მაგ. ყოველწლიურად) გამოსცეთ ანგარიშები.

უპირატესობა:

- მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ ბროშურები მიმზიდველია დაკავებული ადამიანებისათვის;
- ბროშურები შესაძლოა სწრაფად გამოქვეყნდეს;
- ბროშურების გამოქვეყნება იაფია.

ნაკლი:

- ბროშურაში წარმოდგენილი ინფორმაცია მწირია;

რჩევა:

- შესაძლებელია მისი სწრაფად შემუშავება, მაგრამ დარწმუნდით, რომ ის კარგად არის დაწერილი და კრიტიკული საკითხები ნათლად არის განსაზღვრული;
- ნათლად გამიჯნეთ ფაქტები და თქვენი ინტერპრეტაციები;
- როცა ეს შესაძლებელია, გამოიყენეთ გრაფიკები - ისინი იპყრობენ ყურადღებას და, ამავდროულად, ლაკონურად გადმოსცემენ ინფორმაციას..

ბიულეტენები და სერიული გამოცემები

საკითხის ცოდნა, სანდობასთან ერთად, განაპირობებს საზოგადოების კეთილგანწყობას. ამიტომ, ბიულეტენები კომუნიკაციის სტრატეგიის ღირებული ნაწილია. ეს პუბლიკაციები, როგორც წესი, საკმაოდ ვრცელია

და რეგულარული იმისათვის, რომ ფოკუსირებული იყოს ცალკეულ მონიტორინგის პროგრამაზე.

უპირატესობა:

- რეგულარული პუბლიკაციები, როგორცაა ბიულეტენები, აძლიერებს საზოგადოების ნდობას და ქმნის საკითხით დაინტერესებულ ადამიანთა წრეს;
- ბიულეტენის ფორმატი საშუალებას იძლევა გაავრცელოთ როგორც მოკლე, ასევე დეტალური ინფორმაცია, ფოტოების ჩათვლით;
- ბიულეტენები ინფორმაციის დროულად გავრცელების საშუალებას იძლევა.

ნაკლი:

- ცალკეული მონიტორინგის პროგრამა ვერ აგროვებს საკმარის ინფორმაციას დიდი ბიულეტენისათვის;
- დოკუმენტის ხშირად მომზადების საჭიროებამ შესაძლოა ჯგუფი მთავარ სამუშაოს მოწყვიტოს;
- პერიოდული ბიულეტენების გამოცემა შესაძლოა დიდ დანახარჯებთან იყოს დაკავშირებული;
- თუკი არ არის საკმარისი ინფორმაცია ბიულეტენისათვის, პუბლიკაცია შესაძლოა ფორმალურ ხასიათს ატარებდეს.

რჩევა:

- უმჯობესია ბიულეტენი მოიცავდეს ინფორმაციას მთლიანად ორგანიზაციის საქმიანობის ან რამდენიმე პროექტის შესახებ;
- მსგავსი პუბლიკაციები ჯობია ნაკლები სიხშირით გამოსცეთ (მაგ. ყოველწლიურად).

ანგარიშები

მოკლე ანოტაციებისაგან განსხვავებით, ანგარიში უფრო ვრცელი და დეტალური დოკუმენტია და ჩვეულებრივ ეფუძნება საკითხის გამოძიებაზე მიმართულ რამდენიმე პროექტს.

უპირატესობა:

- ვრცელი ანგარიშები დეტალებში ჩაღრმავების შესაძლებლობას იძლევა;
- პუბლიკაციები შეიძლება იყოს თვალის მომჭრელი და შთამბეჭდავი;
- პუბლიკაციები იძლევა მონაცემებისა და გამოყენებული მეთოდის დეტალური დოკუმენტირების საშუალებას.

ნაკლი:

- პუბლიკაციის სიდიდემ შესაძლოა ის ნაკლებად კითხვადი გახადოს;
- ანგარიშების წერა, დაბეჭდვა და გავრცელება საკმაოდ დიდ დროს და ხარჯებს მოითხოვს;
- სწრაფად ცვალებად სიტუაციაში ანგარიში შესაძლოა სწრაფად “მოძველდეს”.

რჩევა:

- არ იქაროთ ანგარიშის მომზადება, დაელოდეთ სამუშაოს

დასრულებას;

- შეეცადეთ ანგარიში არ იყოს ძალიან გრძელი და გადატვირთული;
- გამოიყენეთ გრაფიკები და ფოტოები დოკუმენტის "გამოსაცოცხლებლად";
- ყოველთვის წაუშმდვარეთ მოკლე ანოტაცია.

რადიო, ვიდეო

რადიო:

რადიო მედიუმია, რომლის საშუალებითაც შედარებით მცირე დანახარჯებით შესაძლებელია ბევრი ადამიანისათვის ხმის მიწვდენა. რადიოს მეშვეობით შესაძლოა მიმართვის გაგრძელება საჭირო ტერიტორიაზე.

ვიდეო:

ვიდეო "პრეს-რელიზები" შესაძლოა ძალიან ეფექტური და ადვილად გასაკეთებელი იყოს. ვიდეო პრეს-რელიზები განსაკუთრებით ეფექტურად გამოიყენება ტელემედიის მიერ, რადგანაც თქვენ მუდმივად ინფორმაციის ძებნით დაკავებულ ჟურნალისტს ეთერისათვის მზა მასალას აწვდით. უფრო ვრცელი ფილმები ან ვიდეო ჩანაწერები შესაძლოა ეფექტური იყოს გარკვეულ სიტუაციაში, მაგრამ უფრო მეტ დროსა და თანხებს მოითხოვს. უპირატესობა:

- ვიზუალურ ან აუდიო ისტორიებს შესაძლოა დიდი გავლენა ჰქონდეს;
- მათი საშუალებით იზრდება ორგანიზაციის ვიზუალური ცნობადობა;
- მათი საშუალებით ფართო სამიზნე ჯგუფის მოცვაა შესაძლებელი.

ნაკლი:

- დიდ დანახარჯებს მოითხოვს (განსაკუთრებით ფილმები);
- მოითხოვს სპეციალურ აპარატურას და გამოცდილებას.

რჩევა:

- ითანამშრომლეთ უფრო დიდ ორგანიზაციებთან;
- აქცენტი უფრო მცირე (როგორცაა ვიდეო პრეს-რელიზები) ფორმებზე გააკეთეთ;
- ფილმის ხილულ ან უხილავ გამხმოვანებლებად დაიქირავეთ ცნობილი ადამიანები.

რეაქციისა და ბამოხმაშრების პრობნოზირება და მათთვის მზაობა

მონიტორინგის შედეგების წარმოდგენისათვის მზადებისას უნდა შეეცადოთ წინასწარ განსაზღვროთ სამიზნე ჯგუფის პოტენციური რეაქცია და თქვენი მიზნების გამოყენების შესაძლებლობები. რა თქმა უნდა, სანდო ინფორმაციის ფლობა გადამწყვეტია. წინასწარი გათვლები თქვენ შესაძლებლობას მოგცემთ დაგეგმოთ, თუ როგორ შეხვდეთ ნეგატიურ რეაქციებს და დააკმაყოფილოთ ინფორმაციაზე მოთხოვნა.

მონიტორინგის პროგრამის შედეგების გახმოვანებისას უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი:

- ყოველთვის საქმის კურსში გყავდეთ პარტნიორები და დაინტერესებული მხარეები – წინასწარ გააფრთხილეთ ისინი შედეგების გახმოვანების შესახებ და აცნობეთ მთავარი იდეის შესახებ;
- იქონიეთ საკმარისი დაბეჭდილი მასალა გავრცელებისათვის;
- სპეციალურად გამოყავით თანამშრომელი, რომელიც უპასუხებს კითხვებს და სატელეფონო ზარებს;
- მზად იყავით გამოიყენოთ გაზრდილი აღიარება. მაგალითად, ეს კარგი დროა ფონდებისათვის ახალი დაფინანსების მოძიებისათვის მისამართად, პერსონალური ბრიფინგებისათვის მოთხოვნის წარსადგენად, მედიისათვის ინტერვიუს მისაცემად და ა.შ.

შემოწმების პროცესი

პუბლიკაციის სამუშაო ვარიანტის მომზადების შემდეგ მნიშვნელოვანია, რომ ის საბოლოოდ გადამოწმდეს. შემოწმება არის პროცესი, რომლის დროსაც თქვენ დოკუმენტის სამუშაო ვარიანტს შენიშვნებისა და კომენტარებისათვის წარუდგენთ საკითხში გარკვეულ კოლეგებს.

არსებობს ორი მიზეზი, რომლის გამო დოკუმენტისათვის მნიშვნელოვანია შემოწმების პროცესის გავლა: (1) პუბლიკაციის ხარისხი უდავოდ გაიზრდება სფეროს ექსპერტების მოსაზრებების მაქსიმალურად გათვალისწინებით; (2) ექპერტების მიერ დოკუმენტის ხარისხისა და სანდოობის აღიარება გაზრდის თქვენი სამიზნე ჯგუფის ნდობასაც.

არსებობს შემოწმების ორი დონე: შიდა და გარე. შიდა შემოწმება ხორციელდება ორგანიზაციის შიგნით, თქვენი კოლეგების მიერ. გარე შემოწმება ხორციელდება არა თქვენი თანამშრომლების მიერ. შიდა შემოწმება როგორც წესი, ხორციელდება ოთხი ან ხუთი კოლეგის მიერ. საუკეთესო შემთხვევაში, თქვენ უნდა მიიღოთ ექვსიდან ათამდე გარე კომენტარი, თუმცა იმ შემთხვევაში, თუკი ფართო აუდიენცია გყავთ, შესაძლოა უფრო მეტი იყოს საჭირო.

შიდა შემოწმებისათვის კოლეგების შერჩევა ხდება პუბლიკაციების მომზადებაში გამოცდილებისა და საკითხის შესახებ ცოდნის მიხედვით. გარე შემოწმებლები კი უნდა იყვნენ (1) მონაცემთა მომწოდებლები, (2) მეცნიერები/ექსპერტები და (3) თქვენი პუბლიკაციის სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები.

როდის უნდა შეწყვიტოთ მონიტორინგი?

თქვენ უნდა იცოდეთ, როდის გაჩერდეთ. ეფექტური მონიტორინგის დაგეგმარება და განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, თუ რის მიღწევას ცდილობთ. მიზნები აუცილებლად სპეციფიური უნდა იყოს. მაგ. თუკი მიზანი არის ხელისუფლების საქმიანობის ცვლილების მეშვეობით ქვეყანაში არალეგალური ჭრის შემცირება, წარმატებისთვის მნიშვნელოვანია: 1) პროგრესი იყოს გაზომვადი და 2) განსაზღვროთ როდის გაჩერდეთ ან შეამციროთ ძალისხმევა. უსასრულო მიზნები (მაგ. “ჭრის შემცირება”) არაეფექტურია. განსაზღვრეთ ჭრების შემცირების მიღწევის ხარისხობრივი, რაოდენობრივი და დროითი მაჩვენებლები. მაგალითად, მონიტორინგის პროგრამა შეამცირებს არალეგალურ ჭრას 25 %-ით 5 წლის განმავლობაში, ან 2010 წლისთვის გამოიწვევს ტყის მცველების რაოდენობის 15 %-ით გაზრდას. ზოგიერთი პროცესი შეიძლება მოითხოვდეს განგძობად (შესაძლოა დაბალი დონის) მონიტორინგს მას შემდეგაც, რაც მთავრი ბრძოლა მოგებულება. მაგრამ ყველა მონიტორინგის პროგრამას უნდა ჰქონდეს წარმატების ინდიკატორები.

შემდეგი ნაბიჯი

ჩვენ წარმოგიდგინეთ მონიტორინგის პროცესის მიმოხილვა და ჩარჩო, თუ როგორ უნდა აწარმოოთ მონიტორინგი. სახელმძღვანელოს მთავარი აზრი არის, რომ მონიტორინგი ხორციელდება ბუნებრივი რესურსების მართვის საკითხთან დაკავშირებით სპეციფიურ კითხვებზე პასუხის გასაცემად; მაგრამ არ შეიძლება არსებობდეს მზა რეცეპტი, თუ როგორ წარმართოთ მონიტორინგი. მონიტორინგი უნდა იყოს შედეგიანი, მარტივი, მიზანმიმართული და ეფექტური კრიტიკულ კითხვებზე პასუხის გასაცემად. მონიტორინგის პროექტებს და პროგრამებს უნდა ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული კომუნიკაციის სტრატეგია. ფული წყალში იყრება, როდესაც მონიტორინგის შედეგები შესაფერისად არ ხმოვანდება. უფრო მეტიც, ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა პირდაპირ აისახება ზუსტად იმ ბუნებრივი რესურსის მდგომარეობაზე, რომლის დაცვასაც ცდილობდა არასამთავრობო ორგანიზაცია.

ამ სახელმძღვანელოში ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ რა მიმართულებით უნდა იფიქროთ როდესაც იწყებთ მონიტორინგის პროექტის ან პროგრამის განხორციელებას, ჩვენ ვერ გიკარნახებთ დეტალებს. თუმცა, როგორც წესი, დეტალები განაპირობებენ წარმატებას. ამიტომ, მონიტორინგის საუკეთესო მასწავლებლები ყოველთვის არიან ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ მას.

ბამოყენებულ ლიტერატურა

- ჭრის წესები საქართველოს ტყეებში. 2000, საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი, რედ. ლ. ჭოჭუა, თბილისი, 48 გვ.
-
- საქართველოს ძირითადი გარემოსდაცვითი კანონების კრებული. 2004, თბურგეთი, 400 გვ.
-
- საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა. 2005, თბილისი, NACRES, 89 გვ.
- საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საინფორმაციო საძიებო სისტემა CODEX 2005. (2006 წლის 15 ივლისის მდგომარეობით).
- G. Tyler Miller, Jr. 2000, Living in the Environment: principles, connections and solutions, Brooks/Coe publishing Company, Eleventh edition
- Monitoring for impact: lessons on natural resources monitoring from 13 ngos. 2000, by Christian Ottke, Peter Kristensen, David Maddox, Eric Rodenburg; Editors: Robert Livernash, David Hosansky; World Resources Institute, Conservation International.
- www.forestgeo.net
- www.parliament.ge
- www.eia-international.org



- 1, 2. უკანონო ჭრები სპ- ტყეკაფის გარეშე, გზის პირებზე მოჭრილია მოუნიშნავი ხეები
- 3, 4. ნიადაგის ეროზია, რომელიც გამოწვეულია მორების მოთრევით
5. ტყეში ნიადაგი დაზიანებულია ზედმეტი ექსპლუატაციის გამო



6, 7. ტყიდან გამოტანილი გაუქერქავი წიწვოვანი ხეების მორები
8, 9. უკანონო ჭრა, წიწვოვანი ხის მორები დამარაგებულია ტყეში
10. უკანონოდ მოჭრილი ხე, ნარჩენები ტყეშია დატოვებული



11., 12. უკანონო ჭრა კოლხეთის ეროვნულ პარკში
13, 14, 15. სახერხებზე დაფიქსირებული დარღვევები



16. უკანონოდ მოჭრილი წიფლის მორები
17. უკანონოდ მოჭრილი წაბლი (წითელი ნუსხის სახეობა)
18. სახერხი, სადაც მხოლოდ წაბლის მერქანი მუშავდება